

ნუგზარ ერგემლიძე

მხატვარი და მარგარიტა

ანუ

მიწისძვრა ფიროსმანის ქუჩაზე

ტელეფონის ზარმა გამომაღვიძა. „ვინ არის ასე ადრე?“ ყურმილის აღება არ მინდა, მაგრამ „ის“ არ ისკენებს, მეათე თუ მეორმეტე „მოთხოვნას“ დავემორჩილე, ნახევრად მძინარე ხმით ყურმილს ჩავძახე:

- გისმენო.
 - რა დროს ძილია? კიდევ დალიქ? – მეკითხება ვიდაც „მოწესრიგებული“.
 - რომელი ხარ? – ისეთი კილოთი ვუთხარი, რომ მიხვდეს, მეზარება ახლა მასთან ლაპარაკი, ვინც არ უნდა იყოს, მაინც მეზარება!
 - საქმეა, ერთი! როდის ადგები? – მეუბნება ის. მაინც ვერ ვიცანი.
 - რომელი ხარ? – გაღიზიანებულმა მივუგდე.
 - ბიჭო, სანდრო ვარ! რა დაგემართა?
 - მეძინება, ამ დილით მოვედი, რა საქმეა ასეთი?
 - ფიროსმანის ნახატებს ეძებენ უცხოელები, შენ მხატვარი ხარ და ვიფიქრე...
 - გამორიცხულია! – შევაწყვეტინე.
 - გაიკითხე! დიდ ფულს გადაიხდიან... ჩვენც შეგვხვდება... ლოგინზე წამოვჯექი.
 - მომისმინე, ყველა ნახატი აღრიცხავაზეა. რომ გაყიდოს ვინმემ, საზღვარგარეთ ვერ გაიტანენ... გაიგე?
 - ეგ ჩვენ არ გვეხება. იყიდიან აქ და აქვე გადაიხდიან... კარგად! ჩვენც ბლომად შეგვხვდება!
- ისეთი ზღაპარი იყო, კამათს აზრი არ ჰქონდა, ამიტომ დავეთანხმებ:
- კარგი, გავიკითხავ!
 - დროზე მოაგვარე ეს საქმე, მალე მიდიან!
 - გასაგებია – კბილებში გამოვცარი და ყურმილი აპარატს დავახეთქე! „ტუ-ტუ-ტუ“ კარგა ხანს ისმოდა ყურმილიდან. თავის აწევა შემეზარა, ისე გამოვქაჩე ხელი კაბელი. ტელეფონი დადუმდა. კარგა ხანს ვიწვალე, რაზე არ დავიწყე ფიქრი, რომ ჩამძინებოდა, მაგრამ ისევ ფიროსმანის თემა მახსენდებოდა: „აქვს ნეტავ ვინმეს?“ გამიელვა ფიქრმა. ვატყობილი, ჩემში პროფესიონალს არ ეძინა, „ის“ ძალიან დაინტერესედა შემოთავაზებული წინადადებით. ბოლოს, როგორც იქნა შევედი ნირვანაში...

ნიკალამ გამხდარი ფეხები გაცვეთილ ბათინკებში ჩაჰუ, ლოგინიდან წამოდგა, პირსახოცი აიღო და ეზოში გავიდა.

- დილა მშვიდობისა! – მიესალმა მეეზოვეს.

– მშვიდობა მოგცეს ღმერთმა – მიუგო მან.

– რა ხდება ქვეყანაზე? – სხვათაშორის პკითხა ნიკალამ.

– შენი მეთევზის პერანგივით გაწითლდა ქვეყანა! – იშოვე სამუშაო?

ნიკალამ წყლით სავსე პეშვს თავი აარიდა და გვერდულად გამოხედა მეეზოვეს. გაიდიმა.

– იხე, შენც კაი ჯამაგირი გაქვს არა?

– მქონდა, ძამო ნიკალ, მქონდა! – ამოიოხრა მეეზოვემ.

– აკი, შენისთანების დასახმარებლად მოდიოდნენ სელისუფლებაში?

– ეგეთი ლაპარაკები აკრძალულია, ხომ იცი? – იდუმალებით მოცული ხმით წარმოსთქვა უბნის სისუფთავის თავკაცმა.

– პარტიაში ხომ არ შესულხარ?

– არა, მაგრამ...

– ჰო, რა გინდა, თქვი...

– ეგ უნიფორმა უნდა გაიხადოო, მერეო...

– რაო, რა გვინდაო?

– ცალფეხა ხარ, პენიაზე უნდა გახვიდეო.

– ოოო – წამით შეყოვნდა ნიკალა – მაშ ეგ ჯინჯილა უნდა შეგხსნაოო?

– უნდა შეგხსნაოო! – მძიმედ დაუკრა კვერი მოსაუბრებ.

– შენც აგერია არა ცხოვრება?

– ჰო... – ჩაფიქრდა – სამი წლის წინ, აღდგომა დღეს გკვდებოდი. ვიდაც მადლიანმა, სრულიად უცხომ, საჭმელი და წამალი მომიტანა და... გადავრჩი!

– კარგი აზრი მომივიდა! – გააგრძელა ნიკალამ – მოდი, შენ მომეცი სამუშაო... შენ დაგხატავ!

– მე დამხატავ? – თვალები ოცნებებში გაექცა მეეზოვეს.

– კი, კი! – შენ დაგხატავ! – კარგი იქნება!

– მალე შენისთანები აღარ იქნებიან... კაცო! – ნაღველი შემოაწვა ნიკალას. პირსახოცით შეიმშრალა სახე და დააყოლა:

– მალე ჩემისთანებიც აღარ იქნებიან!

– რატომ? მხატვართა გაერთიანება შეუქმნიათ, იქნებ გეშველოს რამე! მართლა დამხატავ? პასუხის მოლოდინში მეეზოვე გაირინდა.

– შემოდი, ახლავე დაგხატავ!

– ახლავე?

– ჰო, მოდი! გადადებული საქმე ეშმაკისაა! შემოდი!

მეეზოვებ კიბის ქვეშ გაჭრილ კარებში თავი შეჰყო, მიიხედ-მოიხედა და სათავსოში შევიდა. ნიკალამ მოლბერტზე ტილო მიამაგრა, რომელიც შავი ტონით პქონდა დაფარული.

— ეგ ტილო შავი რად არი? — დაინტერესედა სტუმარი.

— ეგ ჩემი მანერაა! შავიდან ამონათდება ფერები, ყველაფერი უკეთ გამოჩნდება. დამით ცას ვაკვირდები, ყველაფერი უკეთ სჩანს: მთვარეც, ვარსკვლავებიც... ხომ იცი, დღისით ვარსკვლავები არ ჩანან...

— გეთანხმები. დღისით არ ჩანან! — მეეზოვებ პატარა წიგნაკი შეამჩნია და მაგიდიდან აიღო.

— ვისია ეს წიგნი?

— გალაკტიონ ტაბიძის! ეგაც დამეში უცქერს ვარსკვლავებს, კარგი ვინმეა!

— ჰო, გამიგია, ჩემს მმაკაცოან დაულევია ამასწინათ...

— ეგ არ სვამს... დენდია. კარგად ჩაცმული დადის. მაგრა აფასებენ. ქალები თურმე გიჟდებიან მასზე. აი, აქ დადექი... აქედან შექი შემოდის... აი, ასე! ნიკალამ ნატურას თვალი შეავლო:

— თუ გინდა წადი! ზეპირად დაგხატავ!

— არა, ასე უფრო მიმაგვანებ! — ესე იგი, მაგ ტაბიძეს, აუწყვია ცხოვრება? — იკითხა ნატურამ.

— აქამდე ასე იყო და... თუმცა მაგის ლექსების პატრონი ცხოვრებას ვერ აიწყობს, ეგ ამ ცხოვრების კაცი ვერ იქნება!

— იცნობ?

— თვალით არ მინახავს!.. ვგრძნობ. ეგ ამ ცხოვრების არ არის. ეგ დაფრინავს! ეგეთები გულზე არ ეხატებათ!

— შენსავით ყოფილა! — ნალვლიანად ჩაილაპარაკა მეეზოვებ.

— მე... — თვალი თვალში გაუყარა მხატვარმა სურათის პერსონაჟს — მე... შენისთანების მეტი არავინ მიცნობს... მაგას კი აღმერთებენ, საღამოებს უმართავენ... რაც მთავარია, ახალგაზრდაა...

— არც შენა ხარ ჯერ მოხუცი. კარგი ნიკალ, მხატავ?

— ჰო, გხატავ, გხატავ. ისე უნდა დაგხატო, უკვდავებაში შეგადგმევინო ეგ ხის ფეხი!

— რა ენა გაქვს! ჩემი შვილიშვილები გაიხარებენ, პაპას სურათი ექნებათ... ნიკალ, დღეს ჭამე რამე?

— არც გუშინ... — ყრუ ხმით უპასუხა მხატვარმა.

* * *

სამის ნახევარზე ავდექი. საწოლის წინ სარკე მაქვს. თავი შევათვალიერებ, მუცელზე ხელი მოვისვი, ზოდიაქოთი კურო ვარ და გასუქების მეშინია, ეს სუფრებიც არ თავდება! არა, აღარ უნდა დავლიო! გადადებული ყურმილი დავდე ხელი გავუშვი თუ არა, ტელეფონმა დარეკა! „საგიუჟთია“ – გავიფიქრე.

– პო!

– რა რიცხვია დღეს?

– არ მახსოვს!

– 25 აპრილი.

– მერე?

გზადაგზა ვიცანი, ჩემი მეგობარია, ზურა.

– მარის დაბადების დღეა, დაგავიწყდა?

– დაგირეკა? – გული ამოჩქარდა. მე ვგიჟდები მარიზე... მე იგი საიდუმლოდ მიყვარს. – ა? – ჩავეძიე ზურას.

– რად უნდა დარეკვა, ოცდაათი წლის საცოლე კაცი ხარ, ყვავილები ვიყიდოთ და დავადგეთ!

– ახლა სხვა დროა, ყვავილები რას ეყოფა, დაურეკე, მიულოცე და ხომ არ იხდიოთქო, პიოთხე!

– რომ მითხრას არ ვიხდიო?

– მით უკეთესი. ფული მაქვს ცოტა და რესტორანში წაგიყვანოთ: „იმერეთში“, „კოლხეთში“ ან „კრწანისში“.

– კარგი, დაგირეკავ!

„ოო, ესეც კარგი ამბავი!“ „წვერი გავიპარსოთ!“ „კარგად ჩავიცვათ“, ბრძანებები მომდიოდა ქვეცნობიერიდან, მეც ყველაფერი ხუთიანზე შევასრულე... ზურამ ისევ დარეკა:

– რესტორანი არ მინდაო, საღამოს – ჩემთანო. რა ვქნათ, არ მივიდეთ?

– მივიდეთ, „აბა რაი?“ – ასე იცის მარიმ და მას მივბაძე. მარი, ოქტომბრის თვეში გავიცანი ზღვაზე, მას შემდეგ რამდენიმეჯერ შევხვდი და აი, დღეს მისი დაბადების დღეა, 2002 წლის 25 აპრილი.

– მე გამოგივლი, რადაცემბი ავიდოთ და აუცილებლად ვესტუმროთ. მანამდე გალერეაში უნდა შევიარო... კიბეზე დავეშვი, მანქანაში ჩავჭექი და გასაღები გადავატრიალე. „მერსედესი“ მყავს, ათი წლისაა, მაგრამ... „მერსედესია!“ (უნდა მეთქვა „მაქვს“, მაგრამ მე სულიერად აღვიქვამ) რუსთაველით მივდივარ. შეიცვალა ქალაქი: ახალი კაფეები, მარკეტები, რესტორნები, სასტუმროები, რამდენი კაზინო.

ხალხს ფულის მოგება უყვარს! უფრო სწორად ფული უყვარს ხალხს, უფროსები ამბობენ, ასე არ იყო წინათო, რა ვიცი, ყველას თავისი ახალგაზრდობის დრო უყვარს! ანეკდოტი გამახსენდა:

შვილიშვილი ეკითხება ბაბუას:

- ბაბუ, სტალინის დრო ჯობდა თუ ხრუშჩოვისო?
- სტალინისო, – უპასუხნია ბაბუ.
- რატომ, სტალინისტი ხარო?
- არა, მაგრამ მაშინ მიღებოდაო!

გამეცინა. ფილოსოფიურად მართალი ანეკდოტია! ალბათ სიმართლეზე ეცინება ადმიანს. ის ბაბუც მართალია, მისი თეორიით „ახლა ჩემი დროა“, რადგან ახალგაზრდა ვარ და ყველაფერი წესრიგში მაქვს: მაქვს ცოტა ფული, ბინა და მანქანა, ვარ მხატვარი და ახლაც ფულის საშოვნელად მივდივარ გალერეაში: იქ ახლობლის „პროტექციით“ მოვა ვიღაც, ნიკოლოზის ფულები უნდა შევუმოწმო. აი, კიდევ კაზინო! ჩაგუარე აღდგენილ პირველ სკოლას, ილიას და აკაკის., პაატა კაკაურიძემ მკითხა ამასწინათ – გინდა მკვდარი იყო და ამათ შორის იდგეო? მასხარაა არა? საიდან მოიფიქრებს? ისე, ცოცხალი რომ იყო კაცი და მაგათ შორის იდგე, ჯობია! რა საოცარია, რა არ ისროლეს აქ, ილიას და აკაკის ძეგლი კი გადარჩა! განგების ნიშანია! მოედანთან არ მისული მარცხნივ ვუხვევ და გალერიისკენ მივემართები. მანქანა ტროტუარზე შევაჩერე, აქ გაჩერება არ შეიძლება, ამიტომ უნდა ვიჩქარო. გალერეის კარებთან შემხვდა აღწერილი პიროვნება:

- გიორგი თქვენ ბრძანდებით?
- ჰო, მე ვარ, თქვენ სოსომ გამოგგზავნათ არა?
- კი!
- თან გაქვთ? – ვჩქარობ – იქნებ მანქანაში ჩავსხდეთ? – „კლიენტი“ მომყვება.

ვსხდებით მანქანაში, ზუსტად იმ დროს, როდესაც ინსპექტორი შევნიშნე, მანქანა ადგილს მოვწევიტე. მან შორიდან ზოლიანი ჯოხი დამიქნია. ამ ჯოხს ზოგი „ზებრას სირს“ ეძახის. კარგია არა? მაგარი ხალხი ვართ ქართველები!

„ახლა ამას ნიკოლოზის თუმნიანები საიდან უნდა ჰქონდეს?“ თითქოს მიმიხვდაო, ჯიბიდან ამოიღო და მომაწოდა...

– გალები მაქვს, გავყიდო მინდა, შემიფასეთ თუ შეიძლება.

— თუ, უნდა შეიძინოთ? — გავუცინე მე — ჩემთვის მაგას მნიშვნელობა არა აქვს — ოქროს ფულის დანახვაზე მანქანა ისე დავამუხრუჭე, თნამგზავრმა თავი შუშას კინარამ მიარტყა. ნამდვილს პგავდა!

— ეს თუ ნამდვილია, შემდეგი ნაბიჯი რა იქნება? — თან ვათვალიურებ, ისე ვკითხე.

— უცხოელებს უნდა მივყიდოთ, ასე მითხრა სოსომ, თქვენი კავშირების იმედი მაქვს, ეგ ფული ნამდვილია.

— ასე ჩანს. ოქროა! — კბილის დაკარებაც არ უნდა, მაგრამ მაინც ჩავუტარებ ექსპერტიზას. თუ ნაღდია, ოქროზე ბევრად ძვირი ღირს, გესმით ალბათ!

თავი დამიქნია.

— ამას ხვალამდე წავიდებ. არა, ხვალ პასუხს ვერ მოვასწრებ, ორ დღეში გეტჟვით. სულ რამდენი ცალია?

— ასი.

ელდა მეცა. ეს დიდი თანხა იყო. არადა ამ კაცს არაფერი ეტყობა!

— ხომ მენდობით?

— რა თქმა უნდა! — გამიღიმა „კლიენტმა“.

მანქანიდან ზუსტად იმ ადგილას გადავედი, სადაც იაკობ ნიკოლაძის ორიგინალური „აპაკი“ დგას, ორიგინალური იმით, რომ ანტიკური გმირების მსაგვსად, ტორსი შიშველი აქვს. ვინ იცის, ავტორმა ფარულად „არაფერი ებადას“ თემაც გაათამაშა, ვინ იცის! მე ის ვიცი, რომ დღეს მარის დაბადების დღეზე მიმეჩარება! რადიო ჩავრთე. ფილარმონიაზე ათასამდე რეკლამაა, ყველა მღერის ვისაც არ ეზარება! ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მობილური აწკრიალდა.

— სად ხარ? — ეს სოსოა.

— გაკეში მოვდივარ.

— შეხვდი?

— ჰო, გადმომცა, ჯიბეს „მიწვავს“

— ნაღდია?

— თუ არ ვცდები. საიდან გაჩითე?

— მაგარი ვარ არა?

— ძველი ხარ. ქოთანი იპოვა?

— რა ვიცი.

— რა მოვთხოვოთ?

— გაყიდულიდან 10 პროცენტს იძლევა.

ამ საქმეს ვერ გადავდებ, მივდივარ ნუმიზმატთან. ფული ნადდია, მაგრამ ყველა უნდა შემოწმდეს „პუპლა“ რომ არ იყოს.

ისევ მობილური:

– ჩამოდი საუნაში.

– რა დროს საუნაა?

– ჩამო, კაი ლუდი გვაქვს და შენთვის კაი გოგო გვყავს.

– მეპატიუებით?

– არ გრცხვენია? – გავთიშე და საუნისკენ ავიღე გეზი. დღეს მარის ვნახავ! „კი, მაგრამ „აქ“ რა გინდა?“ ქვეცნობიერიდან შემეკითხნებ. „ეს სპორტია, წელის ვარჯიში და საერთოდ ბიოგელების გაცვლა, ფსიქიკური განმუხტვა, მამაკაცი პოლიგამური არსებაა“ გავაგზავნე პასუხი. ნომერში ორი ძმაკაცი და სამი გოგო დამხვდა.

– თქვენ მეცნობით! – გამიცინა ქერამ.

– ჰო, „მოამბე“ მიმყავს! „ეტყობა ესაა ჩემთვის“. გავიფიქრე

– მეც არ გამიკვირდა? სულ „მოამბის“ ცქერაში ვარ.

– თქვენ კეისრის ცოლი ხართ?

– რატომ, საკეისრო მაქვს?

– არა ზეწარი გაქვთ ისე შემოხვეული!

თავისკენ მიმიზიდა.

– შენ ვიღაცას მართლა მაგონებ.

– ტომ კრუზს მადარებენ, მაგრამ მე დიკაპრიობა მინდოდა!

– მართლა?

– ხუმრობა არ იცი?

– მე დიკაპრიო არ მევასება. ტომ კრუზი კი, მაგრამ დაბალია... ამასობაში უკვე აუზში ვართ... მისი შიშველი სხეული წყალში კრიალებს. ორივე ფეხი შემომხვია (თუ შეიძლება ასე ითქვას) და წავიდა...

– რამდენი წლის ხარ? – მეკითხება,

– შენ?

– 18-ის.

ტემპი გავზარდეთ, წყალი აღელდა, „ტიტანიკი“ ჩაიძირა! „გაირყვნა ქვეყანა!“ ორგაზმთან ერთად ქვეცნობიერი შემეხმიანა.

- ეს ქალი ვინაა? – პკითხა მეეზოვებ ნიკალას.
- მარგარიტაა, ფრანგი აქტრისა.
- გიყვარს?
- ჰო... – ნიკალამ ნახაცს გახედა – პარიზშია.
- მერე ვერ წახვედი? მაიცდამაინც ბოლშევიკების მოსვლას უცდიდი?
- ფული არ მქონდა. ხომ იცი, ჩვენს დროში უფულო არავის სჭირდები.
- შენნაირ კაცს რომ ვერ დააფასებს, ის ქალი რა ვთქვი...
- ჰო, სანამ ფული მქონდა, იცოცხლე „ჟე ტემ მონ ამუღ“-ო მემახდა, მაგრამ გამითავდა ფულები, ჩამოვყარე ყურებიო, ხომ გაგიგია? ასეა ჩემი საქმეც. ქართველი შემყვარებოდა ვინმე, იქნება ასე არ წასულიყო ჩემი საქმე. სად პარიზი და სად ეს ეზო! აქაურობა ასი წელი ვერ დაეწევა პარიზს! ვერც მე გავხდები სეზანი!

– არა და, შენი ადგილი იქ არი ნიკალ! ღმერთს გეფიცები, თუ გატყუებდე! ფული რომ მოგცა, წახვალ?

ნიკალამ ხელი ჩაიქნია და ნერვიულად აამოძრავა ფუნჯი. ტილოზე თანდათან იკვეთებოდა მეეზოვის ფიგურა.

* * *

ოქროს თუმნიანი ამოვიდე, ისევ შევათვალიერე. ნიკოლოზ მეორე პროფილში. აი, ასეთი დაუნდობელია ბედისწერა, ეს კაცი, ამ ოქროზე გამოხატვის არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ლენინმა დედაბუდიანად დაახვრეტინა!

ზურამ დარეკა:

– შვიდზე გამოგივლი. თუ გინდა ჩემი მანქანით წავიდეთ, ორი მანქანით ხომ არ მივალო?

– არა, როგორც გითხარი, მე გამოგივლი და ჩემით წავიდეთ! – რატომდაც მარისთან ჩემი „მერსით“ მომინდა „წამარიაჟება“.

– ო, კეი! – სახლის წინ დაგელოდები.

შვიდამდე დრო მაქვს. შევედი „ბიგ ბენში“ და საჩუქრების არჩევა დავიწყე, შოკოლადები, ფრანგული „კანფეტიე“ და ა.შ. ბოლოს დიდი ფუმფულა რაში შევიძინე. წელს ცხენის წელია, მარის გაუხარდება. კაცობრიობა პოროსკოპზეა გადართული! ყოველ დღე, ყოველ გაზეთში, ჟურნალში, ტელეეკრანით ქვეყნდება მილიონობით პროგნოზი. ჩვენც ვკითხულობთ! კარგი თუ წერია – გვჯერა, ცუდის – არა! „სე ლა ვი!“ ასეთია ცხოვრება. მე მაინც მიმაჩნია, რომ ცხენის წელში

კარგი უნდა იყოს დაოჯახება, მითუმეტეს, თუ ოცდაათი წლის ხარ და გულიც საქმაოდ ნაჯერები გაქვს ამქვეყნიური სიამებით.

სუპერმარკეტში ტელევიზორისკენ გამექცა თვალი. „პურიური“ მიდიოდა ექვს საათზე.

— „გამტაცებლებმა მეფისდროინდელი მონეტები წაიღეს და მიიმალნენ. პოლიცია გვპირდება, რომ...“

„მონეტები?“ — გამიეღვა — ეს ის ხომ არ არის, ჯიბეში რომ მიდევს?“ პორტმანი ამოვიღე, ფულს ვიხდი. პორტმანის ერთ-ერთ ჯიბეში ოქროს მონეტა ხელით მოვსინჯე, თითქოს მეც დამნაშავე ვიყო, თვალი ისე მოვავლე დარბაზს, ეს მექნიკურად მომივიდა, მაგრამ დაგაფიქსირე, რომ ვიღაცას ვემალებოდი! „მართლა მოპარული თუ არის, სად ეშმაკებში გინდა გაასაღო?..“

პორტმანი თავის ადგილას, შარვლის უკანა ჯიბეში ჩავიდე და პაკეტებით გარეთ გამოვედი. მანქანა ეგრევე არ დავქოქე, ფიქრებში წავედი. „რადა ეს ფული იქნება? სხვასაც ხომ შეიძლება ჰქონდეს ასეთივე კოლექცია?“ „ყოველ შემთხვევაში — დავასკვენი ბოლოს — ახლა ამის ყველასთან გამოჩენა არ შეიძლება“. რადო ჩავრთე: „ფული გაქვს? მაქვს! მაქვს! თუ ფული გაქვს შენი ვარ!“ კი, ზუსტად ეს დროა! ჰოდა, ჩვენც გამოვიყენოთ ეს დრო! მანქანა დავძარი და ზურას სახლისკენ გავწიე, ამ დროს „საცობებია“, მივბობდავთ. როგორც იქნა, ჩავაღწიე...

— ყვავილები არ ვიყიდო? — შემეკითხა ზურა.
— რაც საჭიროა, ყველაფერი ავიღე! იქ ჰოლანდიური ყვავილიცაა, ქრიზანთემა.
— ძელი სიმღერის თემები: „აყვავდნენ ქრიზანთემები“ — გაიცინა ზურამ.
— ჰო, კარგი რითმაა, მაგრამ შენამდე ალბათ ბევრჯერ გამოყენებული!
— რა მოხდა? მე ხომ არ ვძეჭდავ, მე ზეპირსიტყვიერების ოსტატი ვარ!
— მე ვიტყოდი, დიდოსტატი! — ნელ-ნელა კარგი განწყობა დამუშავდა.

ვუახლოვდებით ფიროსმანის ქუჩას.

— აი, აქ! ამ ეზოში შეაყენე მანქანა —
გაჩერებული არ ვარ — ზურა მანქანიდან ხტება.
— უკაცრავად, მარი რომელ ბინაშია? — მიმართა მოხუც ქალს ზურამ.
— აქ ვარ, ბიჭებო, შემოდით! — გადიმებული მარი ანგელოზს ჰგავდა. ბინა თავიდანვე არ მომეწონა, პირველ სართულზე, ძველი, ხის ფასადიანი, რიკულებიანი კიბით. ოთახში, სადაც შეგვიძლვა მასპინძელი, ყევლაფერი ძველებური იდგა: კარადა, ტახტი, ტელევიზორიც კი. „მარი აქედან უნდა გავიყვანო!“ გადაწყვეტილება მივიღე.

* * *

მაინც სად გაიცანი ეგ აქტრისა? – პკითხა მეეზოვებ.

– ტფილისში. გასტროლებზე იყო ჩამოსული რა, არ დასწრებისარ მის კონცერტებს?

– სად კონცერტი და სად ცოცხი! – ამოითხრა ხანში შესულმა – მერედა... ფრანგული იცოდი?

– კომსი-კომსა... ისე...რა... ცოტა რუსულით, ცოტა ფრანგულით.

– მაგას რომ მორჩები... როდის იქნება! გავალ, ერთ ბოთლ ღვინოს და რამეს ამოვიტან...

– კარგი! – შუბლზე ხელი მოისვა ნიკალამ, ფუნჯი ნაჭრით გაწმინდა და მოლბერტის ახლოს, ტუმბოზე დადო. თვალი აქტრისას სურათისკენ გაექცა...

... წარმოდგენა დამთავრდა. თეთრი პერანგით და ვარდებით ხელში მსახიობთა შესასვლელთან დგას. მარგარიტა თანმხლებ პირთა გარემოცვაში სიცილ-სიცილით გამოდის თეატრიდან. ქალი შეავლებს თვალს წარმოსადეგ ქართველს.

– ეს თქვენ... – ნიკალამ თაიგული თრივე ხელით გაუწოდა ფრანგ ქალბატონს.

– ო, შაღმან! – წამოიძახა მომღერალმა, ყვავილები კი პანამის ქუდიანმა ულვაშამ ჩამოართვა.

– მე... მხატვარი ვარ... – წარმოსთქვა ნიკალამ – თქვენი პორტრეტი მინდა შევქმნა...

ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმარზე, ისევ შეათვალიერა, მიუახლოვდა და თვალებში ჩახედა:

- ძალიან კარგი, სე სი ბო! სე ფოლმიდაბლ! დამსატეთ, ჩვენ აფიშისთვის მაინც გვჭირდება ახალი სურათი... – მარგარეტი თანმხლებთ მიუბრუნდა

– კი მაგრამ. ახლა ფოტოგრაფიაა მოდაში! რაღა დროს ნახატი აფიშებია! – კატეგორიული უარი მიიღო ყვავილებიანისგან.

– ჟან პოლ! – მკაცრი გამომქმედებელება მიიღო მომღერალმა – ეს ეგზოტიკური იქნება! წარმოგიდგენიათ, სადღაც მიკარგულ ტიფლისში, უცნობი მხატვარი მხატვას და ეს აფიშაზე!

გენიალური იდეა, მე თუ მკითხავთ! – კარგით, დამხატეთ, ოდონდ ჯერ ჩემთან წამოდით, თითო შამპანი მოვსვათ! – გაუცინა ნიკალას.

ნიკალას ხელი მკლავში მოჰკიდა და იქვე ლია რესტორნისკენ წაიყვანა. რესტორანში სასულე თრკესტრი უკრავდა, შვიდკაციან მაგიდას მიუსხდენ.

ნიკალამ მენიუს გადაავლო თვალი, „გვაქვს ფრანგული შამპან“ და ოჯახური, „მაყაშვილის დვინო“ ეწერა მენიუში.

— თქვენ რას დალევთ? — თავაზიანად იკითხა მხატვარმა.

— ოო, დღეს შეკითხვებს მე ვიძლევი, თქვენ...

— თქვენ ჩემი სტუმარი ხართ! მაშ რას დალევთ, „შამპანს?“ ნიკალამ თავი დაუქნია. ერთი თვიციანტი „შამპანის“ მოსატანად გაფარდა, მეორე კერძების შეკვეთას იწერდა, ნიკალასთან ახლოს იდგა... ნიკალამ ქართულად ჩასჩურჩულა:

— ანგარიში მე მომიტანე!

— კი, ბატონო, ჩემთვის სულერთია, გაიცინა მიმტანმა.

— რაო, რა უთხარით? — მარგარეტმა თვალი-თვალში გაუყარა მხატვარს.

— მე ვუთხარი, რომ თქვენ ხართ ულამაზესი მომღერალი, რომელიც ქვეყნიერებაზე შემხვედრია.

— ო, ლა-ლა! — გადაიხარხარეს ფრანგებმა — შეხეთ, რა სიტყვებია, ბრავო!

— მე თუ მკითხავთ — წამოდგა ჟან-პოლი — მე თუ მკითხავთ და ეს მე მეკითხება, ამ სიტყვებს დავწერდი თქვენს აფიშაზე, „ყველაზე ლამაზი მომღერალი მსოფლიოში — „მადამ დიუ მონდ!“ არა?

— კარგია, მაგრამ ძალიან პრეტენზიულია! — დაიმორცხვა მარგარეტმა.

— ჩვენს საქმეში მორიდებულობა არ ვარგა, ეს რეკლამაა, — თქვენ იმპრესიონისტი ხართ? — მიუბრუნდა ჟან-პოლი ნიკალას.

— არა... მე ჩემებურად ვხატავ.

— მით უკეთესი — გაიცინა მომღერალმა.

— მოდით, ჩვენს სტუმარს გაუმაჯოს — მაღალი ორთომელი მიუჭახუნა გვერდით მჯდომს.

— მე კი ვფიქრობ — წამოხტა ერთ-ერთი ფრანგი — პირველი სადღეგრძელო ქალბატონს ეპუთვნის, ყოველ შემთხვევაში ასეა საფრანგეთში... — დამცინავად გადახედა ნიკალას.

— საქართველოშიც... ნამდვილად ასეა! — ჩაიბუტბუტა მხატვარმა.

— ჰოო, თქვენ, ნახევრად ველურებმა, იცით ქალის პატივისცემა? — ცინიკური სახით მიაშტერდა ნიკალას. სუფრა გაისუსა. ნიკალა წამოდგა. ორი კაცი მამლებივით აფოფრილი შეჰყურებდა ერთმანეთს.

— რომ დაგარტყათ, იტყვით: „აი, ხომ ვამბობდი, ველურები ხართო“ ჩათვალეთ, მისიე, რომ დაგარტყით, თქვენ ამის დირსი ბრძანდებით. მარგარეტმა ტაში დასცხო. ყველანი აჟყვნენ, ისიც ძალით დასვეს, გეყოო, უთხრეს, ფრანგებმა ჭიქები მაღლა აღმართეს:

– მარგარეტს გაუმარჯოს – გაიძახდნენ.

ნიკალა ფქეზე დარჩა:

როს კოლუმბი ამერიკას
სადღაც ზღვა-ზღვა დაეძებდა,
მაშინ ქართლში ვახტანგ მეფე
კანონების წიგნსა წერდა.
როს ევროპის მთელი ხალხი
თაყვანს სცემდა მზეს და ცეცხლსა,
მაშინ ქართლში წმინდა ნინო
აწესებდა ქრისტეს წესსა...
როს ევროპის მთელმა ხალხმა
არ იცოდა ანი, ბანი...
მაშინ შოთამ გაასრულა
თვისი ვეფხისტყაოსანი!

ნიკალას მთელი რესტორანი უსმენდა. ქართველებმა ტაში დასცხეს, ფრანგები გაოგნებულები შესცექროდნენ წვეროსან მხატვარს, რომელშიც ასე ძალუმად ძგერდა გული, თავის სამშობლოზე შეყვარებული.

ნიკალამ ორთომელი ზალპით დასცალა.

– თქვენს სამშობლოს გაუმარჯოს! – სიჩუმე დაარღვია მარგარეტმა. ნიკალა ადგა და გამობრუნდა, რესტორანი მიატოვა და ქუჩაში გამოვიდა... მექზოვეს შემოსვლამ გამოარკვია ნიკალა – ქართველი მხატვარი.

* * *

– მარის დაბადების დღეს გაუმარჯოს! – წარმოსთქვა თამადამ, მარის მამამ.

– ჩვენ ძალიან გვიყვარხარ – ჭიქა მიუჭახუნა ზურამ.

– „ჩვენ“ არ ვიცი, მაგრამ „მე“ ნამდვილად – ეს მე ვთქვი.

– ჰოო? – ეშმაკურად გაიცინა მარიმ – სიმთვრალეში გიყვარდები ხოლმე.

მამა შეწუხდა:

– მარი, სტუმარს როგორ მიმართავ, შვილო?

– ვხუმრობ, მამა, გიო კაი ბიჭია, მაგრამ ცოტა-ცოტა... ჭიქას თითო მიუკაკუნა.

– თქვენ, ქალბატონო მარი, ლოთობას მაბრალებთ? – იხტიბარი არ გავიტეხე.

– საქალბატონე – შემისწორა მარიმ.

— სხვათაშორის, კარგი გამახსენება... დღეს რაღაცას ვაპირებ და მოგვიანებით მოგახსენებო!

ისიც მინდა გითხრათ, რომ მე მხატვარი ვარ, იცით ალბათ — არტისტულად გადავხედე საზოგადოებას — მხატვარი დვინის გარეშე ეს იგივეა, რაც გმი — ოკეანის გარეშე!

— პო, პო! რა „მოშნი“ შედარებაა! — გაიცინა ვიღაცამ.

— უკაცრავად, როგორია მხატვარი „პლანის“ გარეშე? ან კოკაინის? — ვიღაც ეშმაკი ბიჭი მექითხება.

ყველა მომაშტერდა. „არ ჩაიჭრე!“ - შემომითვალეს ქვეცნობიერიდან.

— ისე, ჩვენში დარჩეს, თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში — უამრავი მიმდინარეობა! მარი მომიახლოვდა. საერთო სიცილში ვითომ შემთხვევით ტუჩები ხელზე შემახო, იმ ხელზე, რომლითაც ჭიქა მეჭირა. გამაჟრიალა. ეს ისეთი კოცნა იყო, რომელიც კაცს არ დაავიწყდება! „არის კი ისეთი რამ, რაც კაცს არ ავიწყდება?“ „დამანებელ თავი, არ მცალია თქვენთვის!“

— მხატვრობით იყიდეთ „მერსედესი“? — არ ისვენებს ეშმაკი.

— ძალიან გთხოვთ, ყველამ თავის ურემს მიხედოს — ეს ზურამ წარმოსოქვა, დამასწრო.

— იცით რაშია საქმე? — თვალი-თვალში გავუყარე უცნობს — მარი იმდენად კარგი გოგონაა, რომ გაზრდილი კონკურენცია მოსალოდნელი იყო! მარიმ გაიცინა.

— დაწყნარდი გიო! დამშვიდდი, ეგ ბიჭი ჩემი ბიძაშვილია, ლევანი.

გულს მომეშვა.

— ეს საფუძვლიანად ცვლის ჩვენს ურთიერთობას!

თამადამ შემაწყვეტინა:

— მოდით, მშობლების სადღეგრძელო წარმოვსოქვათ, ცოტა უხერხული კია, როცა მეუღლეზე და საკუთარ თავზე ვსაუბრობ, მაგრამ ჩვენ რაც შეგვეძლო, არაფერს ვაკლებდით მარის, განათლება მივეცით, ჯერ ახალგაზრდაა, მჯერა სამსახურსაც იშოვის. ოჯახი შექმენი შვილო — შვილიშვილის ფერება გვინდა — ცრემლი ჩაუდგა თავლებში მამას.

— თქვენ გაგიმარჯოთ! — ფეხზე წამოიშალნენ. დედა სტუმრებს უღიმოდა, თან გადმომხედავდა ხოლმე. არ ვიცი, ვცდები თუ არა, მაგრამ მე მოეჩვენა, თავისი ქალიშვილისთვის გვარგოდი თუ არა — იმას ამოწმებდა!

— თქვენი ბედნიერების იყოს, ქალბატონო, ძალიან გავხართ მარის, — მივევერე მას.

– გმადლობთ შვილო, ბედნიერები იყავით... ახალგაზრდები – ეს ისე თქვა – თითქოს მე და მარის გვლოცავდა...

უცებ მომინდა ამ ხალხისთვის მარის ხელი მეთხოვა!

– მარი, თუ შეიძლება ჩემთან მოდი!

– აქ არ ვარ? – გაიკვირვა მარიმ.

– არა, ახლოს მოდი, გვერდით დამიდექი! – ეტყობა, ამას ისე პრეტენზიულად ვამბობდი, უველამ ჩვენ მოგვაქცია ყურადღება! მარი ნელი რხევით წამოვიდა ჩემსკენ, ამ დროს თითქოს კადრი გაქანდა, მარი გვერდით გაიწია, ჭალი – მეორე მხარეს გადაქანდა, გაისმა ზრიალი, ჭრიალი, კედლების რყევის ხმა. უველა აყვირდა და კარებისკენ გაიქცა. შუქი ჩაქრა. ვერაფერს ვხედავ, უკუნი სიბნელეა.

– მიწა იძრა! – გაისმა მარის მამის ხმა.

სიბნელეში წინ წავედი, რაღაც სახელურს შევეხე, კარის სახელურს ჰგავდა, გამოვაღე კარი და ფეხი გადავდგი, შემდეგ მეორე... სიჩუმე ჩამოვარდა. აღარავის ხმა არ მესმოდა. სახეზე რაღაც ნაჭერი მედებოდა. ნაჭერი გადავწიე და ლამფით განათებული ოთახი დავინახე, ვიღაც წვეროსანი ზურგით მოლბერტოან იდგა. პოი, საოცრებავ, კედლებიდან ფიროსმანის შედევრები მიცემდნენ. „ეს სად მოვხვდი?“ ხელები მოვისრისე – ცხადში ვარ! „აქტრისა მარგარიტა“ კედელზე ეკიდა, უჩარჩოოდ, ხოლო „ჟირაფი“ იატაქზე იდო, წითელპერანგა „მეთევზეც“ იქვე იყო მიყუდებული! პოი, საოცრებავ! თვალებს არ ვუჯერებ, თვალები მოვიფშვნიტე: უველაფერი ისევ ისე დამხვდა: წვეროსანი მეეზოვეს ხატავს! ეს წარმოუდგენელია! ფანტასტიკა! ნუთუ ეს...

უცებ კარზე დააბრახუნეს. მხატვარი კარებთან მივიდა, გააღო. ქალი და კაცი შემოვიდა.

– თქვენა ხართ? – მოწყენით უთხრა მხატვარმა.

– კაცო, შენ ნამუსი არ გაქვს? – დაუღრინა მომხვდურმა.

– რატომ კადრულობთ... – იწყინა წვეროსანმა.

– უი, მეხი კი დაგაყარე, შე ამპარტავანო, შენა! – აკივლდა ქალი – რამდენი ხანია, ქირა არ გადაგიხდია და კიდე ჩვენ ვკადრულობთ არა?

– ნახატებს გავყიდი და გადავიხდი, აუცილებლად გადავიხდი – საწყლად უპასუხა მხატვარმა.

მე მივხვდი, ვინც იყო ის!

– ათი თვე გავიდა, კაპიკი არ გადაგიხდია, თუმნის შემგროვებელი ხარ? დატოვე ეს ბინა!

– სადაც გინდა, იქ წაბრძანდი! – ორივენი ერთად ლაპარაკობდნენ.

— არ გეცოდებით, ხალხო, ამ დამეში სად წავიდე? მე ცრემლები ჩამიდგა თვალებში. ეს რას ვუცქერი ღმერთო! სადა ვარ? უცებ მოვისაზრე, რაც უნდა მექნა.

— მე გადაგიხდით ფულს!

მოულოდნელობისგან უკან გადახტნენ. ნიკალამ სახეზე ხელი მოიჩრდილა:

— ვინა ხარ კაცო, საიდან მოვხვდი აქ?

— შენ... ნიკალა ხარ? — ენის ბორძიკით შევეკითხე

— პო, ფიროსმანაშვილი!

ხელები მიკანკალებდა, ისე ამოვიდე პორტმანი. ძლივს ამოვიდე ოქროს მონეტა და მეპატრონეებს გაუწოდე:

— ეს გეყოფათ? ნიკალამ მადლიერების გრძნობით სავსე თვალები მომაპყრო, ის გაცილებით ლამაზი მომეჩვენა, ვიდრე წარმომედგინა.

კაცმა კბილით გასინჯა ოქრო, შემდეგ ქალს გადასცა.

— ეს ფული აღარ არის, მაგრამ...

— გვეყოფა, კარგად იყავი, — კაცი გაფრინდა.

ქალმა სიტყვა დატოვა:

— ეგრე არ სჯობია?

მე და ნიკალა ოთახში მარტონი დავრჩით, უფრო სწორად, ორნი დავრჩით და გაოცებით ვუცქერდით ერთმანეთს.

— ღმერთო დიდებულო! ნუთუ ეს რეალობაა?

— ვინა ხარ კეთილო კაცო? — დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით მკითხა მხატვარმა.

— მე... გიორგი ვარ... თქვენი კოლეგა ვარ... სამხატვრო აკადემია დავამთავრე და... გამოფენებშიც ვიღებ მონაწილეობას...

— არ ვიცი, რით გადაგიხადოთ ესოდენ დიდი სიკეთე, — ნიკალა ნახატებთან მიერთ, ჯერ „ჟირაფს“ შეეხო, შემდეგ „მოქეიფებს“, „გოგონა ბურთით“, „ლომი“ დაათვალიერა, უცებ მიიღო გადაწყვეტილება: „გოგონა“ ჩამოხსნა და გამომიწოდა:

— ეს ჩემგან გქონდეს სახსოვრად!

— რას ამბობთ? როგორ? — შევშფოთდი მე.

— ეს ჩემგან. ასე მინდა. ისეთი პატივი მეცი კეთილო სტუმარო, იქნებ ანგელოზი ხარ? კი, ნამდვილად! „მხატვარი ვარ, გიორგი მქვია!“ ნიკალამ ძალით შემაჩეჩა ხელში თავისის შედევრი. უკან-უკან ვიხევდი, სურათი ჯერ ორივეს გვეჭირა, შემდეგ მან ხელი გაუშვა და დავრჩი მკერდზეაკრული ნამუშევრით, კიდევ ორი მოკლე ნაბიჯი გადავდგი უკან, ისე რომ თვალს არ ვაშორებდი მხატვარს.

ისევ შემეხო რადაც ნაჭერი, შემოვბრინდი და ოთახში გადმოვაბიჯე, ბნელოდა, მაგრამ ეზოში თავშეურილ ხალხს სანთლები ეჭირათ, სუსტ შუქზე მარის ოთახი ვიცანი: მაგიდაზე ბოთლები წაქცეულიყო, რამდენიმე სკამი ამოყირავებული ეგდო, ჭერიდან „ბიაზი“ ჩამოვადნილიყო. ძლიერი მიწისძვრა მომხდარა!

ეზოში გამოვედი. მარი მომვარდა:

- სად იყავი გიო?
- სიბნელეში გზა ვერ გავიკვლიე, ოთახში ვიყავი!
- კინაღამ დავიღუპეთ! მთელი ქალაქი გარეთაა გამოსული, ამბობენ კიდევ განმეორდებაო!
- პოო? – დიდი ინტერესი არ გამომიხატავს – უფრო დიდი ძვრები მოხდა ჩემს ცხოვრებაში. ავტომატურად მანქანასთან მივედი. საბარგული გავადე და ტილო შიგ ჩავდე, საბარგული დავკატე და წინა კარებისაკენ გავეშურე.
- ეგ რა არის? – მკითხა ზურამ.
- ფიროსმანია! – უდარდელად მივუბე.
- შაყირობ? – გამიცინა მეგობარმა.
- რა დროს შაყირია? ვერ ხედავ, მიწა იძრა?

დილამდე დავატარებდი „მერსის“ თბილისის ქუჩებში. დილამდე არ ეძინა თბილისს. მე კი – სხვა რამის გამო არ დამეძინა. „ნუთუ ეს მართალია?“ უცებ ამ დილანდელი საუბარი გამახსენდა სანდროსთან, ფიროსმანის ნახატებს ეძებდა ბიჭი! ეძებდა და აქ არა მაქვს? საბარგულში მიდევს ფიროსმანის შედევრი და არავინ იცის ამის შესახებ! და არავის სცხელა ახლა ამისათვის! თბილისში დიდი მიწისძვრა მოხდა! ხვალ ყველაფერი გაირკვევა! „ხვალემ იზრუნოს ხვალისა!“

დილით ტელევიზორი ჩავრთე. მიწისძვრით დაზიანებული სახლების უამრავი მაცხოვრებელი ფაქტიურად ქუჩაში დარჩა. რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა. შვიდ ბალამდე იყო მიწისძვრაო, ამბობდნენ სპეციალისტები. ეს არ არის ცოტა. კედლები შევათვალიერე, ჩემი ახლად გარემონტებული ბინის კედლებიც დაზიანებულა, ბათქაში ჩამოყრილია! ამ დროს ჩამესმა: „საქართველოს ხელოვნების მუზეუმიდან გაიტაცეს ფიროსმანის ცნობილი შედევრი „გოგონა ბურთით“. ტელევიზორს ვეცი, ხმა ავუწიე, ეკრანზე გამომძიებელი გამოჩნდა, ჩემზე ოდნავ უფროსი ბიჭი, „მიწისძვრით ისარგებლეს ნაძირლებმა და არეულობაში გაიტაცეს ფიროსმანის ნახატი“ „კი, მაგრამ დაცვის სისტემა ხომ მუშაობდაო?“ ჰკითხეს გამომძიებელს. არ დაიბნა, ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა, მეც დამაუჭვა, ვიფიქრე, ხომ არ მეშლება, ჩავალ ერთი, მართლა თუ მიდევს საბარგულში, ვნახავ მეთქი! „მიწისძვრის დროს პანიკა შეიქმნა ქალაქში, ჯგუფმა,

რომელსაც მიზნად პქონდა სურათის გატაცება, უცბად მოისაზრა, რომ ამაზე კარგ მომენტს ვერ იძოვნიდნენ და ხელოვნების მუზეუმს მიაშურეს, ეს სულ რამდენიმე წუთში მოხდა!"

— კი, მაგრამ — შევეხმიანე გამომძიებულს — რადა მაინც და მაინც ერთი ნამუშევარი წაიღეს? თითქოს გაიგონაო, მიპასუხა: „ერთადერთი, რაც ჯგუფური დანაშაულის ვერსიის საწინააღმდეგოდ მუშაობს, ის არის, რომ მხოლოდ ერთი სურათია გატაცებული, მაგრამ პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ასეთი რამ რამდენიმე ადამიანის მონაწილეობის გარეშე ვერ განხორციელდება, სხვა ვერსია სრულიად გამორიცხულია." , ესეიგი — გავიფიქრე — მუზეუმიდან გაქრა, გაუჩინარდა! მე უნებურად ზიანი მივაყენე საქართველოს ხელოვნების მუზეუმს და საერთოდ...მთელ კულტურას! რა ვქნა? ჩავაბარო სურათი? მერე ვინ დამიჯერებს, რომ მე არ მოვიპარე? წავა დაკითხვები, ცემა-ტყეპა! სიმართლე ვთქვა, საგიუვეთს არ ამაცილებენ! გიუის ხალათი ნამვილად არ მეპრიანება, ისედაც საგიუვეთია გარეთ!" შხაპის მისაღებად, აბაზანაში შევედი. ნიკალას მადლიერებით სავსე თვალები წარმომიდგა „გაყიდე ეგ ნახატი და დამეხმარე" ჩამესმა უცებ! „გავყიდო? ასეთი საჩუქარი გავყიდო?" ეს ხომ სისულელეა! მერე და ვის მივყიდო?" „სანდრომ იცის" შხაპის შემდეგ პისახოცი შემოვიხვიე და ტელეფონთან მივედი.

— გამარჯობა, გიო ვარ! ბიჭო, ხომ არ დაინგრა, შენი სახლი? ცოტა დაზიანდა? კარგი! რა მმაკაცები მყავს, ხომ იცი... კიდევ უნდათ იმათ, იმ უცხოელებს, ფიროსმანი?

— ... მგონი არის რაღაც, ოდონდ ჯერ უნდა მოვილპარაკოთ, ყველაფერი დეტალურად მოვილაპარაკოთ...

— გელოდები! ყურმილი დაგვიდე. გარაჟში ჩავედი, საბარგული გავაღე, ნახატი აქ არის! ნაჭერი შემოვახვიე და ძვირფასი საჩუქარი ლიფტში შევიტანე, ის იქმ დილაკისთვის თითო უნდა დამეჭირა, მეზობელი შემოვიდა ქოშინით:

— ძლივს მოგისწარი! — გაცინა — შეშინდი გუშინ?

— აქ არ ვიყავი!

— რომელ უბანში მოგისწრო მიწისძვრამ? — ჩამეძია კაკო.

— არ დაიჯერებ! ფიროსმანის ქუჩაზე, სახლი თავზე კინაღამ ჩამოგვექცა!

— პოო, ჩვენთან მეცხრეზე სამი მეტრით გადაიხარა ბინა, პიანინოს ძლივს გავასწარი, ისე მომდევდა, ძაღლი მეგონა!

— აზრზე ხარ? — გამეცინა — საკუთარ პიანინოს რომ გაუჭყლიტე.

— არ ვიცი, რა ვქნა — სადმე პირველ სართულზე ხომ არ ვიქირავო ბინა? — შემომხედა შეშფოთებული თვალებით — ეგ რა გიჭირავს? შემამჩნია ნაჭერშემოხვეული ნივთი.

— ეს, რკინის ნაჭერია, ასე მირჩიეს, თუ კიდევ განმეორდა, თავზე დაიდე, ნატეხი რომ არ მოგხვდესო.

— ხუმრობ? ეს რას გიშველის! მაგრამ იძახიან რკინის მაგიდა თუ გექნება, შეძვრე უნდა მაგიდის ქვეშ და არაფერი მოგივაო — ნაღვლიანად დასძინა.

— კაცო, ვერ გაექცევი იმას, რაც გიწერია! წადი, დალიე რამე და მოგეშვება! გუშინ ვსვამდი და მიწისძვრაც იოლად გადავიტანე!

— ეგრე ხო გალოთდები კაცი, იმდენჯერ დაარყია ამ თბილისში, სულ რო მთვრალი ვიყო, გავგიჟდები!

მე უკვე მეცხრეზე ვარ. ზრდილობიანად მივაცილე მეზობელი და უკან გავბრუნდი. „ვის რა აწუხებს!“ „რკინის მაგიდა მაგარი გამოგონებაა! „ცეხი“ უნდა გავხსნა: მიწისძვრის საწინააღმდეგო მაგიდები!“ გამეცინა. ნახატი კარადაში შევინახე, ლოყაზე ნაჭერი მომედო. რაღაც მეცნაურა: „კარადაში შევედი?“ უცებ გამახსენდა, მარის ოთახში დიდი ძველებური კარადა დგას, მე სიბრელეში მხარი მექცა და კარადის კარი გამოვალე, გადავაბიჯე და ნიკალას ოთახში აღმოვჩნდი! ესე იგი, კარადის მეშვეობით, შეიძლება კიდევ აღმოვჩნდე მასთან! სავარძელში ჩავეშვი. „მარის ოჯახის წევრები, რა თქმა უნდა კარადაში არ შევლენ, ესე იგი მხოლოდ ჩემთვის იქნება ეს ამბავი ცნობილი! რაღაცნაირი, უჩვეულო, უპირატეოსობის გრძნობა დამეუფლა, ასეთი რამ სიზმარში გამომიცდია, როცა მე ფრენა შემეძლო და სხვებს არა! საინტერესო სიტუაციაა! ეს ამბავი არავინ უნდა გაიგოს! შემდეგ სვლებს თანდათან გავთვლი! ტელეფონმა დარეგა:

— სოსო ვარ, გადარჩი მიწისძვრას? — უცებ ოქროს მონეტა გამახსენდა, რომ აღარა მაქვს და პლიუს რომ ეძებენ!

— გადავრჩი, თქვენ? — ვატყობდი მშვიდობა რომ იყო, მაიც ვკითხე, ეტიკეტისთვის.

— ჰო, ცოტა დაიბზარა! რა ვქნათ?

— ჩემთან გამოდი და ვილაპარაკოთ, ახლავე გამოდი, ტელეფონში არ მინდა გითხრა, რაღაც მოხდა გუშინ...

— ხომ მშვიდობაა?

— პრინციპში კი... გამოდი, ლუდი გამოაყოლე თრი ბოთლი.

— ყაზბეგი?

— თუ გინდა „ლომისი“ იყოს.

— ქარგი, მოვდივარ!

სავარძელში ჩავეშვი. დისტანციურით ტელეარხები შევათვალიურებ, „ფეშენ ტივიზე“ „მოდელ პლატს“ უჩვენებენ. საკაიფო პროექტია, მოდელები ერთად ცხოვრობენ უკვე მერამდენე დღეა და ტელეგამერების წინ ყველაფერს აქვთებენ, ისევე ბუნებრივად, როგორც ცხოვრებაშია. ხალხი კი უყურებს, პრინციპში არაფერი ხდება, საუბრობენ, იცინიან, ცეკვავენ, ზოგჯერ საცვლებსაც იცვლიან, ხალხი კი მოუთმენლად ელის მორიგ ჩართვას. ჩვენთანაც რომ იყოს ასეთი! აი, მაგალითად, ჩემი ბინა რომ ჩართონ პირდაპირ ეთერში, ამოვიტანე ფიროსმანის ნახატი, შევდე კარადაში, შემდეგ მესტუმრა სოსო, ვესაუბრე ნიკოლოზის ფულებზე, რომლებსაც სხვათაშორის პოლიცია დაეძებს, რა თქმა უნდა ფიროსმანსაც დაეძებს და საერთოდ, როგორ გაუადვილებდა ასეთი გადაცემები ჩვენს პოლიციას თავის როულ საქმიანობას! რაც მთავარია, მაგარი კინო გამოვიდოდა: დეტექტიური, ფანტასტიკის განხრით! მეც კაი ტიპი ვარ, ჩემი ბინა „ჩართული“ რომ იყოს ფიროსმანის „გოგონას“ სხვაგან მივიტანდი, სხვაგან... მაინც სად მივიტანდი? ასეთ რამეს ძმაკაცთან ვერ მიიტან, ორმა იცის, დორმა იცისო. გაყიდი? მერედა უკვე ძიებაში მყოფი სურათის გაყიდვა იოლია? იმ ოქროს მონეტებს რადა ვუყო, ისინიც ხომ იძებნებიან, როგორ გავასაღო? დავუშვათ, ვუთხარი ჩემს კლიენტს, რომ ეს სუფთაა, ის არ არის, რომლესაც ეძებენ, მაინც არ დამიჯერებს, იმიტომ რომ... მე თვითონ არ მჯერა! თანაც „მოშნად“ დააგდებს ფასს, მოპარულის ფასი დაბალია! მაშ, რა ვქნა?

* * *

სოსო მოვიდა. იტალიური ლია პიჯაპი აცვია. გამხდარია და სასიამოვნო ელფერი დაჟკრავს. მე კი — წუხანდელი ნაქეიფარი, ჯერაც არა ვარ ფორმაში და რაც უფრო მნიშვნელოვანია — გონზე. სოსომ ლუდი სამზარეულოში გაიტანა, მეც შევჭევი, კათხები გამოვიდე:

- მე არ მინდა, ლუდს არ ვსვამ, მასუქებს.
- კარგი, სოსო მე დავლევ, შენ — თავს გაუფრთხილდი და მიყურე, როგორ დავეწაფები ამ ლეთაებრივ სითხეს... ისევ ჩემს თთახში დავბრუნდი. სოსო სავარძელში მოკალათდა, ჩემს წინ ტელევიზორი „რუსთავი-2“-ზე გადავრთე.
- მალე „კურიერი“ იქნება — თქვა სოსომ.
- მოისმინე?
- რაზე მეუბნები, რა არ მოვისმინე, დაინგრა ძველი თბილისი.

- არა, მანამდე, გადმოსცეს, სადამოს 6 საათზე, ჩვენი მონეტების შესახებ.
 - პოო, მეცნიერი რომ დააყაჩადეს?
 - ეგ ვერ გავიგე, მაგრამ მგონი ჩვენი მონეტები კავშირში უნდა იყოს მაგ საქმესთან.
 - დაემთხვა. ეგ კაცი ყაჩადი არ უნდა იყოს.
 - „არ უნდა იყოს“ თუ, ნამდვილად იცი, რომ არ არის?
 - ნამდვილად ის ვიცი, რომ შენ გიყურებ! – გაიცინა სოსომ.
 - სოსო, გუშინ ერთი ცალი დაგვარგე, რა დირს ერთი ცალი?
 - ეგ ათასს აფასებს.
 - ეგ რას აფასებს არ ვიცი, რეალურად ხუთასი დირს, მეტად არ გავა.
 - ხუთასში ორმოცდაათი ათასით ნალები უნდა აიღოს, დაგვთანხმდება? – უარის ნიშნად თავი გააქნია სოსომ.
 - თუ მოპარული და ნაყაჩადარია, ნალებზეც დაგვთანხმდება, თუ სუფთაა, არა. ყოველ შემთხვევაში ამდენს არ დააკლებს, ამით მივხვდებით, ნაღდია თუ არა!
 - უარი რომ თქვას, მონეტა ხომ უნდა დაუბრუნო? – სად დაკარგე?
 - არ ვიცი. დაბადების დღეზე ვიყავი... მერე მიწისძვრა იყო... დამებნა სადღაც არაორდინალურ სიტუაციაში.
 - ეგ არ გამართლებს, მონეტა ან უნდა დაბრუნდეს, ან ყველა იქნას შესყიდული!
 - ამას შენ მეუბნები? – გამიკვირდა სოსოსგან ასეთი ტონი.
 - არა, ამას ის გეტყვის და თუ ნაძარცვია, გაცილებით დიდი საფრთხე გველის!
- დავფიქრდი. „მართალია, ყაჩარებისათვის ხელახლი დაყაჩადება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს“.
- მომისმინე! ახლა გამოჩნდება, რა ფულია ეგ.
 - შენოვის რა მნიშვნელობა აქვს?
 - უნდა გავაფრთხილო კლიენტი, ტყუილს ვერ ვეტყვი, ვერ დაგვარგავ. მეორეც – მოპარული იაფია! ასე რომ, უნდა ვაჯახოთ პირდაპირ!
 - რომ დაფრთხებს? დავუშვათ არ არ არის ნაძარცვი ფული ასე თუ ისე, პატიოსანი კაცი ჩანს, არაფრის მქონე...
 - ეგ მაჟჭებს! უცებ ჩაუვარდა ხელში და უცებ უნდა მოიშოროს, იმიტომ მოვიდა შენოან, შთამომავლობით რომ ჰქონდეს, ნელ-ნელა მოუძებნიდა გზას: კაი სახლს ააშენებდა, კაი მანქანას...

— ცდები, ჩემო გიორგი! — ბოთლში დარჩენილი ლუდი თვალით მოზომა და ბოთლიდან დალია რამდენიმე ყლუბი.

— ყველაფერი პირიქითაა? — დავასწარი მე.

— სოლომონ ისაკიჩ მეჯდანუაშვილი ხომ გახსოვს?

— არა, არა. ეგ სხვა ჩიტია. უცებ ჩაუვარდა ხელთ და იშორებს. ცოტაზეც თანახმა იქნება. დაურეკე!

— მაგრამ ... სიტყვას თუ მივცემთ (იმ შემთხვევაში თუ დაგვთანხმდება) მერე უნდა გავასაღოთ,

— გავსაღოთ... რა! მთავარია ნივთის ზუსტი წყარო ვიცოდე...

დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა!

— კი ბატონო, დავურეკავ! — სოსო ყურმილს დასწვდა.

— მუზეუმის გაძარცვის ამბავი შეიტყვე? — მოულოდნელად ვკითხე. სოსომ ყურმილს ხელი უშვა.

— ჰო, გავიგე! რა ხალხი ვართ ქართველები!

ერთი ფიროსმანი გვყავს და იმასაც იპარავენ!

— ვითომ მოპარულია? — თვალებში შევხედე.

— არა, თვითონ გაფრინდა „გოგონა ბურთით!“

— რადაც დაპატირებას ითხოვს ეს ორი გაძარცვა — მოვიფხანე თავი.

— პოლიციაში გვერდიგვერდ გააფორმებენ და დაუკავშირდებიან ერთმანეთს.

უცებ მაგარი იდეა მომივიდა, მეწვია, მეახლა!

გამინათდა გონება:

— ჯერ არაფერი უთხრა მაგ პაცს, მე მგონი ავიღებ მაგ თქროს, თუ ერთმა კაცმა რაღაც შეასრულა! ოცდაოთხ საათში —თქო — რა 24 საათში? — გაიკვირვა სოსომ.

— შეგხვდები თქო და ყველაფერს ამ დროში გავარკვევ, რამდენიმე საქმე ერთმანეთს უნდა დავუკავშირო, იქნებ საუკუნის გარიგება გამომივიდეს, ან 2 საუკუნის! — შეგძახე მე. სოსო ჩუმად გავიდა.

* * *

— აქ ვინ ცხოვრობს? — ფეხი ჰერა ისედაც მორყეულ კარს შინსახკომელმა.

— მხატვარია, ნიკალა ფირსმანაშვილი. მარტოხელა კაცია... — აუხსნეს მეზობლებმა.

— სად არის? — ეზოს თვალი მოავლო ტყავისქურთუკიანმა ულვაშამ.

- ქალაქში გავიდა, მყიდველს ეძებეს, სულ შრომობს...
- მერე? ნახატებით ვაჭრობა რომ აკრძალულია?
- ისედაც „აკრძალული“ აქვს, ვერაფერს ყიდის!
- ე.ო. იგი პროლეტარი ყოფილა? ანუ არაფრისმქონე? ცოდნა გამოამჯდავნა ხალხის ხელისუფლების წარმომადგენელმა.
- ასე გამოდის!
- ახლა პროლეტარულ კულტურის მუშაკთა გაერთიანება იქმნება, იქ მოვიდეს! პოლიტკულტურის წევრი გახდეს, სანამ დროა – ეს ორი სიტყვა მუქარანარევი ხმით წარმოთქვა.
- კი, გაუხარდება, ალბათ – ჩაილაპარაკეს იქეთ-აქედან.
- ნიკალა მოულოდნელად დაადგა მათ თავს.
- რა ხდება ხალხო, ხომ მშვიდობაა? – მშვიდად იკითხა ნიკალამ.
- ამხანაგია, აღწერას აკეთებს ჩვენს ეზოში! უთხრა მეეზოვებ.
- ძალიან კარგი! გამარჯობათ! – თავი დაუკრა სტუმარს.
- ამხანაგო მხატვარო! – რიხით წამოიწყო მან.
- გისმენთ, მეგობარო...
- დიად გარდატეხათა ქარიშხალში მხატვრებს, მწერლებს, მოგიწოდებო გაერთიანდეთ პროლეტკულტის წევრებად, ამას მოგიწოდებო პარტია, და მისი ბელადები: ლენინი, ტროცკი და ამხანაგი ორჯონიკიძე.
- ეს ის ამხანაგია, თეორ ცხენზე მჯდომი რომ შემოუძლვა წითელ ჯარს? – თვალებში შეხედა ნიკალამ აგიტატორს.
- დიახ, რკინის სერგოდ წოდებული – ასე შეარქვა მადლიერმა მუშათა კლასმა მას.
- მერე და, მუშათა კლასის ბელადებს მხატვრებთან რა საქმე აქვთ? – მიამიტური ზმერა მიაპყრო თანამოსაუბრებს ნიკალამ.
- თქვენ, კლასობრივად ჩამორჩენილი ყოფილხართ! ახალ დროს უნდა აუწყოთ ფეხი, თქვენმა ხელოვნებამ აგიტაცია უნდა გაუწიოს მასებს, რომლებიც ნათელი მიზნისაკენ, კომუნიზმისაკენ მიიღინან!
- მეგობარო, მე ვხატავ, მაგეების არაფერი გამეგება! – ნაღვლიანად თქვა ნიკალამ და კარებში გაუჩინარდა.
- ერთი, რას ხატავს, ძალიან მაინტერესებს – ყველას გასაგონად ჩაილაპარაკა შინსახეომელმა და ნიკალას ოთახში შეჰყვა. უბოდიშოდ დაუწყო ნახატებს თვალიერება.

— აი, ეს კარგია, მეტოვე! მშრომელ ადამიანს ასახავს! ესენი კი — რა ამბავია, ამდენი მოქეიფე? ან ცხოველები, ეს ქალბატონი ნახევრად შიშველია! რა უნდა ასწავლოს მშრომელთა მასებს ამ ნახატებმა? — გაჰყვიროდა ხელისუფლების რუპორი.

— კაცო, რას გადამეკიდე? არავის სწავლას არ ვაპირებ, ჩემთვის, რასაც მინდა — იმას დავხატავ!

— როგორ „ჩემთვის“? აწი ყველაფერი „ჩვენთვის“, „ხალხისთვის“ უნდა იყოს!

— რა მძიმე ხალხი ხართ ეს ბოლშებიკები, ჩემი თავი გამჭირვებია, ახლა შენ დაემატე! — ამოიოხრა ნიკალამ. ბოლშევიკი უცებ მოეშვა. ნიკალას გვერდით ჩამოჯდა, თუთუნი დაახვია და მზრუნველი ხმით უთხრა:

— შენთვის უკეთესი არ იქნება? ნახატებს შეისყიდიან, უკეთესად იცხოვრებ, ბოლოსდაბოლოს თემას რა მნიშვნელობა აქვს?

— შენ სპეციალურად გამოგგზავნეს?

— არა, ჩემით „ვჩალიჩობ“ რევოლუციის სასარგებლოდ! ასე მწამს! — იდეური თვალები მიაპყრო მხატვარს.

— ღმერთი არ გწამს? — მოულოდნელად შეეკითხა დაუპატიჟებელ სტუმარს ნიკალა.

— ეგ ცრურწმენებია, მჩაგვრელების მიერ მოგონილი, მეფეებს აწყობდათ დმერთი, თავიანთი ბატონობა რომ გაემართლებინათ, აქაოდა, ღმერთი გვნიშნავს მეფეებადო, თქვენ, მშრომელები, საქიოს დაელოდეთო, ილოცეთ და ჩვენი მყუდროება არ დაარღვიოთ, არ აჯანყდეთ და ცხოვრება არ გაგვირთულოთო, გასაგებია?

— მეცოდები! — ძლიერ გასაგონად თქვა ნიკალამ.

— რა მჭირს შენი შესაცოდები? ეს მე მეცოდები შენ! — გზას აცდენილი დეკადენტი! ვერ ხედავ, სად ცხოვრობ? — გააფრთდა ბოლშევიკი.

— ასე ინება უფალმა!

— კი მაგრამ... რატომ? — ისინი რომ სასახლეებში ცხოვრობდნენ? შენ რატომ უნდა გეცხოვრა ასე? ყველამ ერთნაირად უნდა იცხოვროს,

— იესო სად დაიბადა იცი? — პასუხად კითხვა მიაგება მთავრობის კაცს.

— შენ „კაპიტალი“ წაგიკითხავს? არა, რა თქმა უნდა! არაფერი იცი ზედმეტი ღირებულების შესახებ!

— არცოდნა არცოდვაა! რას ქადაგებს ეს შენი „კაპიტალი?“

— რას და ეკონომიკურად არის გამოთვლილი, როგორ იგებს ფულს კაპიტალისტი!

— პა, როგორ იგებსო? — გაიცინა ნიკალაშ.

— როგორ და გაურიგდება მუშას და დაითანხმებს ხელფასზე, ხოლო თვითონ იმ პროდუქციას ზედმეტ ფასად პყიდის... აი საიდან რჩება მოგება! მერე კი სიგარას ეწვება და დიპი აქვს!

— მოიცა, მოიცა — ხელი მხარზე დაადო მხატვარმა, თან თვალებში ჩახედა:

— რასაც შეპირდა, — მისცა იმ მუშას?

შინსახომელი შეცბა. არ იყო მისთვის მომგებიანი საკითხის ასე დასმა.

— დავუშვათ მისცა! მაგრამ... იცი, რა ცოტაა ეს?

— აი, მე მაგალითად როცა ვხატავ, ბევრი არაფერი მახსოვს, არაფერი მაწუხებს, ზოგჯერ ძაღლივით ვიტან შიმშილს, მე რატომ არ ავჯანყდი? თუ — ძაბუნი ვარ?

— ხასიათი გაქვს ჩაგრული ადამიანის! ახალი ადამიანი, ახალი მხატვარი, ახალი პოეტი, ახალი მუშა უნდა ავლზარდოთ ჩვენ! თავისუფალი, ლადი და ღირსეული!

— კი მაგრამ... ჩემს ღირსებას რატომ ლახავ?

— ეჲ, გულით მინდოდა შენთვის მეშველა! სამწუხაროდ შენმა მატარებლება უკვე ჩაიარა: ახლა ჩვენი დროა! — ამაყად წამოდგა, ნიკალას არც დაემშვიდობა, ისე გაშორდა, როგორც ქველს, მობეზრებულს, საძულველსაც კი!

* * *

სანდროს გავუარე. გავიგე, რომ ფიროსმანის შეძენის მსურველნი ამერიკელები ყოფილან. ჩემთან შეხვედრა საჭირო არ არის, ისე შეისყიდიან ნამუშევარს. უცნაურია, წესით მე უნდა ვითხოვდე კონსპირაციას, მაგრამ ისინი მთავაზობენ, მთავარია, სურათი ერთი ღამით ვანდო, საკუთარი ექსპერტი ჰყავთ. არადა როგორ გინდა გატაცებულად აღიარებული ნამ შეგარი მიუტანო? გავიყიდები. მაინც უნდა გავრისკო, იქნება არც გაუგიათ არაფერი. არ არის გამორიცხული, არ იცოდნენ მთელი თბილისი მიწისძვრაზე საუბრობს, მაინდამაინც არ სცხელათ ფიროსმანისათვის. მხოლოდ ერთი, სანდროს ფაქტორი მაფიქრებს: მიწისძვრის შემდეგ ბალში ვსეირნობდი და ნაჭერმოხვეული ვიპოვე! რა, არ ჰგავს სიმართლეს? კი, ბატონო, ვიღაცამ გაიტაცა მუზეუმიდან, მაგრამ მერე რატომდაც მიაგდო, ან დამალეს ცუდად. რა მნიშვნელობა აქვს? მოგების იმედით გაჩუმდება. ასეთი გადაწყვეტილება საკმაოდ კარგად აღვიქვი, მომეწონა. გეზი მარისკენ ავიღე, მაინტერესებს იქ რა ხდება. მარი სახლში არ დამხვდა. მამისმა

აღარ იცხოვრება აქო, ბინა დამათვალიერებინა. ერთ-ერთი ოთახის ჭერიდან ცა მოჩანდა! აქ მართლაც აღარ იცხოვრება! ამაზე კარგი მომენტი არ მექნება მარის ხელის სათხოვნელად, თან ჭირივით მეზარება ოფიციალურად ხელის თხოვნა, უცებ გადავწყვიტ:

- ცუდად თუ არ გამიგებთ, მე... მარტო გცხოვრობ, დიდი ბინა მაქვს და გადმოდით ჩემთან!
- კაი ახალგაზრდა ყოფილხართ, გმადლობთ, მაგრამ ეგ როგორ გამოვა... მაინც ქალიშვილის მამა ვარ! რას იტყვის ხალხი!
- ახლა აღარ ვიცი რა ვუთხრა, დანარჩენს მარის ვეტყვი! იცხოვრონ ჩემთან... ეს ბინა მაინც აღარ გაკეთდება! თითქოს მიმიხვადო:
- ალბათ მოგვცემენ სანაცვლოდ, დაგვეხმარებიან!
- გულში გავიფიქრე: „ნეტარ არიან მორწმუნები“, ხმამაღლა კი ეს ვთქვი:
- აუცილებლად მოგცემენ, მანამ კი მარის გადაეციო ჩემი წინადადება. დღესვე გადმოდით, აქ დარჩენა საშიშია! პასუხს აღარ დაველოდე, მანქანისკენ შევტრიალდი.
- დიდი მადლობა... შვილო! მომაძახა მარის მამამ.
- იცით, რა? – შევჩერდი – ახლავე წავიდეთ, მარისთვის სიურპრიზი იქნება.
- არა! ჯერ თქმენ დაითანხმეთ, მე თანახმა ვარ!

ეს ნიშნავს რომ მამა მარიზე დაქორწინების ნებას მაძლევს! მან დამლოცა! როგორც ცხენს, ისე მოვაჯექი „მერსის“. მარის საღამოთი ვნახავ, მანამ კი ოპერაცია „გოგონა ბურთით“ უნდა ჩავატარო! შეიძლება საქმეები ისე წავიდეს, მიწისძვრის სადღეგრძელოც კი ვთქვა!

* * *

- ეს ნახატი ბალში ვიპოვე – კარადიდან ფიროსმანი გამოვიდე.
- რას ამბობ?! გავგიჟდები! – წამოიძახა სანდრომ – როდესაც ნახატს საბურველი მოვაცილე. – რას ვხედავ! „გოგონა ბურთით!“ სიხარულით ცას ეწია! „ვაუ“ დაიძახა და ხელი შემართა, ამერიკულად!
- მერე ენდობი იმ ხალხს? მთელი ღამე ხომ მათთან უნდა იყოს?
- ნაღდი ხალხია, ჩეკს მაძლევენ, წინასწარ. ხოლო როგორც კი დარწმუნდებიან ნახატის ორიგინალობაში, მთელ თანხას.
- ჩეკის განაღდება შეიძლება? – დავეჭვდი.
- არა, ისე გვაძლევენ, მშვიდად რომ ვიყოთ!

- სისულელეა! ჩეკს აღადგენენ, დავგარგეთო განაცხადებენ და მორჩა!
- აბა, სხვა რა გზა გვაქვს?
- აქ მოიყვანონ ექსპერტი! უცებ გადავწყვიტო.
- მერე, არ გეშინია? ეს სურათი ხომ გატაცებულია?
- არსებობს დდი პროცენტი, რომ ეგ ამბავი ჯერ არ იცოდნენ, მერე – გვიან იქნება! ამიტომ რაც მალე მოიყვან, ჩვენთვის უკეთესია!

სანდრომ მობილური „დააძრო“:

- სანდრო ვარ! ნამუშევარი მე მაქს... უნდა შევხვდეთ, პირობები იცვლება... ჰო, ახლავე გამოვალ და ყველაფერს აგიხსნი.

- ჩემო სანდრო, ყველაფერს აგვარებ, მაგრამ ფასს არ მეუბნები, მაინც რას გთავაზობენ ამ სურათში?

- ყოველ ნამუშევარს თავისი საგარაუდო ფასი აქვს, არის ფასები უცნობი, ნაკლებად ცნობილი და ყველსათვის ძვირფასი შედევრისა – კლასიფიკაციის მიხედვით!

- ეს ხომ შედევრია! პარიზის გამოფენაზეა ნამყოფი, ყველა კატალოგშია შესული, აფიშაზეც კი იყო გამოხატული!

- შეიძლება მილიონიც ღირდეს, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა დავაკლოთ, ასე ვთქვათ, ლუფტი დაგუტოვოთ!

- ხუთასი ათასი მოგვცენ და ჩვენ – ჩვენთვის... რომ ვერ გაიტანონ და ხელი ჩვენ დაგვადონ? სანდრომ მხრები აიჩეჩა.

- ეს და სხვა საკითხები სასწრაფოდ გაარკვიე და პასუხი გამაგებინე, ჰო, იცი კიდე რა უთხარი? ხომ არ შეგიძლიათ, კიდევ რამდენიმე ნამუშევარი რომ შეიძინოთ თქო? ისე ჰკითხე, ვარიანტად, მაინტერესებს რამდენის „აწევა“ შეუძლიათ!

- ფიროსმანის ნამუშევრებს გულისხმობ?

- რა თქმა უნდა!

სანდრო დაბნეული თვალებით მომაჩერდა... ხელით ვანიშნა აჩქარებულიყო.

* * *

მარი ადრე დაბრუნდა შინ. რამდენიმე ფირმაში იყო გასაუბრებაზე. შესაფერისი სამუშაო ვერ იპოვა, ერთმა კი – პირდაპირ ლოგინი შესთავაზა! რა, ძნელია იყო პატიოსანი, როცა ყველა და ყველაფერი იყიდება! და საერთოდ, რაღაც არაჯანსაღი ატმოსფეროა მის საყვარელ სამშობლოში – საქართველოში!

ზოგის გაფულიანება სხვების გადატაკებას იწვევს რატომდაც, გეგონება ხალხის ჯიბეებიდან იღებს უხილავი ხელი ფულსო. ისინი, მდიდრები, ნელ-ნელა შორდებიან იმ ხალხს, ვისი შვილებიც, ნათესავები და მეგობრები არიან! მართალი ყოფილა გამოთქმა: მაძღარი მშიერს ვერ გაუგებსო! ისევ ჩატყდა ხიდი „ჩვენსა“ და „მათ“ შორის. ისევ გაუცხოვდა საზოგადოებისთვის ადამიანთა გარკვეული ჯგუფი. ნუთუ ამისთვის აფრიალებდა თავის თანატოლებთან ერთად დამოუკიდებელი საქართველოს დროშას? არა! ისინი მოატყუეს! მათთან ერთად მთელი საქართველო დარჩა მოტყუებული! ამას წინათ, გალაკტიონთან წააწყდა მარი ასეთ სტრიქონებს:

იქნებ დაგვიდგეს ძველი დრო,
დაბრუნდეს ბურუჟა კვირატი,
ვის უნდა იმათი ტფილისი
ან ბაქო ვის უნდა იმათი!

ისე გამოდის, მართლაც (და არა ცენზურისათვის) შეიგრძნო გალაკტიონმა ქართველ ბურუჟათაგან წამოსული გულგრილობის სუსტი! „კი მაგრამ“ შეედავა საკუთარ თავს: „ხომ იყვნენ ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი? ხომ იყო მიტროფანე ლალიქე? ახლაც არიან ადამიანები, რომლებიც მეცენატობას სწევენ, აი, თუნდაც ის, რად ლირს, ბატონი პატარკაციშვილი მიწისძვრით დაზარალებულებს დახმარებას რომ შეპირდა? ნელ-ნელა ქვეყანა ფეხზე დადგება, სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ახალგაზრდობა ძალიან სწრაფად მიჰქრის! ასეთი ფიქრებით გადააბიჯა ზღურბლს, სახლში არავინ დახვდა, ტანზე გაიხადა, კარადის კარი გამოაღო... რამდენიმე კაბა გადასწია და... უცნაური შუქი დაინახა. მარიმ კისერი წაიგრძელა და კიდევ უფრო მიიახლოვა კარადის უკანა კედლიდან შემოსული სხივი. უცებ კარადას ვიღაც მიუახლოვდა, ნაჭერი გადასწია და მარის თვალწინ წვეროსანი სახე აღიმართა! გოგონამ შეპკივლა, მაგრამ უცნობს თვალს არ აშორებდა. უცნობი ბუტბუტებდა, პირჯვარი გადაისახა:

- მარგარეტ, ეს შენახარ? – ჩაიჩურჩულა წვეროსანმა.
- მარი... მქია! შეშინებულმა ძლივს ამოილო ხმა.
- ქართული საიდან იცი? – აღმოხდა უცნობს.
- ქართველი ვარ! რა დაგემართათ? – მარი უცებ მიხვდა, ვიღაც ფსიქიურად გადახრილთან ჰქონდა საქმე. კიდევ უფრო შეეშინდა:
- მე წავალ! წავალ! – ნერვიულად წარმოსთქვა გოგონამ.
- მარგარეტ, აქ როგორ მოხვდი? – აღბათ სიზმარში ვარ – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მამაკაცმა.

— თქვენ... ვიღაცას მაგონებთ... — უცებ ყველაფერს მიხვდა: კედელში მთელი ხვრელი გაჩნდა და მან უბრალოდ მეზობლის ბინაში შეიხვდა! ეს ბინა ქუჩის მეორე მხრიდან ებჯინებოდა მათ ბინას! უცებ სიცილი წასკდა! აი, კომედია!

— მარგარეტ! მიცანი? — გაუხარდა მეზობელს.

— გიცანით, თქვენ ჩვენი ბეზობელი ბრძანდებით: ეს კი გუშინდელი მიწისძვრის შედეგებია, კარგი, კარგად ბრძანდებოდეთ! ამ ბინაში აღარ იცხოვრება, აქ კომისიაც აღარ არის საჭირო!

მარი კარადას მოსცილდა, საშინაოდ გადაიცვა, „რა ფორმაში მნახა ამ კაცმა“ უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა: „რა ეშველება ამ ხვრელს? მამას უნდა ვუთხრა, მოიტანოს ერთი ტომარა ცემენტი და ეს კედელი მაინც ამოვაშენოთ“ მარიმ ტელევიზორი ჩართო, რომელიდაც არხზე ახალი ამბები მიდიოდა: „გატაცებულია ფიროსმანის ცხობილი შედევრი „გოგონა ბურთით“. ჩვენი სტუმარი გამომძიებელი გახლავთ, როგორ მიდის გამოძიება? ხომ არაფერი დაგიდგენიათ?“ მარიმ გამომძიებელი შეათვალიერა, ახალგაზრდა ქალის საზომებით, რა თქმა უნდა. „გვაქვს ეჭვი, რომ ნახატის გაყიდვას აპირებენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავის დასახელება არ შეგვიძლია, მალე ეს საქმე გაიხსნება, დანამდვილებით გპირდებით, აი, ნახავთ“ „კი, მაგრამ თქვენ ამასწინათ გატაცებულ ოქროს მონეტებზეც ასე ამბობდით...“ „იმ საქმესაც გავხსნით!“ გულზე ხელს იბაგუნებდა ახალგაზრდა კაცი. „ესეც მიწისძვრის შედეგებია“ გაიფიქრა მარიმ. ისევ თავისი სასაცილო შეხვედრა გაახსენდა კედლის მეზობელთან „გავაგიჟე კაცი, როგორმე ბოდიში უნდა მოვუხადო“

— „ნეტავ რა ჰქვია?“ - გადაწყვიტა ახლავე მოებოდიშებინა მეზობლისთვის. კარადის კარი გამოაღო, და შიგ შეიხედა:

— ეს მე ვარ, მარი! გესმით?

ნაბიჯების ხმა მოესმა. მეზობელი კედელთან მოვიდა, ფარდა გადასწია და მარის პირისპირ აღმოჩნდა, ხმა არ გაუღია, ისე გადაისხა პირჯვარი.

— მაპატიეთ, თუ შეიძლება, ისეთ ფორმაში რომ გეჩვენეთ, მიწისძვრას კედელი გაუნგრევია და არ ვიცოდი... ისეთი მოულოდნელი იყო ჩემთვის — უხერხულად გაიცინა — მამას გეტყვი და ამ კედელს შევაკეთებ, დღესვე ამოვქოლავთ ამ კედელს! მამაკაცი მდუმარედ იდგა. თვალს არ აშორებდა კედელში გამოჭრილ ხატებას.

— თქვენ რა გქვიათ? — დაუდაბლა მარიმ.

— მე... ნიკალა... ვარ, ფიროსმანაშვილი! ლმერთო ჩემო, რა მსგავსებაა! მარგარეტს ვხედავ!

მარი უცებ ვერ გაერკვა, ამ სახელი არსში... წამის შემდეგ მიხვდა, ვისი სახელი და გვარი უთხრა ამ მამაკაცმა.

- ვ-ი...ინა ხართ? – ენა წაებორძიკა მარის.
- ნიკალა ვარ, ფიროსმანაშვილი... მხატვარი!

მეზობელი გიჟი იყო, ამას გამოკვლევა აღარ სჭირდებოდა, მარი შეშინდა, საჭირო იყო სასწრაფოდ დამშვიდობებოდა წვეროსანს. თანაც ისე, რომ მას აქეთ გადმობობდება არ მოსურვებოდა.

– სასიამოვნოა, როგორ არ გამიგია, თქვენი ნახატები ხომ მუზეუმებს ამშვენებს? – გიჟს როგორც უნდა დაუყვავო, ზუსტად ისე მიუალერსა მეზობელს.

– დამცინით? – სევდიანად პკითხა ნიკალაშ. თუმც შენს ჩვენებას ყველაფრის უფლება აქვს, როგორ მენატრები მარგარეტ, ისე მენატრები, ხომ ხედავ კედელში ფრესკად მეჩვენები! მხატვარმა თავი ჩაჰქინდრა.

– არა, არ დაგცინით! თქვენი ნახატი მოიპარეს არა? „გოგონა ბურთით!“ იპოვიან, აუცილებლად იპოვიან, მე კი წავალ, კარგად ბრძანდებოდეთ, კიდევ გინახულებთ! – ის იყო მარიმ გამობრუნება დააპირა, მხატვარმა მიუგო:

– „გოგონა ბურთით“ არავის მოუპარავს. მე ის გავაჩუქე! გუშინ, ახალგაზრდა კაცმა სიკეთე მიყო და მას ვაჩუქე.

„მთლად გიჟი ყოფილა საცოდავი, მაგრამ... მშვიდია, კიდევ კარგი! კიდევ კარგი!“ მარიმ კარადის კარი მაგრად მიხურა.

* * *

მაგარი გეგმა მაქვს: ასივე ოქროს გამოვართმევ (ოთხმოცდაცხრამეტივეს!) იმ ტიპს და ნიკალას ნახატებს ვიყიდი. ეს მომაფიქრდა სანდროსთან საუბრის დროს, მას ხომ არ ვეტყოდი? ეს არავინ უნდა გაიგოს, ჯერჯერობით მაინც! შეიძლება გაგიპვირდეთ, რატომ ვჩქარობ? იკითხავთ თქვენ. ახლავე აგისსნით: შეიძლება ყველაფერი თავის ადგილას დადგეს და ფიროსმანი ვეღარ ვნახო! ამას კი ჩემს თავს ვერ ვაპატიებ, მე მომეცა შანსი შევცვალო მისი ცხოვრება, ხატოს ბედნიერმა კაცმა თავისი შედევრები. ვინ იცის, კიდევ რამდენ სურათს შექმნის! ფიროსმანის ნახატების გაყიდვით კი (სულ რამდენიმე საკმარისი იქნება!) გავისტუმრებ ვალს, რომელიც ასი ოქროთი იქნება შეფასებული. გავისტუმრებ, აბა, რა?! მთავარია, ვიჩქარო! განგებამ ისევ არ გაწიროს საწყალი მხატვარი!

სოსოს დავურეკე.

– რა გაარკვიე?

— ტელეფონში გითხრა?

— მოკლედ მითხარი, „მოშნად“ დააკლო?

— ჯო.

— ესე იგი, მართალი გამოვდექ!

არ გატყდა, მაგრამ შენი თეორია გამართლდა. თუ იჩქარებო დიდი „სეილი“ იქნებაო!

— ჯიგარი ხარ! გამოართვი და მომიტანე!

— ამას თავისი „ოფიციალური“ მხარე აქვს მოსაგვარებელი! არა?

— მე უკვე მიცნობს, ისიც იცის, გამქცევი არ ვარ... გვენდობა!

— პრინციპში მართალი ხარ, ესე იგი, უველა წამოვიდო? დარწმუნებული ხარ?

— ახლავე უნდა წამოიღო, დიდი ჩანაფიქრი მაქვს: XXI საუკუნის პროექტი! გასაგებია? იჩქარე!

ესეც ასე, ახლა ისე უნდა მოვახერხო, რომ მარისთან არავინ იყოს ამ საღამოს. ნახატები გვიან დამით უნდა გამოვიტანო XX საუკუნის 20-იანი წლებიდან.

მარის დავურებები:

— სერიოზული სალაპარაკო მაქვს შენთან!

— მეც მინდა რაღაც გიამბო, სადა ხარ?

— სახლში დამელოდე, მალე მოვალ! — ფიროსმანის ქუჩისკენ ავიდე გეზი.

ცირკონ გოგოები დგანან. იქვე სანაპიროს ჩასახევთან ერთი მომიახლოვდა:

— ორმოც ლარად წამიყვან?

არ ვიცი რა ვუპაუხო:

— არ მცალია!

— წამიყვანე რა, საუნაში!

— არა, მართლა არ მცალია, არ გეწყინოს.

— წადი! ხელი ამიქნია „პუტანამ“. ეს დღის „პეპელაა“, დამე მთელი გამზირი საგსეა ასეთებით: „დამის“ პეპლებით. ადრე ფილმებში მქონდა ასეთი რამეები ნანასი, ახლა — აქვე, ბატონო, ქალაქიდან გაუსვლელად, ღამის რომი! ღამის პარიზი! უფრო ზუსტად — ჰავანა! იქ თურმე ნატურალური გაცვლა მოდის: მე შენ — საპონს მოგცემ, შენ — მე — რაც გაქვს და აწყობილი აქვთ საქმე!..

ძლივს მივიკვლევ გზას. ხალხი ქუჩაში გამოსულა და მანქანებს არ ატარებენ:

— სულ დაინგრევა ეს ქუჩა! — გაჰყვირიან დაშინებული, გამწარებული თბილისელები, ძირძველი ქალაქელები.

— კარგი! აქ გავაჩერებ! — არ ვედავები. ასიოდე მეტრი ფეხით გავიარე. მარის ეზოშიც სალხია შეკრებილი.

— აქ აღარ დაიდგომება, ნახე, რა ბზარებია სახლისკენ მიუთითებს მაცხოვრებელი. მცირერიცხოვანი კომისია ნაპრალებს ზომავს, ყურადღებით სწავლობს შექმნილ მდგომარეობას.

— რა გვეშველება, შვილო? — მომმართა ხანშიშესულმა სანდომიანმა მანდილოსანმა, რატომდაც დედახემს მივამგვანე.

— ყველაფერი კარგად იქნება, ქალბატონო!

— როდის? — ძალიან რთული კითხვა დამისვა.

— არ ვიცი, მე კომისიის წევრი არა ვარ! მარისთან მოვედი სტუმრად. ეს ვუთხარი და მარის კარებზე ზარის დილაკს დავაჭირე.

— ახლავე! მომესმა შუშაბანდიდან. — შენა ხარ? შემოდი! მარი შეშფოთებული ჩანდა.

— იცი, რატომ მოვედი? არ დავახანე მე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ აქედან წაგიყვანოთ! გავიცინე მე.

— ვინ უნდა წაგვიყვანო? — შეცბა მარი.

— მთელი ოჯახი! აქ ცხოვრება აღარ შეიძლება!

— მაგაზე გამახსენდა — კარადისაკენ წავიდა მარი — აქ კედელი გამსკდარა და ვიღაც ლოთი გავიცანი, გიჟია! წარმოგიდგენია, რა სიტუაციაში ჩამაგდო ამ მიწისძვრამ, არა აქ აღარ იცხოვრება!

გული შემეცუმშა.

— ვინ ნახე? — გამომცდელად შეეხედე თვალებში.

— მოდი აქ! ეს პედელი კარადის უკან გახეთქილა. კარადის უკანა შხარეც გატედა, როგორც ჩანს და... მოკლედ, შევიხედე ცოტა ხნის წინ და რას ვხედავ?

— რა დაინახე? — ავლელდი მე. „რაღაც მოიფიქრე“ მირჩიეს ქვეცნობიერიდან.

— ჩვენი ბინის მომიჯნავე ბინაში მაცხოვრებელი, შერეკილი მეზობელი!

— გაესაუბრე, მარი?

— ჰო, ნიკალა ვარ ფიროსმანიშვილიო, წარმოგიდგენია?

— გიჟი ყოფილა!

— ცემენტი და აგური გვინდა, ამოსაშენებლად!

— სასაცილო ისტორიაა! სერიოზული საქმე მაქვს შენთან! — სხვა თემაზე. გადავიტანე საუბარი.

— რა ხდება გიო?

– მე მინდა ხელი გთხოვო!

მარი მომიახლოვდა. თვალებში ჩამხედა და ხელი თმებში შემიცურა.

სიამოვნებისაგან გავიტრუნე.

– მთელ ოჯახს გვთხოულობ? – ანგელოზივით გაიცინა.

– მთელს შენს ოჯახს! რა თქმა უნდა მანამ, სანამ ეს ბინა არ შეკეთდება, ან უკეთეს ბინას არ მისცემენ შენს მშობლებს...

– ასე რატომ ჩქარობ?

– უკვე საცოლე ბიჭი ვარ! – გავუდიმე – თანაც აქ ცხოვრება აღარ შეიძლება, მიწისძვრამ, შეიძლება ითქვას, კატალიზატორის როლი შეასრულა. მე მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე! მამაშენს ვესაუბრე ამ დილით!

– პოო? – მერე და რაო მამამ? – თეატრალური თვალთმაქცობით შემეკითხა ჩემი საბედო.

– მამა თანახმაა. მარი დაითანხმე და თქვენთან გადმოვალთო.

– მოიცა, მამაჩემს ჩემი ხელი სთხოვე?

– არა, არ მითხოვია, უბრალოდ თქვენს ოჯახს ჩემი ბინა შევთავაზე, მეტი არაფერი!

– იცი რა? არ ვიცი სხვები რას იზამდნენ ასეთ დროს, მაგრამ შექმნილ რეალობებს თუ გავითვალისწინებთ, მე თანახმა ვარ!

ცოტა გული დამწყდა:

– ისე გამოდის, სახლი რომ არ დაგნერეოდათ...

– არა! მე შენ მომწონხარ, ჩემო პატარავ და ჩემი ნებით ვხდები შენი მეუღლე.

– დღესვე? – მარიმ ოთახს თვალი მოავლო ხელები გაშალა და ამოიოხრა:

– დღესვე! გამოექანა და გადამეხვია. მე და მარიმ კოცნის კორიანტელი დავაუენეთ. ის იქო ძალიან კარგი! ზუსტად ისეთი მე რომ წარმომედგინა! ამ დროს გასაღები გადატრიალდა და შემოსასვლელში მარის დედ-მამა გამოჩნდა.

– ოპო! – თქვა მამამ – ახალგაზრდები კოცნაობენ! ეს რაღაცის ნიშანია, არა? – ღიმილით გადახედა მეუღლეს.

– დედა, მე და გიო ვქორწინდებით!

დედამ, ჩემმა სასიდედრომ არაფერი თქვა.

– ყავას დალევთ? – კითხვა დაგვიტოვა და სამზარეულოსაკენ გაემართა.

– არა, რა დროს ყავა! – ჩვენ აქედან გადავდივართ, განაცხადა მარიმ.

– ეს სადაური წესია? – შემოტრიალდა ოჯახის დიასახლისი – ასე უცებ?

— ქალბატონო ლია! მართლაც, ჩვეულებრივ ორდინალურ სიტუაციაში ეს გასაკვირი იქნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბინა პრაქტიკულად აღარა გაქვთ, მე ვფიქრობ, უფრო სწორად, მე გთხოვთ გამაბედნიეროთ და ჩემთან გადმოხვიდეთ საცხოვრებლად, მით უმეტეს, მე და მარის ერთმანეთი გვიყვარს!

— არასდროს რომ არ უთქვამს — გაიცინა მამამ.

— მე ვიცოდი — თქვა ქალბატონმა ლიამ, ეს სიტყვები თანხმობად მივიღე.

— მაშასადამე, ავეჯი არ გვჭირდება — საქმიანად წამოვიწყე — ტანსაცმელი ჩემი მანქანითაც შეიძლება გადავიტანოთ. ორ საათში გამოგივლით, მანამდე კი მარის ავიყვან ჩვენთან.

— რა სხვანაირები ხართ დღევანდელი ახალგაზრდები, ანგარიშიანები! დარდით სავსე ხმით წარმოთქვა მამამ.

— რას იზამ, ასეთია ცხოვრება! მარი დედასთან მივიდა, აკოცა, მამას კისერზე ჩამოეკიდა:

— ხომ არ მიბრაზდები მამიკო?

— არა! კაი ბიჭი ჩანს! — თან თვალი ჩამიკრა.

„რა კარგი ხალხია — გავიფიქრე — მხოლოდ ღირსეულ ადამიანს შეუძლია ზედმეტი პრანჭვის გარეშე ასეთი წინადადების მიღება“.

მარი გვერდით დამიჯდა.

— წინ — მითხრა და ლოფაზე მაკოცა. „მერსი“ ოჯახის ახალ, მთავარ წევრთან ერთად გაქანდა ხაცნობი მისამართისკენ.

* * *

— აი, ჩვენი ბინა! — ფართოდ გავუდე კარები პატარძალს.

— აბაზანა მაჩვენე! გზადაგზა გახდა დაიწყო. მარი ბიკინებში დარჩა. მე აბაზანის კარები გავუდე, ხალათი მივაწოდე, მარიმ სულ გაიხადა, შხაპი მოუშვა და სახე შეუშვირა — მოდი! მე დავემორჩილე, ჩვენ შხაპის ქვეშ დავეწაფეთ ერთმანეთს. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ასეთი „პირველი დამე“ მექნებოდა ჩემს ცოლთან.

* * *

— რაო, ნიკალ, რამინდაო, — შემოიხედა მეეზოვემ .

— კისზე მეუბნები, — თვალები მოჭიტა მხატვარმა — მარგარიტაზე?

- ვინ მარგარიტაზე, კაცო რა დაგემართა? შინსახეომელზე გეპითხები.
 - ნიკალამ ხელი ჩაიქნია.
 - მოდი, შენი პორტრეტი დავასრულოთ! მოლბერტზე ტილოს მიმაგრება დაიწყო მხატვარმა. რამდენიმე წუთის შემდეგ თავად დაარღვია სიჩუმე:
 - მარგარეტი მეწვია!
 - აქტრისა? – გაოცდა მეეზოვე.
 - ჰო, აქტრისა მარგარიტა აი, აქ ამ ფარდის უკან ვნახე მისი მშვენება და რაც საკვირველია – ქართულად მესაუბრა.
 - ნიკალ, მოგჩვენებია ძმაო – ფრთხილად მიუგო ნატურამ.
 - ჰო, რა ვიცი – პალუცინაცია იყო, ვითომ?
 - ძალიან თუ გენატრება – შესაძლებელია!
 - ძალიან მენატრება!
 - როგორ დაგამახსოვრა მაინც თავი მაგ ეშმაკმა ჰა?
 - რატომ კადრულობ?
 - ხომ მიგატოვა! აკი ნათქვამია ქალი მაცდურიაო!
 - ნიშანი მოუგო მეეზოვებ.
 - იცი, ეგეთი ქალი მეტი არ შემხვედრია...
 - კი, მაგრამ ის ხომ შორსაა, აქმა კარგად მიიხედ-მოიხედე, იქნებ ვინმე სჯობდეს კიდეც! ნიკალამ ფუნჯი ნაჭრით გაწმინდა, ხელებიც ნაჭერზე შეიმშრალა, მაგიდიდან წიგნაკი აიღო და თრთოლვით წაიკითხა:
- „რაც უფრო შორს ხარ –
მით უფრო ვტკბები
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი ”
- თითქოს ჩემს გულიში ზისო! – ანთებული თვალებით გახედა მოხუცს.
 - ძალიან თუ მოინდომებ კაცი – მიაღწევ საწადელს!
 - ეგ როგორ?
 - ინატრე და აგისრულდება!
 - შენ რა, ჯადოქარი ხარ?
 - რა იცი, რა იცი – ჩაიხითხითა მეეზოვებ.

* * *

სოსომ მონეტები მოიგანა. რა საოცარი სანახავი ყოფილა ამდენი ოქრო ერთად! დიდხანს გათამაშებდით მბზინავ ფულებს, ბავშვებივით გვიხაროდა! სოსომ მკითხა უცებ:

- რამე „იაღლიში“ ხომ არ იქნება?
 - არც იფიქრო! – მოვუჭერი მტკიცედ.
 - ამდენ ფულს როგორ გადაიხდიან?
 - ნატურით! – გავიცინე მე.
 - ეგ რას ნიშნავს! – ცოტა არ იყოს, სოსო დაფრთხა.
 - ორმაგ კომბინაციას ვაკეთებ. იმით – რადაცას ვეიდულობ, ამით კი ბევრი ფული კეთდება, გასაგებია?
 - ნარკოტიკები? – ოვალები გაუფართოვდა სოსოს.
 - არა!
 - იარაღი?
 - არა!
 - ქალების გაყიდვა?
 - არა, არა, ვერ გამოიცნობ! ყოველ შემთხვევაში, შენ ეგ ნუ გადარდებს, ხვალ გეტყვი რაში გადავცვალე!
 - რომ არ გამოვიდეს!
 - მიზერული შანსი არის იმისა, რომ არ გამოვიდეს, იმ კაცმა ვისი იმედიც მაქვს, იუაროს, მაგრამ ჩვენ რას ვრისკავთ? – არაფერს! მონეტებს ან დავაბრუნებთ, ან კიდევ მყავს კლიენტურა, ხომ იცი...
 - ჰო, ვიცი, შენი იმედი მაქვს!
 - შენ არანაირი საფრთხე არ გემუქრება, ეს ბევრი ფულია!
 - ორივემ გავიცინეთ. ავიღე და ნიკოლოზის მონეტა ვესროლე. სოსომ ხელები აიფარა, შემდეგ რამდენიმე თვითონ მესროლა, მეც ამ დროს მარიმ დამიძახა:
 - გიო, მამამ დარეკა ჩვენ მზად ვართო!
 - წამომყევი – ვუთხარი სოსოს – სიდედრ-სიმამრი გადმომყავს ჩემთან საცხოვრებლად, დაესწარი ამ ისტორიულ ცერემონიალს.
 - ესე იგი მორჩა? – მრავალმნიშვნელოვნად მკითხა მეგობარმა.
 - ჰო, მარტოხელობა, სიგიჯე და მასთან ერთად სიყმაწვილის წლები მორჩა! – დღეიდან სერიოზული, დაოჯახებული მამაკაცი ვარ!
- სოსომ ამოიოხრა. ხელები გაშალა – აქაოდა რას იზამ, სხვა რა გზა მაქვსო! მარის შუბლზე ვაკოცე და ფიროსმანიშვილის ქუჩისკენ გავაქროლე „მერსი“.
- სიდედრ-სიმამრს ბევრი არაფერი მოჰქონდათ, ორიოდე ჩემოდანი.
- სულ ეს არის? – გამეხარდა,
 - ზაფხული მოდის, ახლა ბევრი არაფერი გვჭირდება, მერე კი ლმერთი მოგვხედავს – რადაც გამოჩნდება.

– ჩათვალეთ ქალბატონო, ეგ უკვე მოხდა!

ეს სოსომ უთხრა.

– პო, დმერთმა ქნას ეს ყველაფერი, სიზმარივით არ გაქრეს – ნადვლიანად ჩაილაპარაკა მარის დედამ. „რაც უნდა მითხრან, ამათ მაინც არ გავუჯავრდები, სულ გავუცინებ, აქეთ დაბრძანდით, აქ მოისვენეთ, რამეს ხომ არ ინებებო?“. „მოგბეზრდება“ შემებმიანენ ქვეცნობიერიდან. „არასოდეს“ გავგზავნე პაუხი.

– არასოდეს! – წამომცდა ხმამაღლა.

სიმამარმა მხარზე ხელი დამკრა. სოსომ საბარგულში ჩაალაგა ჩემოდნები, მე საჭეს მივუჯექი.

– გასაღები ხომ მოგაქვს? – ქალბატონი ლია ეკითხება ბატონ რეზოს (ჩემს სიმამრს)

„აი პრობლემა! გასაღები როგორ ვთხოვო ამათ?“ – გავიფიქრე მე.

– არ დაკარგო, მე სახლში დამრჩა! – ხომ არ მივბრუნდეთ? – არ უნდოდა, მაგრამ მაინც ოქვა ბატონმა რეზო.

– მარისაც ექნება – დავამშვიდე – ოუმცა... მომეცით ერთი წუთით თქვენი გასაღები!

არც დაფიქრებულია, ისე მომაწოდა.

– აი, ამ აცმაზე მექნება – აქ არის მანქანის და ჩემი ბინის გასაღებიც! ეს ისე ოსტატურად და სხარტად გაგაკეთე, ვერაფერი მითხრეს.

– როცა დაგჭირდებათ, მოგარომევთ! – ამ სიტყვებზე მანქანა დავქოქე და ჩემი სამყოფელისაკენ გავაქანე!

* * *

ყველაფერი მოეწონათ. მარი გახარებული იყო!

– თავი ზღაპარში მიმია! – ხელები შემომხვია და მაკოცა.

– რომ მომეტყუებინე? – გამომცდელად შევხედე!

– შენ ისეთი თვალები გაქვს, შენგან ასეთი რამ გამორიცხული იყო! – ისევ მაკოცა.

– კარგი, კარგი სირცხვილია – ნაზად მოვიშორე.

– მერე დამით – მე კიდევ ერთი საქმე მაქვს!

– იცი რა? დამის ორ საათზე მატარებელს უნდა დაგხვდე, სადგურზე გავალ, სტუმარს დაგაბინავებ და მოვალ, ახლა თორმეტი ხდება, მოასვენე შენები, ცოტა შეაჩვიე აქაურობას, მე კი გვიან დამით, ჩუმად შემოგიწვები... კარგი?

თმებზე მოვეფერე.

- კარგი, თუ საქმეა – რა გაეწყობა! – ტუჩები საყვარლად აიძულა მარიმ.
- იცი ვის გახარ ახლა? – გავუცინე მე.
- ვის?
- ფიროსმანის აქტრისა მარგარიტას!
- უკნიდან მსუბუქად „ჩამცხო“.
- კარი გავიხურე.

* * *

დამის ორ საათზე მარის ბინას გასაღები მოვარგე... ჩუმად გადავატრიალე, კარი დამემორჩილა, შევეცადე ჭრიალი არ დაეწყო. ძალიან ნელა შევაღე მობილურის შუქით გავიკვლიე გზა კარადისკენ, არ მინდოდა მეზობლების ყურადღება მიმეპყრო. რაღაცას დავეჯახე, მუხლი მივარტყი! მაგრად მეტკინა, მაგრამ მაინც არ შევევირე, შიგნით ჩავიკალი ბოლმა! ერთი მაგარი შეგინება მომინდა! კარადასთან მივედი. სახელური ვიპოვე და ჩემსკენ გამოვქაჩე. კარადა ჭრიალით გაიღო. ტანსაცმელი გადავწიე, მაგრამ ვერაფერი დავინახე, მობილურით მივანათე, უკანა ფარდაც გავწიე, მაინც ვერაფერი გავარჩიე, ძალიან მკრთალი ნათება აქვს ჩემს მობილურს, ორივე ფეხი კარადაში შევდგი და იქეთ გადავაბიჯე... იატაკზე დავდგი ფეხი, შემდეგ – მეორე. აქეთ-იქეთ მიმოვიხედე, ნახატები ნელ-ნელა გავარჩიე, მხატვარი არსად ჩანდა. „ნეტავ სად არის? ახლა ხომ ძალზე გვიანია“, უცებ მიგხვდი, რომ ქურდობის შანსი მომეცა. ახლა ამ წუთას, მე შემიძლია გადავიტანო ეს სურათები ისე, რომ ვერავინ ვერასოდეს გაიგოს, სად გაქრა ეს სურათები! პირველ რიგში კი ის საწყალი მხატვარი ვერ გაიგებს რა მოხდა, ვინაიდან მისი ნახატები იმ დროში აღარ იქნება, რომელშიც თვითონ ცხოვრობს! მე რა თქმა უნდა ამას არ ვიზამ! მე მინდა მას დავეხმარო! მე მინდა დავამთავრო დარიბი მხატვრის ლეგენდა, დაე, შეიქმნას მითი ლადი, მდიდარი, ხელგაშლილი ფიროსმანის შესახებ! „მაგრამ თვითონ სად არის? მე შემიძლია ეს ოქრო დავტოვო აქ, ამ მაგიდაზე, და წავიღო ნახატები, მაგრამ შეიძლება პირველად კარი მან კი არა – სხვამ შემოადოს! ამიტომ დაველოდები მას. დიდი ხნის ლოდინი არ დამჭირვებია, სანამ ნახატებს ერთმანეთზე ვალაგებდი, კარიც გაიღო და მხატვარი შემოვიდა:

- გამარჯობა, არ შეგეშინდეს, მე ვარ – მივაყარე სწრაფად.
- რომელი ხარ? – აშკარად მთვრალი იყო მასპინძელი.

- მე ვარ, ამასწინათ ოქრო რომ მივეცი შენს მეზობლებს.
- პო, ბინის მებატრონები რომ გამიჩუმე, ის კაცი ხარ? მოიცა ლამფა ავანთო. ცოტა ხანში ოთახი საკმაოდ განათდა.
- შენთან უნდა დავლიო! მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო ნიკალამ.
- არა, ახლა არ შემიძლია, ძალიან სერიოზული საქმე მაქვს თქვენთან! – ასეთ დროს შენობით ვედარ მიფმართე.
- რა საქმე უნდა გქონდეთ ჩემთან? გინდა დაგხატო? – გაიცინა ხმამაღლა – აი, მეეზოვე დავხატე, მგონი გაშრა კიდეც, ესენი ყველა მე დავხატე... მაგრამ – რა? არაფერი! არა-ფერი ამ საქმიდან არ გამოდის, გასაგებია?
- მე თქვენს შესახებ ყველაფერი ვიცი... უკეთ – ვიდრე თქვენ... მინდა ხელი გაგიმართოთ! ამ სიტყვებთან ერთად ჩანთა მივაწოდე.
- ეს რა არის? – არ გამომართვა, ისე შეათვალიერა შორიდან.
- ამაში ოქროს ფულია, მართალია ბოლშევიკებთან ეს ფული აღარ გადის, მაგრამ... ოქროსია და გამოგადგება! ეს მინდა შენ აიღო... – თან მონეტები გადმოვყარე იატაკზე – ოთხმოცდაცხრამეტი თუმანია!
- საიდან ამდენი ოქრო? – შიშნარევი ხმით იკითხა მხატვარმა.
- იქედან! – ხელი გავიშვირე იმ ადგილისკენ, საიდანაც გადმოვდგერი ოთახში.
- იქედან? – ნიკალა წამოდგა... ფარდასთან მივიდა.
- აქედან მარგარიტა მესაუბრება, საოცარია!
- შენც მოლადნება ხარ? ახლა, მე მძინავს და სიზმარს ვხედავ? არა! არა! ეს სიზმარი არ არის! მაშ, რა არის ეს – ჯადოქრობა?
- დამშვიდდით, ნიკალა! – ფიზიკის მოვლენასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს! აიღეთ ეს ფული და მომყიდეთ თქვენი ნამუშევრები!
- ესენი? – ნაღვლიანად გადაავლო თვალი ნახატებს ნიკალამ – ამათ გარდა არაფერი გამაჩნია... ესენი მოგყიდო? – ნიკალა ჩამოჯდა, თავი ჩაქინდრა.
- ახალი ნახატები შექმენით, ახალი საღებავები იყიდეთ, სახელოსნო შეიძინეთ, უფრო ნაყოფიერად იმუშავებთ! – დავარწმუნე მე.
- პაუზა. ფიქრებში წავიდა.
- რა გაქვთ საფიქრალი? თქვენ ხომ ნახატებს ყიდით?
- მუქთად ვაძლევ, აქ კი ამდენი ოქროა!

— მე ძალიან მინდა თავისუფალი იყოთ ცხოვრების წვრილმანებისაგან, ის ხომ ყველა მხატვრის მტერია. აიღეთ ეს ოქრო და მომეცით ნახატები, პირობას გაძლევთ, ისინი არ დაიკარგებიან!

— პირობას მაძლევ? — რატომდაც ეს სიტყვები მოეწონა დიდ მხატვარს.

— ჰო, კაცურ სიტყვას გაძლევ — ცივ ნიავს არ მივაკარებ ამ ნახატებს, ხოლო მოგვიანებით, ახალ ნახატებზე მოგაკითხავთ! გავუცინე მე.

— დამიყოლიეთ. კარგი წაიღეთ ყველაფერი, მოხმარება ხომ არ გინდათ? — ნიკალა კუთხეში ჩამოჯდა. მიცქერდა ერთიმეორეს მიყოლებით როგორ გადამქონდა ნახატები და ფარდის უკან „ვაქრობდი“ ოცზე მეტი ნამუშევრის „გადაზიდვის“ შემდეგ, გვარიანად გაოფლილი მის გვერდით ჩამოვჯქი.

— სად გაქრა ეს ყველაფერი? — სევდიანად მკითხა.

ჯერ კიდევ მთვრალი იყო.

— მე წავიღებ. გამოფენას მოვაწყობ. ყველაფერი კარგად იქნება!

— რა ხვრელია იქ? — წამოდგომა დააპირა ნიკალამ.

— არაფერია, ხვალ ამოშენდება და აღარ იქნება.

— მარგარიტაც აღარ იქნება? — ამოიხერა მხატვარმა.

— პირიქით, ამ ფულით მარგარიტას ნახვაც შეიძლება და ბევრი, ბევრი სხვა რამის!

— ჰოო, ეს მართალია, პარიზში შეიძლება წასვლა, ოდონდ სუ! — თითო ტუჩებზე მიიდო — არავინ უნდა გაიგოს!

— ჰო, ასე ჯობია, არავინ გაგიგოთ, ეს ფული რომ გაქვთ, ხარჯეთ ჩუმად, გამოიცვალეთ სახლი და საერთოდ, ახალი ცხოვრება დაიწყეთ!

— ეგ სიტყვა მეზარება! გარეთ — კარებისკენ მიმახედა — ახალ ცხოვრებას იწყებენ... საზიზლრობაა!

— ჰო, ვიცი, მაგათ მოერიდეთ, თქვენი საქმე აკეთეთ. საერთოდ წასვლა ჯობია, პარიზში! პარიზი მხატვართა ქალაქია. იქ არის თქვენი ადგილი! ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ სწრაფად დავიხიე უკან და ფარდას ამოვეფარე. გადავედი კარადიდან და შუქი ავანთე. ჰოი, საოცრებავ, ფიროსმანის ოცდაორი ნახატი ჩემს წინ იდო! ღამის სამი საათი სრულდებოდა, საჭირო იყო ამ ნამუშევრების კარგად გადამალვა. „სახლში სარდაფი მაქს, რამდენიმე რეისი დამჭირდება გადასაზიდად“ — გავიფიქრე „იქნებ აქაც იყოს სარდაფი?“ გამიელვა უცებ! კარგად დავათვალიერე იქაურობა, შემოსასვლელში, ფანჯარასთან პატარა ხალიჩა იყო დაფენილი. ხალიჩა ფეხით გადავწიე და სარდაფის სახურავი

გამოჩნდა. სახურავი ავხადე, კიბეები გამოჩნდა, ქვევით ბნელოდა, იქვე ჩამრთველს დავაჭირე თითი, სარდაფში შუქი აინთო! დაბლა ჩავედი: თაროები, თაროებზე

სადურგლო ხელსაწყოები, რა ადარ იდო! „ეს მშვენიერი სამალავია!“ მომეწონა აქაურობა, თანაც არავინ მოვა“ რამდენიმე დღე მაინც – სანამ ამ ნახატებს არ გავასაღებ. ნახატები კედელთან მივაწყვე, შებრუნებით, თვალში რომ არავის სცემოდა, ზემოდან რაღაც ძველმანი გადავაფარუ. ამოვედი სარდაფიდან. შუქიც გამოვრთე. ბინის კარები გამოვიხურე და მანქანას მივაშურე... ათ წუთში სახლში ვიყავი. მარის არ ეძინა...

- გინდა ცოტა დავლიოთ? – ჩავჩურჩულე მე.

მარიმ თავი დამიქნია. კარადიდან ვისკი გამოვიღე, მაცივრიდან – ყინული. ყველაფერი მოვამზადე. აივანზე გავედით. გარეთ გრილოდა, არ ციოდა.

- მოდი ამ დამეს გაუმარჯოს, ფანტასტიურ დამეს!

ჭიქა მივუჭახუნე მარის. ცოტა მოვსვით, დალევა არ ვაცალე, ისე ვაკოცე! რაღაც ზიარჭურჭელი გამოგვივიდა! მგონი მისი ვისკიც მე დავლიე! ჩვენი აივნიდან დამის თბილისი ისე გარინდებულიყო, თითქოს ამ ორ დღეში განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყოს!

* * *

გათენდა თუ არა, ტელეფონს ვეცი.

- სანდრო ყველაფერი რიგზეა!

- რა გაყვირებს? – გამიბრაზდა სანდრო.

- ბიჭო, ვერ გაიგე? რა დაგემართა? ფირსომანზე გეუბნები, ყველაფერი რიგზეა, გაგიუდები, ისეთ დონეზე! ტელეფონში ყველაფერს ვერ გეტყვი, მოდი და გიამბობ, თანაც დავოჯახდი!

- მართლა? მომილოცავს, სადამოს გამოვალ!

- სანდრო ვერ გაიგე, რა გითხარი? ახლავე გამოდი!

- რა გეჩქარება? ხომ მშვიდობაა? – გამაგიუებს ეს სანდრო, არ მინდა ტელეფონში გვარის გამეორება, მაგრამ მაინც ვუთხარი:

- ფირსომანზე გეუბნები, გაიგე? – „ეტყობა ვერ გაიგონა პირველად“ – გავიფიქრე.

- ვინ ფირსომანზე? – არ ეშვება სისულელეს.

- ვინ ფირსომანზე და მხატვარზე – დროზე გამოდი!

- ბიჭო, მომისმინე, რა გინდა ჩემგან? რა გამიჭირე საქმე? ვინ არის ეგ ფირსომანი?

- რაო? შენ შიგ ხომ არ გაქ? – ჩავძახე ყურმილს – რას დადაობ შე ჩემა – კიდევ ბევრი მწარე და უცენზურო სიტყვა დავახალე, მაგრამ ვერაფერს გავხდი: კიდევ მკითხა მიამიტი ბავშვივით:

- ვინ არის ფიროსმანი?! - ყურმილი დავკიდე! მარი იდაყვებზე დაყრდნობილი ისმენდა ჩემს ყვირილს.

- მარი, ვინ არის ფიროსმანი? – სანდროს გაჯავრება დავიწყე.

- არ ვიცი! – ჩემთვის მოულოდნელად მიპასუხა მან.

- ზუსტად ასე მეუბნება ის დაუნი სანდრო! ნახა რა საღადაო თემა. თითქოს თვითონ არ დაერეკოს გუშინწინ! მაგრამ უყვარს ასეთი შტერული ხუმრობები!

- არა, მართლა ვინ არის ფიროსმანი? მომაჩერდა შიშველი მარი. მისი მკერდისკენ გამექცა თვალი. სასწრაფოდ ზეწარი აიფარა, მივვარდი და ზეწარი მოვაშორე! კოცნა დავუწყე ძუძუებზე, მარმარილოსავით თეთრ მკვრივ და თბილ ბორცვებზე! მარი იცინოდა. ნელ-ნელა ეშხში შევედით მთლიანად შევუერთდით ერთმანეთს და სადღაც აღუწერელი ნეტარების სამეფოში ვიმოგზაურეთ. როცა მოვრჩით, მარი აბაზანაში გავარდა, გამოვიდა თუ არა, მკითხა:

- მაინც, ვინ არის ფიროსმანი?

- დიდი ქართველი მხატვარი – მივაძახე მე და შხაპის ქვეშ დავდექი. „გადამრევს ეს ხალხი“ – გავიცინე მე – „პირი შეკრეს?“

- გიო, ზურა გეძახის! – მარის ხმა შემომესმა. პირსახოცი შემოვიხვიუ და ყურმილს დავწედი.

- სად დაიკარგე ბიჭო? მარი უკვე სახლში გყავს?

- ჰო, დავოჯახდი! – დარცხევენილი დავეთანხმე.

- მერე? მე გამომაპარე?

- იმდენი რამე გადამხდა... დღეს გელოდები საღამოს.

- საღამოდე რა ვქნა?

- კარგი, საუზმეზე გვერდი, ბატონო!

- ამოვალ, პახმელიაზე ვარ! ყურმილი დაკიდა.

- მარი – უხერხულად წამოვიწყე – ჩვენს ქეთმოთ სუპერმარკეტია და ხომ ვერ ჩახვალ? – ზურა ამოვა, თუმცა მე ჩავალ, შენ რა იცი, რა უნდა იყიდო!

- ფული მომეცი და ავიღებ ყველაფერს – გაიცინა მარიმ – ისე მინდა, სუპერმარკეტში რაღაცები ავიღო და ფულზე არ ვიჯავრო!

შემებრალა მარი.

- მალე იმდენი ფული გექნება, რასაც გინდა – იყიდი!

- ჰოო? რა სკივრი იპოვე ასეთი? – თან ფული გამომართვა.

- ჯინი ვიპოვე, ვეტყვი და მოიტანს!

- ძალიან კარგი, ჯინს უთხარი, ვაშაფმაძის ქუჩაზე სახლები დაინგრა და აგვიშენებ-თქო; კარი გაიხურა. „ვაშაფმაძე ვინაა?“ „სად არის ვაშაფმაძის ქუჩა“ – დამეხვია კითხვები. წიგნების კარადასთან მივედი. ჩემი ფიროსმანის გადათვალიერება გადავწყვიტე. მესაკუთრული ინტერესი გამიჩნდა ილუსტრაციებში მენახა ის, რაც ჩემია, მე მეკუთვნის, რამდენიმე დღით მაინც! წიგნი თაროზე არ იდო, სამაგიეროდ გამაოცა კრებულმა, რომელსაც მდიდრული შრიფტით ეწერა „ვაშაფმაძე“ ასეთი წიგნი მე არ შემიძენია, არც არავის უჩუქნია, საერთოდ არ გამიგია ასეთი მხატვარი. მარიმაც ეს გვარი დამისახელა. მესმის რომ დადაობს, მაგრამ ეს ვინდაა? წიგნი გადმოვიდე, წინასიტყვაობას ჩავხედე. „მე-19 მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში მოღვაწე მხატვარი-პრიმიტივისტი, რომელმაც ბაგშვირი მიამიტობით ასახა სინამდვილე“... „კი, მაგრამ ფიროსმანი ვინ აიდო?“ გავიფიქრე ვაშაფმაძის თვალიერებისას. არა უშავს, მაგრამ დიდი არაფერი: ფიროსმანის და რუსოს შორეული გამოძახილი, პრინციპში – სუროგატი. ვეძებე და ვერსად ვიპოვე ფიროსმანის ილუსტრაციები. „ალბათ ვინმეს ვათხოვე“ ხშირად მომსვლია ან წიგნს ან კასეტას ვინმეს ვათხოვებ და მავიწყდება – ვის! ისინი კი – ვისაც ვათხოვე, არასდროს მახსენებენ ამ ამბავს! მარი ამოვიდა, რაღაც-რაღაცები უყიდია „ვიოლა“, გადაზელილი უველით, მონადირის ძეხვი, სოსისი, შავი პური, რუსული „სილიოტკა“, არაყი, ლუდი და ხიზილალა! აი, სამეფო „საპახმელიო“ საშუალებანი.

- შენ ეგეთები საიდან იცი? – შევაქე მარი.

- მამაჩემი პროფესიონალია!

- სხვათა შორის, მეგონა ეძინათ, სად წავიდნენ დილაუთენია?

- ძველ ბინაში დასალაგებელია, კომისიას უნდა დავხვდეთო, ხომ იცი უფროსების ამბავი! – მარი სამზარეულოში გავიდა, მეც გავჰვი.

- ტყუილად წვალობენ, არაფერი გამოვა მაგ საქმიდან, ჯერ-ჯერობით მაინც!

- ასეთი რამ მათ არ უთხრა, გული გაუტყდებათ! სჯეროდეთ, ასე ჯობია!

- რა თქმა უნდა! მით უმეტეს, ბინა აქვთ! – ამაყად წარმოვთქვი მე.

- ღმერთო ჩემო, შენ რომ არ ყოფილიყავი! სად უნდა წავსულიყავით?

- კომისიებში ირბენდით და მოგცემდნენ სადმე, ოდესმე... – დამცინავად გამომივიდა ნათქვამი.

- ჰო, ასე იქნებოდა ალბათ! და სანამ ეს არ მოხდება, ჩემი მშობლები ასე ივლიან ყოველდღე, დაუზარებლად!

- იცი, რა მაინტერესებს? – გამომცდელად შევხედე თვალებში.

- მითხარი, უგელაფერზე გიპასუხებ!
- შენ და სანდრომ მოილაპარაკეთ?
- სანდრო თვალით არ მინახავს! რას გულისხმობ? – ეს ისე ალალად წარმოსოქვა, ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო!
- აბა, რა მოხდა, უბრალო დამთხვევაა?
- რას გულისხმობ? კარგად გამარკვიე... – ლუდის კათხები დააწყო მარიმ.
- ფიროსმანს! – ისევ მის რეაქციას დავაკვირდი ამ სიტყვებზე.
- ამ დილით რომ მკითხე? – სანდრო რა შეაშია?
- სანდრომ მითხრა იმ დილით, ფიროსმანი არ გამიგიაო, რა სულელური ხემრობაა, როცა თვითონ მომცა შეკვეთა მეშოვნა ფიროსმანი!
- მერე, როგორ არის საქმე? იშოვე? ცოტა ლუდს მოვსვამ! თავისთვის დაისხა.
- ვიპოვე, თან როგორ, გაგიჟდება რომ გაიგებს, შენ არაფერი თქვა, გაიგე?
- კარგად გამარკვიე, ეგ ფიროსმანი რა სახითაა წარმოდგენილი?
- რას სულელობ! ნუ გამაგიჟეთ! – ავჭვირდი მისთვის მოულოდნელად. მარი გაწითლდა. ძლიერ იწყინა.
- შენ ასე მიყვირიხარ პირველსავე დღეს? – კათხა დადგა და აივანზე გავიდა.
- მარი, მაპატიე, ზედმეტი მომივიდა, მაგრამ... ვეღარ შევიკავე თავი. თანაც რა უაზრო ხემრობაა, ვერ გავიგე, ბოლოსდაბოლოს ფიროსმანის ქუჩაზე ცხოვრობ...
- საიდან მოიტანე? – გაიღიმა მარიმ. რადაც არაბუნებრივად გაიღიმა. ტანში გამაჟრიალა. „რა ხდება? ნუთუ?“ შემეკითხნენ ქართველი მარის მარი გავეცი. კარებზე ზარი დაირეკა.
- მე გავაღებ! კუთხარი მარის და სათვალთვალოში გავიხედვ.
- მე ვარ ბიჭო, რამ შეგაშინა – გაისმა ზურას ხმა.
- ბევრი დარჩა უბინაოდ და მეშინია ვინმე არ შემომივარდეს! – გავიხუმრე მე.
- არ არის გამორიცხული! ლტოლვილს ლტოლვილი ემატება! აუ, რა სუფრაა? აგაშენათ დმერთმა! ოო, მარის ვახლავარ, გილოცავთ, გილოცავთ, უცებ უკან წალებული ხელით იები გაუწოდა მარის.
- ვა, რა კარგია! დიდი მადლობა ყურადღებისათვის! მარიმ საყვავილეს დაუწყო ძებნა.
- აი ამაში ჩადე, გავუწოდე მსგავსი ჭურჭელი! ზურა კარგად მოკალათდა. ლუდი დაისხა და მთელი კათხა ზალპით დაცალა. მეც ასე მიყვარს. მეც დავისხი და დაგცალე.
- ზურა, დღეს რა მოხდა იცი? – დიმილით გადავხედე მარის. მარი უცოდველად მიცექერდა.

- პა, იჩხუბეთ უკვე? – გამომცდელად შემათვალიერა ზურაბ.

- არა, ოდნავ ვიკამათეთ – სიცილით უპასუხა მარიმ, ოდონდ ეს არის, კამათის თემა პირადად მე ვერაფრით დავადგინგ!

- რა იყო ბიჭო, გაუტიქ? – დამრიგებლური ტონით მითხრა დილის სტუმარმა.
– ოო, რა ხიზილალაა? ხომ ხედავთ, ყველაფერი იყიდება, მამაჩემს რომ უსმინო, კომუნისტების დროს ეყარა ყველაფერით, ახლა არ ყრია? – წაისაზოგადომეცნიერა ზურაბ.

- ზურა, შენ ფიროსმანი გაგიგია? – უცებ, ჩემთვის მოულოდნელად პკითხა მარიმ.

- რა არის?

- როგორ თუ რა არის? ჯერ ერთი, ვინ არის?

ვთქვი, მაგრამ გულმა რაღაც ცედი მიგრძნო, „არ შეიძლება ესეც ხუმრობდეს“.

- რა მოხდა? – შემფოთებულმა ვკითხე – შენც რა მოგივიდა? არ მითხრა, ფიროსმანის ნახატები არ მინახავსო?

- მე... მე არაპოფესიონალი ვარ. რა, არ შეიძლება არ ვიცოდე ასეთი მხატვარი? – დაბნეული მიყურებდა ზურა.

- არა! ეს ისეთი მხატვარია, ყველამ რომ იცის! პიკასო გაგიგია? – შევეკითხე მოულოდნელად.

- გამიგია! – გამეჯიბრა მოკამათე.

- ლეონარდო და ვინჩი?

- გამიგია, მიქელანჯელოც გამიგია, გუდიაშვილიც, გიგო გაბაშვილიც კი გამიგია, ხელოვნების მუზეუმშიც კი ვარ ნამყიფი!

- ეს რა კარგი რამ გამახსენე! – გამეცინა უცებ. – აი, სად გამოგიჭირეთ – ყველანი! მუზეუმში წასვლაც არ არის საჭირო, აი, აქა მაქას, წიგნი „საქართველოს ხელოვნების მუზეუმი“.

- ნახოს, ასეთი ჯიუტია! – ხელი ჩაიქნია ზურამ – ჩვენ დავლიოთ.

თაროდან გულისფანცქალით ჩამოვიდე ხსენებული წიგნი. ჯერ სარჩევი ვნახე: მსგავსი არაფერი! შემდეგ ჩქარა გადავფურცლე, ბოლოს სათითაოდ გადავსინჯე ყოველი გვერდი: ფიროსმანის არცერთი ილუსტრაცია და არც ერთი სიტყვა მასზე! საშინელი აზრი მესტუმრა: „ესე იგი მან ხატვა შეწყვიტა“. ამათ, გუშინ ყველაფერი იცოდნენ ნიკალაზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნახატები გადმოვიტანე, ინფორმაცია მის შესახებ გაქრა! რატომ? განა მარის გუშინ არ გავესაუბრე მუზეუმიდან გატაცებული სურათის შესახებ? როგორ მოხდა, რომ მე მახსოვს ყველაფერი და

ამათ არა? საგონებელში ჩავვარდი: სანდრო უნდა ვნახო. ბოლოსდაბოლოს ნახატები ხომ ჩემთან არის, მათ ხომ დირებულება არ დაუკარგავთ! უნდა ველაპარაკო მას. მუზეუმშიც უნდა მივიდე! თუმცა, რაღა აზრი აქვს! აქ კი უცებ გამინათდა გონება: ყველა ნახატი, რომელიც შევიძინე, ავტომატურად გაქრა ხელოვნების მუზეუმიდან! ისევე, როგორც „გოგონა ბურთით“ გაქრა მანამდე „კი, მაგრამ მეტი არაფერი შექმნა?“ წარმოუდგენელია, მე ხომ მისთვის კარგი მინდოდა? „მისთვის თუ შენთვის?“ შემეკითხნენ ქვეცნობიერიდან, – იმ განყოფილებიდან, სინდისი რომ პქვია! მისთვისაც და ჩემთვისაც“ იხტიბარი არ გავიტეხ „არ ჯობდა, სახელოსნო ეყიდა, ახალ-ახალი ტილოები შეექმნა?“ რა, საშინელებაა! სიტყვა „დაღონებული“ კერ ასახავს იმ სულიერ მდგომარეობას, რომელიშიც აღმოვჩნდი. უაზროდ ჩამოვჯექი. მარი და ზურა საუბრობდნენ მიწისძვრით გამოწვეულ ზარალზე. მე კი ეს არ მაინტერესებდა! მე ჩავიდინე საოცარი შეცდომა და როგორმე უნდა გამოვასწორო ის! თანაც მალე. მონეტების პატრონი თავისას მოითხოვს! როგორ გავჭიდო ნახატები, რომლის ავტორს არავინ იცნობს? უნდა მივდგე-მოვდგე, რაღაც მოფიციქო! რაც მთავარია, ოქროს მონეტების მფლობელმა მადროვოს! ერთი თვე მაინც! ამ დროში ალბათ რაღაცას მოვაგვარებ!

მხატვარმა გარიურაჟზე დატოვა თავისი სამყოფელი. უკან არც მოუხედავს, ისე გავიდა ეზოდან. წელზე შემოხვეულ ნაჭერს, რომელშიც ფული ჩააკერა, კარგად მალავდა შავი ფერის გაცრეცილი პიჯაკი. მან დაიქირავა ფაეტონი და ქალაქიდან გავიდა. მცხეთაში დილიქანი აიყვანა, ბორჯომში ჩავიდა. ბორჯომში რამდენიმე დღე დაჟყო და ახალციხეს მიაშურა. იქ ცხოვრობდა ცოტა ხანი, ფრთხილად, თვალში არავის ხვდებოდა ზედემტად. ერთ ჩვეულებრივ დამეს კი საბჭოთა საქართველოს საზღვარი გადალახა და თურქეთში გადავიდა. აქაც დიდხან არ შეჩერებულა, ვაჭრებს შეუამხანაგდა და ტრაპიზონის პორტიდან ევროპისაკენ აიღო გეზი. გემი ფრანგული იყო, სამშობლოში ბრუნდებოდა. გემის პატარა რესტორანში, ვიღაც ქართველი მიუახლოვდა, ერთი შეხედვაც კმარა უცხოეთში ქართველის ამოსაცნობად.

- ქართველი ბრძანდებით? – გვერდით მიუჯდა სიმპათიური ახალგაზრდა.

- ქართველი ვარ!

- პოლიტიკის გამო ტოვებთ სამშობლოს? – თანაგრძნობით შეხედა ნიკალას.

- მაგის გამოც... მაგრამ მთავარია ის, რომ მე მხატვრი ვარ და პარიზში მინდა მოღვაწეობა!

- ოო, პარიზი მხატვართა მექა!

უკაცრავად, თქვენი გვარი? – დაინტერესდა ახალგაზრდა.

- ნიკო ფიროსმანაშვილი...

- რადაც... თითქოს გამიგია... – თვალები მოჭუბა თანამგზავრმა – მე ინუნერი ვარ, ოდონდ კინომატოგრაფი. ვმუშაობ, გამოგონება მაქვს კინოს დარგში: მე დავითი მქვია!

- როდის ჩავალთ პარიზში? – ჰკიოთხა ნიკალამ.

- გემი კომერციულია, თუ სადმე არ შეუხვია – არ იქნება. ასე რომ ზუსტად არავინ იცის! თქვენ ალბათ რომელიმე მეცენატმა დაგაფინანსათ? თუ სახალხო კომისარიატმა? ნაღვლიანად ჩაიცინა ამ დროს დავითმა.

- ნახატები გავყიდე, ერთბაშად! იქ გაჩერება აღარ მინდოდა!

- თქვენ როგორ ფიქრობთ, ეშველება ჩვენს სამშობლოს? ნიკალამ მხრები აიჩეჩა.

- მრავალი ქართველია ახლა პარიზში! – დასძინა ახალგაზრდამ.

- თქვენ ალბათ ბევრ მათგანს იცნობთ... მარტო გამიჭირდება...

- გპირდებით გაგაცნოთ ისეთი საზოგადოება, ვისთანაც განგიქარდებათ ნოსტალგიის საშინელი განცდა, რომელიც ასე გვტანჯავს ქართველებს...

- თქვენი იმედი მაქვს – ჭიქა მიუჭახუნა ნიკალამ დავითს...

* * *

სანამ ჩემი თვალით არ ვნახე არ დავიჯერე: ხელოვნების მუზეუმში ფიროსმანის დარბაზში, ვინმე ვაშაყმაძის სურათები ეკიდა! სხვა ეველაფერი, ისე დარჩა, როგორც წინათ! მობილური აწკრიალდა:

- როგორ არის მონეტების საქმე? – მეტიონება სოსო.

- ვეძებ. რა იყო, რა აჩქარებთ? – გადიზიანებულმა კითხვითვე უკასუხე.

- ხომ იცი, ნერვიულობენ...

- მომისმინე, მე რაც ჩავიფიქრე – ის გარიანტი ჯერჯერობით, შეფერხდა... ჯერჯერობით, გაიგე?

- გაგიგე... საგანგაშო ხომ არაფერია?

- არა! – კავშირი შევწყვიტე.

მივედი მუზეუმის ხელმძღვანელობასთან. მენეჯერმა კარგად მიმიღო.

- დაბრძანდით! – სკამზე მიმითითა სიმპათიურმა ქალბატონმა.

- მე არაჩვეულებრივ საკითხზე ვარ თქვენთან – წამოვიწყე მორიდებით.

- განდი აღმოაჩინეთ? – დამასტრო ქალბატონმა მენეჯერმა.

- დაახლოებით. არ გაგიკვირდეთ, რასაც გეტყვით. ვაშაყმაძის ნამუშევრები სრულიად არ უხდება ფიროსმანის დარბაზს.

ქალბატონმა სათვალე გაიკეთა და ისე შემომხედა.

- მოკლედ: ფიროსმანი უდიდესი ქართველი მხატვარია. ნიკალა ფიროსმანაშვილი.

- არ ვიცი! – გაოცებული მიცქერდა მენეჯერი. თქვენ ხელოვნებამცოდნე ხართ?

- მხატვარი ვარ, მაგრამ ახლომდგომ სფეროში ვმუშაობ – ვბროკერობ, ასე ვთქვათ.

- სად არის თქვენს მიერ ნაქები მხატვრის ნამუშევრები? „საქმე დაიძრა!“ გავიფიქრე მე და აზარტში შევედი.

- ნახატები ამჟამად მე მაქვს, არ შეიძლება ისინი რომ შეისყიდოთ? – გული ამიჩქარდა პასუხის მოლოდინში. მენეჯერმა ლამაზი ფეხები ერთიმეორებე გადაიდო, სიგარეტი გააბოლა და კვამლს ამოაყოლა:

- ჩვენ ფული არა გვაქს! რომც გვქონდეს, უცნობ მხატვრებს არ ვიძენთ, ეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმია, აქ დაცულია თამარის ჯვარი, ოპიზრების ჭედურობანი, აქ მუმიაა, ბოლოსდაბოლოს! თქვენ კი...

- მერწმუნეთ, ფიროსმანი მე-19 საუკუნის დიდი ქართველი მხატვარია, არ გაგიგიათ: „ჩემი თბილისი და ფიროსმანი არ ვიცი ასე რამ შემაყვარა?“

- ნამდვილად არ გამიგია! მაგრამ „მიყვარს ვაშაყმაძის ქუჩა“ ზეპირად ვიცი. მშვენიერი ლექსია! „ფიროსმანის ადგილი დაუჭერია, პოეზიაშიც!“ გავბრაზდი: „ეს რა იდიოტობა ჩავიდინე?“ და უცემ სინანულის გრძნობა დამეუფლა: ამ ხალხისათვის, სულერთი ყოფილა, ფიროსმანი იქნება თუ ვაშაყმაძე!

- ყოველ შემთხვევაში, მე მინდა გაგაცნოთ ფიროსმანის შემოქმედება!

- კი, ბატონო, გნებავთ კომისიას დავნიშნავთ, ახლა არ მოესწორება. 1 ივნისს პირველ საათზე!

- პირველში, პირველ საათზე ასე უფრო დაამახსოვრდებათ, შევთანხმდით?

- შევთანხმდით, აი, ნახავთ, როგორი ნამუშევრებია, გააფრენს კომისია!

- თქვენს პირს შაქარი! მაგრამ შესყიდვის საკითხი მაინც პაერში რჩება: ფული არა გვაქვს – ბროლის კბილები გამოაჩინა ჩემმა თავაზიანმა და ლამაზმა მასპინძელმა.

* * *

- სანდრო, შენს ამერიკელებს პკითხე, უცნობი გენიოსის ნახატებს არ შეიძენებ?

- ვისია? – სხვათაშორის მკითხა.

- ფიროსმანისაა, მაგრამ შენ ხომ არ იცნობ მის ხელოვნებას.

- მე შენ სხვა რამ გთხოვე! მაგრამ ვეტყვი: თუ კარგია. შეიძენებ კაპიკებში, სუვენირებად გავატან!

- კატალოგი რომ ვაჩვენოთ? – უცებ მომაფიქრდა.

- ეს უკვე საინტერესოა – გაქვს კატალოგი?

- მალე მექნება – დაბეჯითებით ვთქვი.

- დაუჩქარე, რამდენიმე დღეში წასვლას აპირებენ!

მაღაზიაში სლაიდის ფირები ავიღე. მარის სახლში გავედი. მამამისი ვიდაცებს ესაუბრებოდა.

- რა მოხდა გიო, ხომ მშვიდობაა? – ღიმილით შემეგება – გაიცანით ეს ჩემი სიძეა – ჩემი თავი წარუდგინა მეზობლებს.

- ნანგრევები უნდა გადავიდო – მოვისაზრე უცებ – ეს აუცილებელია.

- ეგ მართლაც კარგად მოგიფიქრებია! – შემაქო სიმამრმა.

- ჯერ ფუნდამენტს შევამოწმებ – ბინაში შევედი.

- მხატვარია, ეგეთი საქმეები ესმის – ამაყად გადახედა მარის მამამ თანამესაუბრეთ.

სასწრაფოდ ავხადე სარდაფს სახურავი და კიბეებზე დავეშვი. სარდაფში ახალი ჩამრთველი შევამჩნიე, ისიც ჩავრთე. საკმაოდ განათდა. ნამუშევრები ხელუხლებლად ეწყო. სათითაოდ გადავუდე სლაიდი. ისევ გადავაფარე რაღაც ძველმანი ნახატების წყებას და ზემოთ ამოვედი. აქაც რამდენიმე კადრი დავაფიქსირე და გარეთ გამოვედი.

- არ წავიხემსოთ? – შემომთავაზა სიმამრმა.

- სახლში ყველაფერია, მალე მოვალ! მანამ ესენი უნდა დავამზადო!

- კარგი აბა შენ იცი!

,,მერსი“-მ გეზი დიღმისკენ აიღო. ნაცნობი მუშაობს სტამბაში. კომპიუტერულ ცენტრში ადგილზე დამხვდა. გავაცანი სამუშაოს გეგმა დ გვერდით მივუჭვექი, სლაიდები ფაქტიურად ნორმალური გამოვიდა, ოდნავ შუქი დავამატეთ:

- რა კარგებია? შენია? მკითხა ნაცნობმა.

- არა! „თავისუფლად შემიძლია ჩემი გვარი მოვაწერო“ – გამიელვა უკეთურმა აზრმა.

- ეს უცნობი მხატვრის შედევრებია, გვარად ფიროსმანაშვილის.
- პო, ჩემი „ზემლიაკი“ ყოფილა – მირზაანიდან!
- კი, იქიდან არის! მერედა ნიკალა არ გაგიგია შე კაცო?
- რაღაც კი მახსენდება ბუნდოვნად, ბებიაჩემი მიყვებოდა ვიდაც გიმნაზისტზე, თითქოსდა ნიკალა უნდა რქმეოდა, ზუსტად არ ვიცი.
- ხატავდაო?
- არა მგონია! – იუარა კომპიუტერის ოპერატორმა.
- მერე დაიწყო ხატვა, თბილისში, ცოტას მანამდეც ხატავდა, მაგრამ ვის ემახსოვრება!
- არა, მალიან კარგებია! – კმაყოფილი უცქერდა ეკრანს ჩემი ნაცნობი.
- ახლა სათაურები ავკრიფოთ, ეს „მეეზოვეა“, ეს „აქტრისა მარგარიტა“ უცებ გამახსნდა: „პარიზში წავიდოდა მარგარიტასთან!“
- ეს? – გამომიყვანა ფიქრებიდან.
- „გოგონა ბურთით“ – ზომებიც მიუწერე, ყველა ზეთითაა შესრულებული: დაასკანერე, პრინტერზე გადმოიდე და ააკინძინე. პო, ეს წინასიტყვაობაც დაურთე, ქართულად და ინგლისურად. „ნიკო ფიროსმანაშვილი, იგივე ფიროსმანი, თქვენთვის უცნობი გენიალური მხატვარია, მან მოიტანა თქვენამდე ქართული სული, ქართული კოლორიტი, ქართველი კაცის დარდი და ღიმილი. მისი ფერწერა ანათებს, იგი გასუფთავებს და ოდნავ უკეთესს გხდის, მასთან ყოველ ახალ შეხვედრისას. თქვენს წინაშეა დიდი მხტვარი – ფიროსმანი“.
- ზედმეტი ხომ არ მოგვდის? – გამიღიმა გამომცემელმა.
- ეს ყველაფერი სიმართლეა! – დამერწმუნე!
- არა, მართლაც სიმპათიური ფერწერაა – კვერი დამიკრა ნაცნობმა.
- რამდენიმე დღეში ასიოდე კატალოგი ამომიბეჭდა, აკინძა და გადმომცა. მაღალი ხარისხის კატალოგი ხელთა მაქვს. ესეც ასე! ახლა საჭიროა მხატვრების მონახულება და კატალოგების მათოვის გაცნობა: პირველად ჩემს პედაგოგთან ავედი, სამხატვრო აკადემიაში პირველი კურსიდან მასწავლიდა, თან კათედრის გამგე იყო.

* * *

ბატონმა გიგიმ ყურადღებით დაათვალიერა კატალოგი:

- ყავა გაგიცივდება – გამახსენა ამ დროს. მე ყავა მოვსვი, ძალიან ცხელი იყო.

- მე გრილი ყავა მიყვარს! რას იტყვით ბატონო გივი, აი ეს პეიზაჟი, რა მიამიტურია, არა?

- პო, პრიმიტივისტია ჩვენს წინ! საკმაოდ ნიჭიერი პრიმიტივისტი – კატალოგი გადადო ბატონმა გივიმ.

- ესე იგი, შენ რა გინდა?

- მე მინდა ფართო საზოგადოებას გავაცნო ნიკო ფიროსმანი, მოვაწყო მისი გამოფენა...

- აი, ეს კი – სრულიად ზედმეტია, შენ დაწერე? – წინასიტუაციაზე მიმანიშნა

– შეიძლებოდა დაგეწერა: კარგი ქართველი მხატვარი.

- ბატონო გივი, ფიროსმანი დიდი მხატვარია.

- სულ ასეთი ჯიუტი იყავი, აკადემიაში! – კარგი, მე მხარს დაგიჭრ! იქნებ, მართალიც გამოდგე.

- პირველ ივნისს, პირველ საათზე, მუზეუმში გელოდებით.

- ოქვენი იმედი მაქვს.

- სად იპოვე, ბიჭო, ეს ნახატები? – მომაძახა კიბეებზე.

არ ვიცოდი, რა მეოქვა:

- მიწისძვრის შემდეგ აღმოვაჩინე! – გავუცინე მე.

- კარგი ეშმაკი ხარ! – კეთილად დამემშვიდობა. სხვა მხატვრებსაც შეგუარე, დავურიგე რამდენიმე კატალოგი. ქვეცნობიერიდან ჩამესმა: „მაგრად იბრძი საკუთარი თვისთვის“ „არ დაგავიწყდეთ: – ფიროსმანისთვის!“ – გავაპროტესტე მე. ბოლოსდაბოლოს მონეტებისათვის სხვანაირად მოვიქცეოდი. ეს სულ სხვა ამბავია! ასეთ შედეგს არ ველოდი! სანდროს შეგხვდი. მასაც გადავეცი რამდენიმე კატალოგი.

- ვითომ მოეწონებათ? – ეჭვიანი თვალი შეავლო კატალოგის ფურცლებს.

- აუცილებლად აჩვენ! პირველ ივნისს კომისიაა, იქ ყველაფერი დამტკიცდება!

- კარგი გადავცემ.

სახლში აფორიაქებული დავბრუნდი.

- აი, მარი, ეს არის ფიროსმანი! – კატალოგი მაგიდაზე დავაგდე – ნახე!

აბაზანაში შევედი, ნახევრადთბილი შხაპის ქვეშ დავდექი.

- ვა, რა კარგია? – მომესმა მარის შეძახილები. მესიამოვნა მარის რომ მოეწონა, „კარგი თვალი აქვს“ გავიფიქრე.

- საიდან ეს ნახატები? – კარებთან მოვიდა მარი.

- სარდაფიდან – ვუთხარი მე, მარის ეგონა მასხრად ავიგდე, არადა თქვენ იცით, მართალს ვეუბნებოდი!

* * *

გემი მალტას მიადგა. ოქროსფერი ქვით ნაგები ქალაქი და ვალეტა ნიკალას მოეწონა.

- კუნძული მალტა! – ხელი გაიშვირა მალტასკენ დავითმა.

- მე მინდოდა, ერთად დაგვეთვალიერებინა ეს პატარა სამოთხე, შემდეგ კი გვესადილა, მინდა ჩემი სტუმარი იყოთ!

დავითს ესიამოვნა ნიკალას მიწვევა.

- მე პირველად ვარ ამ კუნძულზე, იქნებ მიამბოთ ცოტა რამ მისი ისტორიის შესახებ...

- ნიკო ბატონი, ბევრი არა ვიცი რა... ვიცი მხოლოდ: რაინდოთა დაარსებულია ეს ქალაქი. სახელი – ლავალეტა, ვინმე ჟან ვალეტას საპატივცემულოდ დაურქმევიათ.

- კარტის „ვალეტან“ არაფერი აქვს საერთო; – გაიცინა ნიკალაშ.

- მაგაზე არ მიფიქრია... თუმც სავსებით შესაძლებელია „ვალეტი“ რაინდს ნიშნავდეს...

- რა კარგი ახსნა იცით! – მადლიერი თვალები მიაპყრო მხატვარმა გამომგონებელს.

- აი, ეს ვიწრო ქუჩები, ძველ თბილისს მაგონებენ... სევდიანად წარმოსთქვა დავითმა.

- ეჰ, ძველი თბილისი ალბათ მალე საერთოდ გაქრება...

- რატომ, მეგობარო?

- რაღაც დიდი სიყვარული აქვთ ყველაფერი ახლის, ახალი ქალაქების, ახალი ადამიანების შექმნას აპირებენ და... ძველ თბილისი ვიღას სჭირდება!

- მე ვფიქრობ, სამ თვეში აღარ იქნებიან ბოლშევიკები. დიდი-დიდი ერთი წელი. ...ასევე სწამს ნოე ჟორდანიას და სხვებს.

- პოო? ღმერთმა პქნას! მგონი აქ რესტორანია შევიდეთ?

- მე ფულზე ცოტათი უბრადა ვარ – უხერხულად გაიცინა დავითმა.

- მე გეპატიუებით, ჩემო დავით, დამავალებთ, თუ არ იუხერხულებთ... ლამაზ დარბაზში შევიდნენ...

- მშვენიერია! – აღტაცება ვერ დამალეს ქართველებმა. ოფიციანტი მყის ეახლათ:

- სად ინებებთ დაჯდომას? – იტალიურად იკითხა მან.

- ზღვის ხედი რომ ჩანდეს, აი იქ, აიგანზე – ფრანგულად უპასუხეს მას.

- ოო, სინიორები იტალიელები მეგონენ... პარდონ, როგორ გავხართ იტალიელებს.

- არა, ჩვენ უორჟიანელები ვართ, ქართველები!

- ტიფლის? – გაუცინათ ოფიციანტება.

- კო, საიდან იცით?

- ჩვენთან მუშაობს ერთი ქალბატონი, ის გვიამბობდა თქვენს ქალაქზე – ნამყოფია. გემზე დამეგობრებულები, როგორდაც კარგ ბუნებაზე დააყენა ამ მცირე ინფორმაციამ.

- ქუჩები მართლაც თბილისისას პგავს! მოდიოთ ბატონო დავით, თბილისს გაუმარჯოს!

- ის ჩვენ მუდამ თან დაგვჭვება! მალე გვენახოს ჩვენი დედაქალაქი! ასეთი საუბრით იყვნენ გართული, როცა ქალის სიმღერა შემოესმათ. ხმა დარბაზიდან შემოდიოდა. ფიროსმანი შეცბა. ნელ-ნელა წამოდგა. კარებისაკენ წავიტდა. სცენისკენ გაიხედა.

- მარგარეტ! ლმერთო ჩემო, აქაც მომელანდა!

- თქვენი ნაცნობია? – ლიმილით მიუახლოვდა დავითი.

- უკვე მეორედ მომენტენა! თბილისში, ჩემს ოთახში მესტუმრა – ახლა კი მალტაზე!

- არა, ნიკო ეს მოჩვენება არ არის, სცენაზე ქალი მღერის! ფრანგულად!

ნიკალამ შემინული კარი შეაღო. თვალებზე ცრემლი მოადგა.

- ის არის! ის აქ არის!

დავითმა მხარზე მოხვია ხელი მხატვარს.

- წერილი გავუგზავნოთ! – ურჩია კინომოდვაწემ ნიკალას.

- კარგია! წერილი და ვარდები! გარსონ! – გასძახა ოფიციანტს. ის მყისიერად გაჩნდა მათთან. ნიკალამ ოქროს ფული ამოიღო.

- წადი, კალათა დაამზადებინე ვარდებით და შამპანურით, დიდი ზომის – ხელებით შემოხაზა ჰაერში კალათის ზომა.

- ვფიქრობ ეგ ნამეტანია! – გაიცინა დავითმა.

- და ეს ბარათი! – ნიკალამ სწრაფად დაწერა ეს სიტყვები: „აიგანზე გელოდებათ ადამიანი, რომელმაც ვერ დაგივიწყათ“.

- აი, ასე! ბარათი ისე მიამაგრეთ, რომ უმალ შეამჩნიოს!

ოფიციანტი გავიდა დავალების შესასრულებლად.

მეგობრები მაგიდას მიუსხდნენ.

- ეს ქალი თბილისში იყო გასტროლებზე. იქ გავიცანი, რომანი გვქონდა!
- რატომ დაშორდით? – დვინო ჩამოასხა დავითმა.
- გაქვს რამე ისეთი, რისი ახდენაც გაგაბედნიერებდა?
- მინდა ხმოვანი და ფერადი კინო შევქმნა.
- ეგ როგორ? – გაიოცა ფიროსმანმა.
- ესე იგი, ამ ქალბატონის ხილვა თქვენთვის ისეთივე რამ არის, რაც ჩემთვის ეს გამოგონება იქნება;
- დიახ! მე ბედნიერი ვარ! უფრო მეტიც: სიზმარში ვარ!
- არა, მგონია ამ ქალბატონს თქვენთვის ბედნიერება მოჰქონდეს! – პირქუშად უთხრა დავითმა.
- იქნებ თქვენ გგონიათ, ბატონო ჩემო, – თვალი თვალში გაუყარა ნიკალამ – რომ ეგ გამოგონება გაგაბედნიერებთ, მაგრამ მე მინდა გკითხოთ, რა გიშლით ხელს თქვენი იდეის განხორციელებაში; თემა შეცვალა მხატვარმა.
- ფული! – დაუფიქრებლად უპასუხა ინჟინერმა.
- უფრო ზუსტად... უფულობა არა? – გაიცინა მხატვარმა.
- კი მაგრამ... მაპატიეთ ნიკო – სად ქალი და სად გამოგონება?
- ორივე ჩვენთაგანისათვის ბედნიერების ტოლფასნი არიან: ჩემთვის მარგარეტი – შენთვის გამოგონება.
- თქვენ გგონიათ მე ქალები არ მიყვარს? – ნიშნის მოგებით იკითხა დავითმა.
- მარგარეტი ჩემი იდეა! იდეა ფიქსი!
- ასეთი მიღგომა მეტად უცნაურია, მაშ თქვენ მარადი განშორებისათვის ხართ განწირული!
- ზუსტად ამ დროს შემოვიდა მარგარეტი! ასაკი დატყობოდა, მაგრამ წლებს მისი სილამაზე ვერ გაეფერმკრთალებინა, შეიძლება ითქვას, მისი სევდიანი თვალები მას მშვენიერს ხდიდნენ.
- მარგარეტ! ეს... შენა ხარ! – ფეხზე წამოდგა მხატვარი.
- ნიკოლა! – მარგარეტმა შესძახა და მხატვარს მიეჭრა: თვალებში აკოცა, ცრემლები მოერია:
- საიდან? საიდან? ღმერთო, რა შეხვედრაა! ამ კაცმა ყველაფერი გაყიდა ჩემი გულისთვის – მიუბრუნდა დავითს – ჩემი გულისთვის. ისევ ნიკალა მიუბრუნდა:
- მადლობთ ყვავილებისათვის! ძველი დრო გამახსენდა... – ისევ შეათვალიერა მხატვარი.
- გაჭალარავებულხარ, მაგრამ უკეთ გამოიყურები... კარგად გაცვია! – აღფრთოვანებით წარმოსთქვამდა სიტყვებს მარგარეტი.

- პო ნახატები გავყიდე და...

- ესე იგი გაგიმართლა? – ტაში შემოჰკრა მომდერალმა.

- პო, დღეს გამიმართლა!

- დაბრძანდით მარგარეტ! – სკამი მიართვა დავითმა სტუმარს.

- ოო, რა გემრიელი რადაცები გაქვთ! – მარგარეტმა ჭამა დაიწყო. ეს ისეთი პროზაული გადასვლა ყო, რომ ყველაფერი ჩვეულებრივი გახადა: ეს შეხვედრაც, ეს რესტორანიც, ეს კუნძულიც.

- დიდი ხანია აქ ბრძანდებით? – დავითმა პკითხა მარგარეტს.

- პო, რამდენიმე თვეა! დავდივარ ასე ქვეყანაზე, ასეთია ჩემი სამუშაო, მაგრამ ძლიერ გამიჭირდა: ჯაზია ახლა ყველგან! მე კი... – ხელი ჩაიქნია.

- თბილისში არ არის ჯაზი – გაიცინა დავითმა.

- იქ ბოლშევიკები არიან! – სიტყვა მოუქრა ნიკალამ.

- პო, ნეტავ მართლა კაციჭამიები არიან? – იკითხა მარგარეტმა.

ნიკალამ მხრები აიჩეჩა.

- რა ვიცი, პოლიტიკაში არ ვერევი, მაგრამ... პარიზში არ გინდა წასვლა? – შესთავაზა თავის ცისფეროვალება მუზას მხატვარმა.

- შენ პარიზში მიდიხარ?

- პო, მე და დავითი! – დიდი გეგმები გვაქს.

- მე დიდი გეგმებისათვის ადარ გამოვდგები – ნაღვლიანად წარმოსქვა მარგარეტმა, მე... აეროსტატი ვარ თვითმფრინავების ეპოქაში! მე პარიზში არავის ვჭირდები!

- მე მჭირდები, მარგარეტ! – იცი, შენი ნახატიც გავყიდე – უცებ გაახსენდა მხატვარს.

- რამდენი უსიამოვნება შეგხვდა მაგ ნახატის გამო.

დავითმა ინტერესი გამოხატა გამომეტყველებით. ნიკალამ თავი ჩაღუნა.

- კონტრაქტი დაუდო ჩემმა იმპრესარიომ ნიკოლას – წამოიწყო მომდერალმა – მისი შესრულებული ჩემი პორტრეტით უნდა დამზადებულიყო აფიშა „მადამ დუ მონდ“!

- არ შეასრულეთ? – გაუკვირდა ინჟინერს.

- არ მოეწონათ! – უქმეხად წარმოსთქვა მხატვარმა.

- მერე რა მოხდა? შენი ბრალი ხომ არ არის?

- იქიდან დაიწყო უსიამოვნებები, ფული აღებული მქონდა, დამაჯარიმა...

წაგიდა და წაგიდა... უკუღმა დატრიალდა ბედის ჩარხი. ვცემ კიდეც...

- გასაგებია! დაგამცირათ ალბათ!

- ძალიან! – ჩაერთო საუბარში მარგარეტი – პირადად ვერც მე გავიგე ნიკალას ნახატი, მაგრამ... ადამიანის დაცინვა რა მისაღებია?

ამ სიტყვებზე ნიკალა შეცბა. დავითს არ გამოეპარა ეს.

- კარგით, უკვე გვიანია – თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისე წარმოსთქვა მარგარეტმა – ხვალ ხომ მოხვალთ?

- არა! – თქვა ცივად დავითმა – მე და ნიკოლასი პარიზში მივემგზავრებით!

ნიკალას არაფერი უთქვამს, მხოლოდ მოსვა წითელი ღვინო.

- მაშ ბედნიერად! მეც როგორ მინდა პარიზში.

- თქვენ მართალი ბრძანდებით, რომ არ მოდიხართ! – დავითის ამ სიტყვებზე მარგარეტი გაწითლდა. ნიკალასთან მივიდა და აკოცა:

- ნიკოლას, თუ დარჩები... მე აქა ვარ! ახლა კი მშვიდობით! – უცებ გატრიალდა მომდერალი.

სიჩუმემ დაისადგურა. ორივენი გასცექროდნენ ზღვისა და ცის შეერთების ადგილს, რომელსაც მეცნიერები პორიზონტს ეძახიან.

- ქალი – სიჩუმე დაარღვია დავითმა – თქვენ დაგდუპავთ!

ნიკალამ ფრთხილად წამოიწყო:

- დავით, ფული რომ გქონდეს ნამდვილად გამოიგონებ ხმოვან კინოს?

- ნამდვილად! ცდების ფულიც არა მაქს!

- მიამბე, როგორია ხმოვანი კინო? – ეს ისეთი კილოთი წარმოსთქვა ნიკალამ, რომ დავითი მიხვდა, ამ ქალზე საუბარი მას აღარ სურდა, ყოველ შემთხვევაში – ახლა.

დავითმა აღწერა, როგორ უნდა ჩაეწერათ ხმა ფირზე, და როგორ აღარ იქნებოდა საჭირო კინოდარბაზებში მუსიკოსი, რომელსაც „ტაპიორს“ ეძახდნენ.

- ესე იგი, როგორც მე და თქვენ ვსაუბრობთ, ასევე საუბარი გაიჟდერებს ეკრანზე?

- დიახ! ყველა მსახიობი ხმას ამოიდგამს და საბოლოო დავიწყებას მიეცემა უხმო კინემატოგრაფი – „დიდი მუნჯი“.

- ეს იდეა მე მხიბლავს! დავით, თუ ჩემს დახმარებას მიიღებთ, მე მინდა დახმარების ხელი გამოგიწოდოთ! მე დაგაფინანსებთ თქვენ! – ხელი ხელზე დაადო მხატვარმა ახალგაზრდა გამომგონებელს.

- პირველ რიგში იდეის დაპატენტებაა საჭირო – თვალები გაუცოცხლდნენ დავითს – თქვენ... შეძლებთ ამას?

- რა თქმა უნდა! ფული საკმარისად მაქს! ცხოვრება უნდა შევცვალო! მოდი, განგების დიდება ვთქვათ, ასე რომ შეგვახვედრა ერთმანეთს მე და თქვენ!

* * *

1 ივნისს კომისია შეიქრიბა ხელოვნების მუზეუმში. ნახატები დილიდან გადაგზიდება. გემოვნებით განვალაგე ერთმანეთის გვერდით, თითო მეტრი დისტანცია დაგუტოვე, მთელი დარბაზი შეიგვსო. კომისიის წევრები მოდიოდნენ ჩემთან, გამესაუბრებოდნენ და აგრძელებდნენ დათვალიერებას. შეკითხვები დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო:

- სად აღმოაჩინეთ ეს ნამუშევრები?
- რამდენი წლის წინ არის შესრულებული?
- რატომ არაფერი ვიცოდით მის შესახებ?

ყველა მათგანს თავაზიანად ვპასუხობდი. ერთი საათის შემდეგ, მუზეუმის დირექტორმა დასკვნის გაკეთება სთხოვა კომისის წევრებს. სახელდახელოდ დადგმულ ტრიბუნასთან პირველი ბატონი გივი მივიდა.

- საქმე იმაშია – წამოიწყო მან – ამ შეკრების ინიციატორი, ჩემი სტუდენტია, ერთ-ერთი საყვარელი სტუდენტი. მე მესმის მისი აღტკინება. მას ყოველთვის ახასიათებდა ახალი იდეაბით გატაცება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ნამუშევრები და მისი აზრი მათ შესახებ, მსუბუქად რომ ვთქვათ, არ ემთხვევა ერთმანეთს.

ბატონი გივი ტრიბუნიდან ჩამოვიდა. გასვლისას ხელი მხარზე მომითათვა „გამომიარე ბიჭოო“ დააყოლა და დარბაზი დატოვა. კომისიის მეორე წევრმა „დაბომბა“ ფიროსმანი:

- ეს ნახატები ყოველგვარ ესთეტიზმს არიან მოკლებულნი, მე მესმის, რომ თანამედროვე მხატვრობაში შეიძლება არ დაიცვა პროპორციები, მაგრამ ეს? – აქ დაფიქრდა – ეს ანტიმხატვრობაა! გაწიწმატებულმა დატოვა ტრიბუნა. მესამემაც, მეოთხმაც იგივე გაიმურა. ერთადერთი ვინც დადებითი შეფასება მისცა ფიროსმანის ნახატებს, ისევ მუზეუმის მომხიბვლავი წარმომადგენელი იყო. როგორც გაირკვა, ხელოვნებამცოდნე იყო.

- ძალიან მომწონს, ეს სურათები, ეს ფერწერა ჩემთვის აღმოჩენაა, მე დაწერ ამ მხატვარზე. ის იმსახურებს ითვლებოდეს ქართული ფერწერის ლირსეულ წარმომადგენლად.

ეს იყო და ეს! ამით დამთავრდა კომისიის სხდომა, პრინციპში ჩემი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. მივუახლოვდი ლამაზ ქალბატონს და მადლობა მოვახსენე.

- მე ვფიქრობ, საჭიროა ხშირად ვწეროთ მასზე – გამიცინა მან – თქვენ ხომ ბევრი რამ იცით მის შესახებ? მომაწოდეთ ინფორმაცია!

ამ სიტყვებმა იმედი ჩამისახეს. მართლაც, ნახატები მე მაქვს, თითქმის ყველა ლექსი ნიკალას შესახებ ზეპირად ვიცი. გამოვაქვეყნებ ლიტერატურას, მივმართავ ახალგაზრდა ხელოვნებამცოდნებს, კომპიუტერით დავაგზავნი ნამუშევრების გამოსახულებას და ნელ-ნელა გაუკეთდება პრომოუშენი, მაგრამ ეს დიდ დროს წაიღებს! უცებ მომაფიქრდა: იმ ტიპს ბინას გადავუფორმებ და დაწენარდება! აზრის გენიალურობამ ხასიათი გამომიკეთა...

* * *

მარიმ არაფერი უნდა იცოდეს. სტუმრად მოვიწვიე ის ტიპი და ხოსო, ჩემი სიმამრიც შემოგვიერთდა.

- როგორ ბრძანდებით ბატონო რევაზ? – შეეკითხა ხოსო.

- ისე კარგად ვარ, სხვების რომ არ მრცხვენოდეს, ზომიერი მიწისძვრის სადღეგრძელოს დავაწესებდი! – გაიცინა სიმამრმა.

- კაი, ხუმრობა გცოდნიათ! – შეაქეს ბიჭებმა.

სოსოს თვალით ვანიშნე გამოდი-მეთქი. სოსო წამოდგა, აივანზე გავიყვანე.

- მაგ ტიპს ბინა უნდა გადავუფორმო...

- რატომ?

- იწელება ეს ამბავი და სანამ მოგვარდება...

- ჰორო... ეს არ მესიამოვნა – მითხვა სოსომ – დათანხმდება; ასი ოქრო აქვს მოცემული!

- ასი მოპარული, დაყაჩალებული ოქრო! წესით საცემია, მაგრამ ეგ მარტო არ იქნება.

- ალბათ – დამეთანხმა სოსო.

- ეგ შეიძლება „პასტავნი“ იყოს. ოქრო სხვისი იქნება, ამიტომ ასე ვამჯობინე.

- მერე გაანალდებ? – შევატყვე, ნერვიულობდა.

- ბიჭო სურათებში ჩავდე ეგ ფული, გაიგე?

- გავიგე, გავიგე. სურათებს გაყიდი და გაისტუმრებ, ასე არ არის?

- ასეა, მაგრამ დროში იწელება! შემოიყვანე ის კაცი. სოსო გავიდა. ორივეს მარი გამოჰყება.

- რა წესია ეს, გიო? – სად მიგვაგს ეს ხალხი? – თან გამომცდელად შემხედა.

- რადაც უნდა მოვილაპარაკოთ! – ორ წუთში მაგიდასთან ვართ! – პირობა მივეცი მარის.

მარი გავიდა.

- მომისმინე! – წამოვიწყე – ეს ბინა მოგწონს?

- მომწონს! – დაუფიქრებლად მითხრა სტუმარმა.

- ჩემი გარიგება უცხოელებთან არ ჩაშლილა, დროში გაიჭიმა უბრალოდ, ამის დასტურად ბინას გადმოგიფორმებ, გაიგე?

- დაცლი? – უცებ მკითხა ტიპმა.

- როგორ დავცლი? აქ უნდა ვიცხოვო, თუ პირობა ვერ შევასრულე, მაშინ დავცლი!

- რა ვადით გინდა?

- ექვსი თვით! – მცირე პაუზის შემდეგ ვუპასუხე.

- ხვალ გეტყვი პასუხს – მითხრა მან – ისე კარგია, რომ არ იმაღები, გეტყობა სიტყვის კაცი ხარ!

- ახლა კი სუფრას მივუბრუნდეთ, ვუთხარი მათ და ოთახში დავბრუნდით.

- ესე იგი, ზომიერი მიწისძვრა როგორია? – შესძახა სოსომ.

- რომ არ გაგჭყლებს, ცოცხალს რომ დაგტოვებს, გოგოს რომ გაგათხოვებინებს და ახალ ბინაში შეგასახლებს! – წამოიძახა ჩემმა სიმამრმა. ის ნამდვილად ბედნიერი იყო!

* * *

როგორც იქნა, ჩააღწიეს ქართველებმა პარიზში. ბინა დაიქირავეს და სასწრაფოდ დაიწყეს ჩანაფიქრის განხორციელება. დავითი და ნიკალა საპატენტო ბიუროში გამოცხადდნენ, გაიგეს ყველანაირი პირობა, იმისათვის, რომ გამოგონება დაეპატენტებინათ.

სოლიდური თანხის გადახდის შემდეგ, მათ მიიღეს სიგელი, რომელშიც ეწერა: „დავით ოცხელმა და ნიკოლას მირზანელმა, გამოიგონეს გახმოვანებული კინო, მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სპეციალური მოწყობილობით (რომლის აღწერა თან ახლავს საპატენტო წინადაღებას) კინოფირზე მოხდება ხმისა და მუსიკის ჩაწერა. პატენტი გაიცა 1921 წლის 31 ივნისს 11 საათზე“. ნიკალას გაუკვირდა ასეთი სიზუსტე.

- 12 საათზე რომ მოიტანოს ვიღაცამ იგივე გამოგონება, აღარ დაუპატენტებენ, დაგეიანებულია, გასაგებია?

- რა საინტერესოა, ერთი ეს მითხარი, მე ვისი ტიკი-ტომარა ვარ პატენტი
რომ ჩამწერე!

- შენ ჩემი მეცენატი ხარ, ამ იდეის დამფინანსებელი, მაშასადამე
გამზიარებელი! თანაც ვფიქრობ, როცა კარგად ჩაიხედავ საქმეში, ბევრ
სასარგებლო აზრს მომაწოდებ!

- ნიკოლას მირზანელი! კარგად უღერს – გაიცინა მხატვარმა. თვალები ზეცას
მიაპყრო, ოცნებებში წავიდა:

- კინოს რომ გავახმოვანებო, მერე გავაფერადებო კიდეთ! აი, სად
გამოგადგები მე! – მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი!

- მოდიოთ ნიკოლას, კაფეში შევიდეთ!

- კაფე „როტონდა“? – ამოიკითხა მხატვარმა.

- ჰო, აქ დადიან სახელოვანი ადამიანები! ჩვენც აქ უნდა ვიაროთ, მალე ხომ
სახელოვანი გავხდებით!

- ეჭ, ამოიოხრა ნიკალამ, მას შემდეგ, რაც პატარა მაგიდას მიუსხდნენ – ჩვენ
როდის განვახორციელებო მაგ იდეას!

- მალე, ნიკოლას, მალე! საჭირო მოწყობილობას რამდენიმე კვირაში
ავამოქმედებ! აი, ნახავ თუ არა... მთავარია დეტალები დავამზადებინო, ნახაზები
მაქა!

- ეგ მოწყობილობა, გრამოფონივით იქნება, არა? – მიამიტურად იკითხა
მირზანელმა.

- ჰო, ოღონდ ელექტრონული პრინციპით. ფირის კიდეში ბგერათა რხევები
უნდა აღიბეჭდოს, აი ასე – დავითმა საქაღალდე ზიგზაგები გამოიყვანა.

- რა საინტერესოა დავით! ეგ თუ გამოგვივიდა! – ნიკალამ პირჯვარი
გადაიწერა.

- შეხედე! ვინ შემოვიდა – ჩასჩურჩულა ინჟინერმა მხატვარს.

- ვინ არის ეს კაცი, ლიმილით მეცნაურა!

- ჩარლი ჩაპლინი! „მუნჯი კინოს“ გენიოსი.

- ოო, რა დაბალი ყოფილა! – ცოტა არ იყოს, ხამამდლა მოუვიდა მხატვარს.

- ამ კაცმა უდიდესი წვლილი შეიტანა კინოს განვითარებაში! – პათეტიკურად
წარმოთქვა დავითმა – მილიონერია დასმინა ბოლოს.

- რა უბრალოდ შემოვიდა – ნიკალა თვალს არ აშორებდა ჩარლის – ჩვენს
გაბლენძილ მდიდრებს კი არა ჰგავს!

- იმათ ჩემო ნიკოლას, ფულის მეტი არა აბადიათ რა. გახვრეტილი შაური არ დირს მათი ცოდნა-განათლება, მაგრამ შეიცვლება ეგ მდგომარეობა: ჭკვიანებს და განათლებულებს ექნებათ ფული!

- ეპ, დავით, დავით! რა მიამიტი ახალგაზრდა ხარ1 საქართველოში ეგ არასოდეს შეიცვლება... ფულიანი უფულოს არასოდეს ეტყვის, შენ ჭკვიანი ხარ და მოდი, ცოტას გიწილადებო!

- კი მაგრამ შენ, ხომ ასეთი ხარ? შენ ხომ დამიდექი გვერდში? – გამარჯვებულის სახით, უდარდელად მიაწვა საზურგეს.

- მე სხვა ვარ! მე თვითონ გამიმართა ხელი უცნობმა ახალგაზრდამ.

- ვინ არის არ იცი? – დაინტერესდა გამომგონებელი.

- არ ვიცი, სხვანაირად ეცვა, მოკლე სახელოებიანი პერანგი ეცვა და რაღაცნაირი მოლურჯო შარვალი, ეგეთი არ მინახავს!

- ტილოს შარვალს ჰგავდა? – ჩაეძია დავითი.

- ჰო, რადაც უხეში ნაჭრისაგან იყო შეკერილი!

- ეგ ბიჭი ამერიკელი ყოფილა! – დაასკვნა გამომგონებელმა.

- არა კაცო, ქართველი იყო, ქართულად მელაპარაკებოდა და ჩემი ნახატებიც... ქართულად იყიდა!

- ქართულად, ანუ... ბევრი მოგცა? – გაიცინა დავითმა. – მომისმინე შენ რომ აღწერე იმ შარვალს ჯინსი ჰქვია, ამერიკელ კოვბოებს აცვიათ, არ იხევა, არ იკუჭება და გამძლეა მოკლედ!

- მერე ქართველ კაცს რატომ ეცვა? – იკითხა მხატვარმა.

- აი, ეგ უკვე აღარ ვიცი, შეიძლება ამერიკაში იყო გაზრდილი. კი ეგრე იქნებოდა...

- ალბათ – ყრუდ წარმოსთქვა ნიკოლასმა – აბა, ქართველი ჩემს ნახატებს იყიდდა? ბოთლი ლვინო და თავი კერძი, აი მაგათი მაქსიმალური გადახდა!

- მართლაც, საოცარია, ჩვენებური ერთმანეთის დაუფასებლობა! ესენი – თვალით ანიშნა კაფეში მსხდარ ხალხზე – ნიჭიერ ხალხს პატივს სცემენ.

- ამათ რა, მხატვრები მშივრები არა ჰყავთ? – თვალებში ჩახედა დავითს ნიკალამ.

- ეტყობა, უკელგან ასეა! – ხელები ასწია დავითმა – შენ მართალი ხარ ნიკალა, ბედი თუ არ გაქვს, სადაც გინდა იქ იცხოვრე!

- ესე იგი, კარგ ფეხზე შეგხვდი არა? – გაიცინა მხატვარმა.

- დიდებულზე! მოდი ჩარლისთან მივალ და ჩვენი პატენტის იდეას გავაცნობ! – საინტერესოა, რას იტყვის! – დაეთანხმა მირზანელი.

დავითი ჩარლის მოწიწებით მიესალმა, თავისი თავი წარუდგინა, როგორც კინოს დარგში მოღვაწე გამომგონებელი.

- ჰო, ახლა ბევრი იგონებს ახალ-ახალ რაღაცებს, ასეთი ცხოვრება წავიდა...

საკმაოდ უხალისოდ შეხვდა ჩაპლინი გამომგონებელს.

- თქვენ ფრანგი არ უნდა იყოთ! – ინტერესით შეათვალიერა სტუმარი კომიკოსმა.

- დიახ ფრანგი არა ვარ, მე ქართველი ვარ!

- ეს სადღაც ამერიკაშია არა? (ჯორჯის შტატი იგულისხმა)

- არა კავკასიაში!

- ოო, ხანჯლებით რომ დადიან? – კარგი იქნებოდა ჩემი გმირი თქვენს ქვეყანაში გადამეღო...

- ჩემს ქვეყანაში ახლა წითლები შევიდნენ.

- მით უმეტეს, უფრო სასაცილო იქნება – გაიცინა ჩარლიმ / „ჩარლი-წითლებში“ რა კარგი იდეა მომეცი.

- ზოგისთვის სასაცილოა, ზოგისთვის – სატირალი – ცოტა არ იყოს უკმეხად გამოუვიდა დავითს.

- კარგით, მაპატიეთ! რა გამოიგონეთ ქართველო?

- აი, პატენტი! მე მინდა ხმოვანი კინო შევქმნა. მსახიობები ილაპარაკებენ, წინასწარ დაწერილ ტექსტებს, მუსიკა კი – ფონად გაჟყვება – ანთებული თვალებით საუბრობდა ახალგაზრდა ქართველი.

- სისულელეა! – მოუჭრა ჩარლიმ – ეგ კინო არ არის, ეგ ყველაფერი, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, უკვე არსებობს, ეგ თეატრია!

- კი, მაგრამ – დავითი შეეცადა გაეგრძელებინა თავისი გამოგონების შესახებ საუბარი.

- კინო – კინო უნდა იყოს, მსახიობის ოსტატობაზე, მის მიმიკაზე, მიმოხვრაზე აგებული. მოლაპარაკე კინო უამრავ უნიჭოს მოიზიდავს კინოში, თოჯინებს, რომლებსაც სხვები გაახმოვანებენ! თქვენ დაღუპავთ კინომატოგრაფიას! – ჩარლი წამოდგა, ფული გადაიხადა და კაფე დატოვა.

- რა ბრაზიანი კინმე ყოფილა, კაცო! – კახური კილო შეეპარა ნიკალას.

- მაი! – იმავე სტილში უპასუხა დავითმა.

- ეკრანზე სულ სხვანაირია! – გააგრძელა მხატვარმა. ესე იგი თამაშობს?

- ჰო, თანაც ძალიან მაგრად თამაშობს თავის როლებს და რომ იცოდე ჩემო ნიკალ, შეიძლება მართალიც კი იყოს!

- რაო, რა გითხრა ეგეთი!

- შენი გამოგონება უნიჭობას გაუხსნის გზასო! – ფიქრებში წასულმა უპასუხა მხატვარს.

- ოო! ეგ საქმე კარგად ვერ გაგვითვლია – ჩაიღაპარაკა ნიკალამ – ვითომ რაცომო? რა ნიჭიერად ვერ იღაპარაკებუნო? – ალალად გაიოცა.

- ჩვენ პროგრესს უნდა მივსდიოთ, გავუსწროთ კიდეც: მე მწამს – ხმოვანი კინო მომავლის კინოა! მოდი დროს ნუდარ დავკარგავთ, დღესვე ვიპოვოთ ხარატი, რომელიც დეტალებს დაგვიმზადებს!

* * *

სანდრომ დამირეკა გახარებულმა.

- ძალიან მოეწონათ შენი კატალოგი.

გული ჩიტივით შეხტა საგულეში!

- მოეწონათ? იყიდიან?

- შენთან ლაპარაკი უნდათ, ორიგინალები უნდა ნახონ და პრომოუშენი წამოიწყონ. თუ რა თქმა უნდა ისევე მოეწონათ ორიგინალები, როგორც სლადები.

- უფრო მოეწონებათ, მაგრამ ეგ პრომოუშენი დიდ დროს წაიღებს. არ შეიძლება მანამ მომცენ ჩემი? – სულსწრაფად მომივიდა, მაგრამ ბინის დაკარგვა ნამდვილად არ მინდა!

- თუ მოეწონათ, მერე მოიღაპარაკებთ ყველაფერზე, შეიძლება მხატვრის აღმომჩენის გვირგვინიც კი მოირგო თავზე!

- ფიროსმანი ზდანევიჩებმა აღმოაჩინეს! – შევედავე მე.

- რას სულელობ? – ეს ხალხი აწი აპირებს ამ მხატვრის პრომოუშენს.

- ჰო, კარგი, კარგი, წამომცდა რადაც! – სულ დამავიწყდა, ამათ არაფერი იციან ამ საქმისა. ტელეფონი გავთიშვ. ესეც ასე, რაც მთავარია, ფიროსმანმა ინტერესი გამოიწვია, სადაც ინტერესია იქ ფულიც გამოჩნდება! მარის გავესაუბრე, ისე ვარ გადართული ამ საქმეებში, ოჯახისთვის ვერ ვიცლი:

- როგორი ყოფილა გათხოვება ქალბატონო? – გავეთამაშე მე.

- ზუსტად ისეთივე, როგორც ყოველი გათხოვილი ქალი აღწერს ხოლმე?

- და არაფერი ამაღლებული და პოეტური არა?

- ჰო – ამოიოხრა მარიმ თან სარეცხი მანქანა ჩართო, დაველოდებით ბავშვს! ალბათ ის გაგვამხნევებს და ცხოვრებას ხალისს შემმატებს.

- ბავშვს? – რაღაცას მივხვდი – ჩვენ ბავშვი უნდა გვეყოლოს!

- ჰო, მაგრამ ჯერ უნდა მოვილაპარაკოთ, შენ უნდა გაითხო!

- რა უნდა მკითხო, შე სულელო – მარის გადავეხვიგ! „და დახლქვეშ დაგაქვს გადამალული საქონელი – მოვავალი საქართველოსი!

- ტარიელ ჭანტურია!

- დიახ, ჩემთ ნაკითხო და გადასარევო, რომ ვერაფერს გამოგაპარებს კაცი... ისეთო! – არტისტულად ვსთქვი მე. რაღაც სხვანაირად გავსწორდი წელში. არა, კი მიყვებოდნენ, მაგრამ საკუთარ თავზე გამოცდილი სულ სხვა ყოფილა.

- მანამდე კი ფიროსმანსაც გავუთქვამთ სახელს... – ოცნებებში წავედი...

- ოპო! ეს შენი იდეაფიქსია!

- საქართველოს არა აქვს უფლება დაკარგოს ასეთი შვილი!

- პოდა ნუ დაკარგავს! ყველას საქმე შენ უნდა აკეთო?

- იცი, ვინ არის ფიროსმანი?

- ვინ არის და მხატვარი, რომელსაც შენი შემწეობით ქვეყანა გაიცნობს და შეიყვარებს! – გაზეთის ენით მიპასუხა მარიმ

- ის შენი მეზობელია! – ვესროლე მე!

- ჩემი მეზობელი? – საფეთქლებზე თითები მიიჭირა, თითქოს გონებიდან რაღაცას იძახებსო.

- ჰო, გავაგრძელე მე – თქვენს ბინებს ერთი კედელი ჰყოფს! – გავამძაფრე სიტუაცია.

- წვეროსანი? – შემეკითხა უცებ.

- აა, გაგახსენდა, გიუი რომ გეგონა!

- ბზარი გაჩნდა და იქ ვიდაც გამოჩნდა...

- სხვა არაფერი გახსოვს? რა გითხრა ვინ ვარო?

მარიმ მხრები აიჩეჩა.

- ვინ ვარო და... ნიკალა ვარო, ფიროსმანაშვილიო და სწორედ ამიტომ გეგონა გიჟი!

- კი მაგრამ რატომ მეგონა ვითომ გიჟი? არ ამიხსნი? ვინმებ სახელი და გვარი რომ მითხრას თავისი, გიუი მეგონება?

- საქმე იმაშია, რომ შენ მაშინ იცნობდი მხატვარ ფიროსმანს, ზეპირად იცოდი მისი ბიოგრაფია და ისიც იცოდი, რომ დიდი ხნის მკვდარი იყო! – ამ სიტყვებზე მარი გაშრა. ცოტა ხნის შემდეგ სიჩუმე დაარღვია.

- მარგარეტს მეძახდა! ეს როგორ? მოლანდება ვნახე?

- არა, ნამდვილი ფიროსმანი ნახე. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ რატომლა დაგიმალო, აი, აქ ამ თაროზე, ვაშაყმაბის წიგნის მაგივრად, ფიროსმანის წიგნი იდო. შენ ფიროსმანის ქუჩაზე ცხოვრობდი! იმ დროს როცა შენთან ვიყავი,

მიწისძვრა მოხდა, მიწისძვრამ დროის ბზარი გააჩინა შენს კარადაში. პო, პო ნუ მიყურებ შეშინებული! მე შეცდომით კარადიაში მოვხვდი კარების მაგივრად, მოვხვდი წარსულში, იმ ოთახში, სადაც ნიკალა ცხოვრობდა და მისგან შევიძინე ნახატები! მისთვის სიკეთე მინდოდა, მოგეხსენება – გაჭირვებაში ცხოვრობდა! მაგრამ ამით დავიწყებას მიეცა მისი სახელი, მოკლედ მთელი მისი შემოქმედება წარსულიდან გადმოვიტანე. ამიტომ აღარ პქვია შენს ქუჩას ფიროსმანის ქუჩა. ამიტომ აღარ იცი ლადო ასათიანის ლექსი „მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ, და ყოველ დილით ვხვდები ნიკალას!“

- რა კარგია! – ყურადღება ლექსზე გადაიტანა მარიმ.

- პო, ის უკეთესია, არა? „მიყვარს ვაშაყმაძის ქუჩა“. ვაი, თქვენს პატრონს! მარიმ ვერაფერი გაიგო! ან – არ დამიჯერა! ეს სულერთია! ჩემი ფიქრები ისევ მის მუცელში მყოფ ბაგშვს დაუბრუნდნენ. მივუახლოვდი, ხელებით შევეხე მარის ოდნავ გამოწეულ მუცელს და დიმილით ვუთხარი:

- აი ამას ეცოდინება ფიროსმანი!

* * *

ხარატმა მალე დაამზადა საჭირო დეტალები. დავითი ხელსაწყოს ჩაუჯდა. უკვე კარგა ხანია ელექტრონული ხმის ჩამწერი მოწყობილობები არსებობს, მაგრამ ეს მაინც სხვაა: ცელულოიდზე, რომლისგანაც ფირია დამზადებული, უნდა გაკეთდეს ზმოვანი ბილიკიც. ამიერიდან კინოფირს ორი დატვირთვა უნდა ჰქონდეს გამოსახულებასთანერთად, ხმოვანი ინფორმაციაც უნდა დაიტიოს. პერფორმანსის გვერდით, ზიგზაგებით აღიბეჭდება ჩაწერილი ხმა! ნიკალამ მონმარტრზე მოუხშირა სიარულს:

- ხატვა მომინდა! – ანთებული თვალებით შამოვიდა ერთხელ.

- იქ დაჯდები? – დაინტერესედა გამომგონებული.

- პო, პარიზი უნდა დაგხატო!

- ძალიან კარგსაც იზამ! – მეც არ მცალია შენთვის. მალე მოგასმენინებ ხმოვან ბილიკს!

- ღმერთმა პქნას! მე გაგალ, ყველა ვისაც ფუნჯის ჭერა არ ეზარება, იქ არის, მოლბერტს წავიდებ და წავალ! ამ სიტყვებზე კარი გაიხურა ნიკალამ, თავზე კეპი ეხურა, უსახელო სერთუკი ეცვა, ყელზე კოპლებიანი კაშნე ეკეთა, იტალიელ მხატვარს ჰგავდა. ის იყო ნიკალა გავიდა, კარებზე დააკაკუნეს. დავითი ისე იყო საქმეში გართული, გვიან გაიგო კარზე ატეხილი ბრახუნი. კარი გაიდო, ორნი შემოვიდნენ, პირქუმნი და უდიმილონი.

- ვინ გნებავთ!

- ჩვენ კონცერნ / სინემა დე პარიზან“ ვართ.

- რა გნებავთ? – სკამზე მიუთითა სტუმრებს.

- ბევრ დროს არ წაგართმევთ. თქვენ დაგიპატენტებიათ ხმოვანი კინოს პრინციპი. ეს თქვენა ხართ?

- დიახ! – მოკლედ უპასუხა დავითმა. იმ მოლოდინით, რომ სტუმრები გააგრძელებდნენ საუბარს.

- ჩვენ უნდა გადმოგვცეთ ეს პატენტი!

- კი მაგრამ, რატომ? რამდენი პატენტია გაცემული, რაღა ჩემი ნაშრომი დაგჭირდათ? – მიხვდა, რომ უსუსური არგუმენტები მოიშველია.

სტუმრებმა ხელსაწყო დაათვალიერეს.

- მუშაობს? – იკითხა ერთ-ერთმა.

- მალე ამუშავდება! – მზერა ხელსაწყოზე გადაიტანა გამომგონებელმა.

- ჩვენი კინოკონცერნი დაინტერესებულია ამ სამუშაოს ბედით, დაასრულეთ, თუ თქვენი ექსპერიმენტი გამართლდა, ხელსაწყოს შევიძენთ პატენტთან ერთად, თუ არ გამართლდა არ ინაღვლოთ, პატენტს შევიძენთ და თქვენს წამოწყებას სხვა გააგრძელებს.

- კი მაგრამ, ეს ხომ უსამართლობაა? – გაოცდა დავითი.

- მეტიც, ეს ომია! საწარმოო ომი! არ გაგიგიათ ასეთი რამ? თქვენი ასაკი იმედს გვიტოვებს, ვიფიქროთ, რომ თავს გადადებთ?

- მემუქრებით? – აღელდა ქართველი.

- ეგღა გვაძლია! ჩვენთან ხუმრობა არ ვარგა. არ გირჩევთ! გირჩევთ ფული აიღოთ!

- მერე რომ მთელი 5 წელი შევალიე ამ საქმეს?

- ძალიანაც კარგი! აიღეთ ხუთი წლის ფული და ახალი რამე გამოიგონეთ!

დავითი დაფიქრდა. ამ დროს კარები გაიღო და ნიკალა შემოვიდა.

- კაცო, ტილო დამრჩენია, დავბერდი რა! ესენი ვინ არიან? – გაიცანი კონცერნის წარმომადგენლები არიან, გამოგონების გაყიდვას გვთავაზობენ.

- რა თავში ვიხლიოთ მაგათ ფულს – ხელი აიქნია მხატვარმა.

- რაო, რა თქვა? – ფრანგები გაკვირვებულნი უსმენდნენ ქართულად მიმდინარე დიალოგს.

- ფულს რა თავში ვიხლიოთ?

- მაშ მუშტებს იხლიოთ? – გაიცინა კონცერნის აგენტმა და უცებ ხელი გაუქანა მხატვარს. ნიკალა დაიხარა, ხელი აიცდინა, წელში მოიხარა და

გვერდულად თავდამსხმელის ქვეშ აღმოჩნდა. შემდეგ ხელი სტაცა მხარში და იატაკისკენ წამოიდო ფრანგი, მოგვერდის შემდეგ აგრესორი იატაკზე გაშხლართული აღმოჩნდა!

- მეორე გაიქაჩა, დავითი წინ გადაედობა ფრანგს. ნიკალამ დავითის ზურგს უკნიდან მარჯვენა „გლიჯა“ ფეხზე მდგომს ყბაში. ისიც დაეცა!

- ესეც თქვენი კინოკონცერნი!

- საწარმოო ომი დამთავრებულია – გაიცინა დავითმა. ამასობაში ფრანგები ლასლასით გავიდნენ გარეთ, კარებში შემობრუნდა ერთ-ერთი:

- ომი აქ არ მთავრდება!

* * *

სანდრო ქოშინებდა კარებთან. გულზე ხელს იდებდა.

- რა დაგემართა? მოგდევს ვინმე?

- ამერიკელები მომტაცეს!

- როგორ... სად? – ტვინში სისხლი კინალამ ჩამექცა.

- კუს ტბაზე ვიყავით, კაფეში, რომ გამოვედით თავს დაგვეხსნენ, მე დამტოვეს, ხელი არ მახლეს. ჯიპი გაიტაცეს თავიანთი მგზავრებითურთ!

- რამდენია გატაცებული? მომზადება დავიწყე, იარაღი ამოვიღე სეიფიდან, მჭიდები ჩავილაგე ჯიბეში.

- სამნი არიან, ერთი მამაკაცი და ორი ქალი!

- პანკისში არ გააქანონ! რამდენი ხანი, რაც ეს მოხდა?

- აქვე არა ვართ? თხუთმეტი წუთია! – სანდრო ისევ კარებში ხვეჭის.

- წაგედით – ვეუბნები – მალე დაბნელდება და გაჭირდება პოვნა... მარი! მალე მოვალ! მარის პასუხი არც მომისმენია, კარები გავიხურე.

- ქრისტეს პერანგი გახდა! ამათი... – შევიგინე მე – როცა მანქანა დავძარი – ბედი უნდა ყველაფერს.

- მაგათი დაკარგვა არაფრით შეიძლება!

- რამდენი არიან ეგ ჩათლახები?

- ორნი, მაგრამ შეიარაღებულნი არიან კარგად. აგტომატიც ჰქონდა ერთ-ერთს.

- სად გინდა, რომ წახვიდე! – მობილური ამოვიღე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს გურეავ ჩემს ახლობელს:

- სამი ამერიკელია გატაცებული კუს ტბიდან.

- როგორი ჯიპია – გადაგულაპარაკე სანდროს.

- გრანდ „ჩეროკი“ ცისფერი.

- ნომრები?

- YY333...

- გზებზე შეატყობინეთ! 15 წუთია, რაც წავიდნენ! შორს ვერ წავიდოდნენ, განსაკუთრებით პანკისის მიმართულებით პქონდეთ ყურადღება გამახვილებული.

- შეიძლება არსადაც არ წასულან, ქალაქში დადიან ან სადმე შეაყენებდნენ, სანამ ყურადღება მოდუნდება... მერე კი მოტყდებიან...

- მოკლედ ყველასთან დარეკავს. მინისტრამდე მიიტანს ამბავს, მთავარია არ გაგვასწრონ! დავაწექით კახეთისკენ.

- ახლა ეს ხალხი რომ დავკარგოთ, რა მეშველება?

სანდროს დანა პირს არ უხსნიდა, ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ მობილური აწრიალდა:

- მანქანა იპოვეს! – შემატყობინა ვიცე-პოლკოვნიკმა.

- აგაშენა ღმერთმა! – შევვირე მე – გატაცებულები როგორ არიან? – სანდრომ სიხარულისაგან შეჰვირა!

- ჯიპი ცარიელია. მიუგდიათ ტრასაზე.

- რა დამპლები არიან, ხედავ? – მივუტრიალდი სანდროს, მას შემდეგ, რაც „მერსი“ დავამუხრუჭე.

- რა მოხდა? – თვალებს აფახულებდა სანდრო.

- მანქანა შეცვალეს, შენი ჯიპი მიუგდიათ!

სანდრომ პირჯვარი გადაიწერა.

- გაგიხარდა მანქანა რომ დაიბრუნე? – ნერვიულად გამეცინა.

- რას ამბობ, დავიღუპებოდი! – შვებით ამოისუნოქა სანდრომ.

- სად გინდა ახლა ესენი ემებო? რა იცი, რომელ მანქანაში ჩასხდნენ! იქნებუჩებში არიან ჩამალულნი? – ვფიქრობდი ხმამაღლა.

- ასეთი სულელები არ იქნებიან, რა უნდა ბუჩქებში? ისინი უკვე ტყვედ ჰყავთ აყვანილი და მანქანა მოიშორეს, ადარ სჭირდებათ!

- იქნებ სხვა მანქანა ელოდათ იმ ადგილას და იმით გააგრძელეს გზა! აწი რაღას გაიგებ. ცოტა ხანს გაჩერებული ვიდექით.

- ახლა ბევრი სახლი დაცალა ხალხმა, პალატებში გადავიდნენ... – რაღაც აზრი მეწვია.

- მერე რა? – სხვათაშორის მკითხა სანდრომ – ხომ შეიძლება რომელიმე დანგრეულ სახლში შეეყვანათ, ჩვენ კი ჯიპს ვეძებდით, ხვალ წყნარად წაიყვანენ სასურველი მიმართულებით.

- ხვალ ვერ წაიყვანენ: ტრასები გადაკეტილი იქნება!

პასუხი უნდა მიმეცა, მაგრამ მობილურმა დარეკა, მარი იყო:

- გიო! მეზობლებმა დარეკას ჩვენი უბნიდან!

- რაო, რა უნდათ ამ დამით?

- თქვენ ხომ არა ხართ ბინაშიო! მაგრამ ჩვენ სამივე აქ ვართ! ვიღაცები დაუნახავთ სიბრძეში...

- ქურდბაცაცები იქნებიან, ძველმანებს იპარავენ ალბათ! – სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ ფიროსმანის ნახატები გამახსენდა:

- სანდრო, მარის ბინაში ქურდები შესულან!

- რა უნდა წაიღონ... სკამები!

- ბიჭო, იქა მაქვს ფიროსმანის ნახატები, თუ გაიტანეს დავიღუპ!

- ვის რაში სჭირდება ეგ ნახატები? – ხელი ჩაიქნია სანდრომ – ვისაც სჭირდება – მოგვტაცეს.

- მაინც უნდა გავიდეთ! – ტელეფონს მივუბრუნდი – მარი დამშვიდდი, გავალ მე და სანდრო და ვნახავთ, რა ხდება, მე მგონი სიაფანდი ზარია!

სანდრომ არაფერი თქვა, მანქანა შემოვატრიალე და მიწისძვრით დაზარალებული უბნისაკენ გავემართეთ.

მარის ბინის კარები დაკეტილი დაგვხვდა. კარები გავაღე და სარდაფს მივაშურეთ, ნახატებისთვის ხელი არავის უხლია. დაგმშვიდდი. უცებ რაღაცის წაქცევის ხმა შემოგვესმა ზემოდან. ამოვედით მე და სანდრო და სმენად ვიქეციო. ქალის ხმა მოგვესმა ზედა სართულიდან!

- იქ აღარავინ ცხოვრობს! – ვუთხარი სანდროს.

- მერე რა, შეიძლება სხვა მხრიდან გვესმის, წინა სახლში ხომ ცხოვრობენ?

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, კიდევ გაისმა ბრახუნი, ვიღაც ფეხს ურტყამდა იატაკს.

- აქედან ასასვლელი არ არის?

- არა, ეზოდან უნდა ავიდეთ, კიბეა იქ...

ჩუმათ გამოვედით, კიბე ფეხაკრეფით გვინდოდა აგვევლო, მაგრამ მაინც გაიჭრიალა. ადგილზე გავშეშდით. ქალის ყრუ ხმა ისევ გაისმა. ეჭვი არ იყო, ამ ბინიდან მოისმოდა ხმაური. იარაღი მოვიმარჯვე და კარი ფეხით შევაღე... სიბრძელიდან ვიღაცამ მესროლა. იატაკზე დავეცი, ალბათ მკვდარი ვეგონე და განმეორებითი სროლა დაახანა, ჩემსკენ დაიძრა, მისთვის მოულოდნელად გვერდზე გადავგორდი და მთელი მჭიდი დავახალე, შემზარავად შეჰვირა ვიღაცის სილუეტმა და იატაკზე ზღართანი მოადინა. საზიზღარი სუნი დადგა ამ ვიწრო დერეფანში. შუქი ავანთე (ჩამრთველზე შემთხვევით მომიხვდა ხელი) ნიღბიანი

უკვე გარდაცვლილი იყო, ხმები უფრო გაძლიერდა, გავედი ოთახში და რას ვხედავ: ხელ-ფეხ შეკრული, პირწაკრული მამაკაცი და ორი ქალი იატაკზე ყრიან! სანდრო აქოშინებული შემოვარდა, მის დანახვაზე ტყვებს სიხარულის ბგერები აღმოხდათ, მათი განთავისუფლება დავიწყე.

- ესენი არიან! – შესძახა სანდრომ – ქალებს ეხვეოდა, შემდეგ მე გადამეხვია, ისევ მათ მიუძრუნდა, მოკლედ ჭკუაზე აღარ იყო.

მე ნიღბიანს მივუახლოვდი, ნიღაბი მოვაცილე და მოულოდნელობისაგან გავხევდი: იციო ვინ იყო გამტაცებელი? ის „ტიპი“, მონეტების პატრონი!

- იცნობ? – ზიზღნარევი ხმით მკითხა სანდრომ.

- პო, ვიცნობდი! ორაზროვნად ვთქვი მე.

ბედნიერი ამერიკელები დიდხანს უხსნიდნენ შემოჯარულ პოლიციელებს – თუ როგორ მოხვდნენ აქ. ჯიპიდან თავიდანვე პატარა მანქანაში გადაუყვანიათ, წინ კიდევ ერთი მანქანა მიუძღვოდათ. ამ სახლში დატყვევების შემდეგ, მხოლოდ ერთი დატოვეს დარაჯად, ალბათ მოგვიანებით სხვაგან წაიყვანდნენ, მაგრამ „აი, ეს ყოჩაღი ახალგაზრდები მოგვევლინენ მსხელადო“ – მიუთითეს ჩვენზე.

- იარაღის ტარების ნებართვა გაქვს? – მოულოდნელად მკითხა პოლიციელმა.

- კი, აი ინებეთ! – „შარო საიდან მოდიხარო“ – შემახსენებს ძველი ანდაზა ქვეცნობიერიდან.

- ეს ნებართვა მფლობელობისაა და არა ტარების, შემომიღრინა უფროსმა.

- კი, მაგრამ... როცა საჭირო გახდა...

- შენი ბედი, რომ ესენი ამერიკელები არიან! – ყასიდად გამიცინა მან და მომშორდა.

მობილი აწერუნდა:

- როგორა ხარ? – მარი ნერვიულობდა.

- ისე კარგად, თავი ჰოლივუდის კინოში მგონია...

- პო, მაგათი კინოები კარგად მთავრდება!

- ასე ჯობია... ჩემთვის!

ამ სიხარულს რაღაც საიდუმლო სიმშვიდე ერთვოდა! „ის აღარ არის! მითხვეს „იქიდან“. „შენ აღარავის ვალი აღარ გაქვს“. და ეს მართლაც ასე იყო!

* * *

ნიკოლას მირზანელი რამდენიმე მხატვარს დაუახლოვდა, ფერწერაც გაამრავალეროვნა და ფრანგულიც დახვეწა.

- რაღაც სხვანაირად ხედავთ პარიზს – შენიშნა მეგობარმა მხატვარმა.

- პო, ქართულად! ეს ჩვენებური ფერებია, ხასხასა, როგორც კახეთის სოფლები, – ფიქრებში წავიდა ნიკალა.

- გეყიდება ნახატები? – მირზაანიდან პარიზში „დაბრუნა“ კოლეგამ.

- იცი, დიდი გამოფენა მინდა მოვაწყო, რასაც გხატავ, ვაგროვებ, ერთი-ორი გავაჩუქე.

- აბა, რითი საზრდოობ? – გაიკვირვა ფრანგმა.

- მთელი კოლექცია გავყიდე ცოტა ხნის წინ, კარგად გავყიდე...

- გული გწყდება? – ნაღველი შეამჩნია მეგობარმა.

- პო, ახლა სულ სხვანაირად ვხატავ, გული მწყდება იმ მიამიტობაზე... ახლა ისეთი აღარა ვარ!

- ესე იგი გაიზარდე! – მხარზე ხელი შემოჰკრა მონმარტრელმა.

- არა... ალბათ... გავფუჭდი! – ამოიოხრა ფიროსმანმა.

დღის ბოლოს კიდევ ერთი ნახატი დაასრულა, ნელი ნაბიჯით წავიდა სახლისაკენ. ყოველდღე ელოდა დავითის ექსპერიმენტის დასასრულს. დიდი ბანკეტის გამართვა გადაწყვიტეს კომპანიონებმა: მოიწვევენ გამოჩენილ მეცნიერობა ხელოვნების მოღვაწეთ, ქვეყანას გააოცებენ ამღერებული და ალაპარაკებული მსახიობებით! ასეთი გეგმა ჰქონდათ: დაექირავებინათ კინოდარბაზი და იქ ეჩვენებინათ ხმოვანი ფილმი! ამ ფიქრებით სახლსაც მიუახლოვდა.

- ნახე, რა დავხატე! – კარებიდანვე აჩვენა ნამუშევარი მეგობარს.

- ძალიან კარგია! მე კი უნდა გაგახარო, ხმოვანი კინო მუშაობს.

დავითი და ნიკალა ერთმანეთს გადაეხვივნენ!

* * *

დილით ტელევიზიიდან დამირეკეს, უნდა გითხრათ, – თითქმის ყველა არხმა გამოთქვა ჩემთან შეხვედრის სურვილი.

- მე მგონი, პირველი კაცი ხდები! – გამიცინა მარიმ – ჯერ არავინ უპოვნიათ გატაცებული, ნეტავ კალაძის ძმა გვპოვნა...

ისეთი სინანულით წარმოთქვა ეს სიტყვები, მართლა მომინდა სუპერმენობა.

- მარი! ეს სრულიად შემთხვევით მოხდა, შენ რომ არ დაგერეკა, კახეთისაკენ მივდიოდით!

- კი მაგრამ, რა უნდოდათ იმ ნანგრევებში?

- გზა-კვალის აბნევა, მეტი არაფერი!

- მერე, გონივრულად ჰქონდათ მოფიქრებული?

- კი, მას შემდეგ, რაც აუთოტაჟი ჩაცხებოდა, წაიყვანდნენ სადაც უნდოდათ, უფრო ზუსტად კი, მას შემდეგ, რაც ფულს გაინადდებდნენ გაუშვებდნენ... ქუჩაში! მორჩა! ასეთი მარტივი ჩანაფიქრი პქონდათ!

- მთავარი იცი რა არის? – გავაგრძელე მე – ეს ამერიკელები ფიროსმანის პაპულარიზაციაში შემიწყობენ ხელს!

- რატომ ხარ დარწმუნებული?

მარიმ ტელევიზორი გადართო:

- ყველგან შენზე საუბრობენ! – გაიცინა – „ჩემი გმირი გიწოდე, ხელი გამოგიწოდე“.

- იცი, რატომ? – ვუპასუხე წინა შეკითხვას, ჯერ ერთი ძალიან მოსწონთ, მეორეც მადლიერების გრძნობის გამო, გულით დამეხმარებიან! „რაც მთავარია, ვალი აღარ მაქვს, არსად მეჩქარება!“ ეს ჩემთვის გავიფიქრე, მარისთვის არ მითქვამს!

- ოო, აგენტ 007-ს ვახლავარ! – ჩემი სიმამრი ყურებამდე გახარებული იყო, სიდედრმა იტირა:

- კიდევ კარგი, რომ გადარჩი!

(სხვათა შორის, ყველაზე ახლოს იყო სიმართლესთან)

სანდრომ დარეკა:

- ბიჭო, მე რატომ არ მახსენებენ?

- ინტერვიუში გახსენებ, როგორ მდარაჯობდი სროლის დროს! – გავეხუმრე.

- აბა რა მექნა? მე ხომ იარაღი არ მქონდა?

- არაფერია, ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება!

- ბიჭები გაგიჟებული არიან! ეს ვინ ყოფილაო!

- უთხარი: „ომეგაში“ ვთანამშრომლობ საიდუმლოდ.

- მოკლედ, ფიროსმანისთვის აღარ გცალია!

- მოვრჩები ამ ინტერვიუებს და მაგ საქმეს მივხედოთ.

სოსოს დავურეკა:

- იცი, ვინ გაიტაცა ამერიკელები?

- ვინ?

- იმ „ტიპშა“!

- ჰოო? მერე? რას აპირებ?

- არაფერს! მე მაგის გარდა არავინ მინახავს, შენ თუ არ ჩაგთვლი... ასე, რომ, ბასტა! თავის თავს დააბრალოს!

- რა საოცარია! – დუმილის შემდეგ წარმოთქვა სოსომ.

- აი, ასე ჩემო ძმაო, რაც არ გერგება – არ შეგერგება!
- ის მონეტები სადღაა? – დაინტერესდა, რა თქმა უნდა.
- ის მონეტები, ერთ დიდ მხატვარს მივეცი, რათა ბევრი შედევრი შექმნას!
- ვინ არის ის მხატვარი? არ ვიცნობ?
- მალე გაიცნობ! ამ სიტყვებზე კავშირი გავწყვიტე.

* * *

ჩემს ნაცნობ მეგომპიუტერეს შევურბინებ, ქატალოგის თემაზე. როცა მომისმინა, თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, იქვე დადებული ენციკლოპედია აიღო და მითხვა:

- მე ვიპოვვე ინფორმაცია ამ კაცის შესახებ!
- პოო? – გამიკვირდა.
- აი, ნახე რა წერია: „ნიკოლას მირზანელი იგივე ნიკოლოზ ფიროსმანიშვილი, დაიბადა სოფ. მირზაანში. დავით გაგებაშვილთან ერთად დააპატენტა ხმოვანი კინო...

- რას ამბობ? მაჩვენე ეგ წიგნი!

წვრილ ასოებს თითო გავაყოლე – კი ნამდვილად ასე წერია!

- აბა ხომ არ მოგატყუებ, იცი ამ ნახატების ნახვის შემდეგ, რადაც არ მასვენებდა. ალბათ ისიც დაემატა, მე რომ მირზანელი ვარ...

მე აღარ ვუსმენდი!

დახეთ ნიკალას! რა საქმეში ჩაუდია ფული: ხმოვანი კინოს პიონერი გამხდარა! წარმოვიდგინე ნიკალა სმოკინგში, სიგარით ხელში, როგორი მოწიწებით უკრავენ თავს გამვლელები!

- ეგ დავითი ვინდაა?
- როგორ არ გაგიგია, შემდეგ ფერად კინოზეც მუშაობდა!
- მაგრამ ფერადი კინო სხვა გამოიგონა – გავაწყვეტინე მე.
- ასეთი რამ ხდება ხოლმე, რამდენიმე მეცნიერი სხვადასხვა ქალაქში, ერთი და იმავე თემაზე მუშაობს – ერთი დაასწრებს ხოლმე.
- ჰო, ეგ მესმის – გუთხარი მე – ასეთიგე შემთხვევა ჰქონდა პოპოვს და მარკონის, რადიოს გამომგონებლებს!
- კი, დასავლეთის სამყაროს მარკონი მიაჩნია რადიოს გამომგონებლები.
- მერე?
- რას გულისხმობ? ვერ გაერკეა ჩემი ნაცნობი.
- მერე რა ჰქნა ნიკოლას მირზანელმა?

* * *

ნიკოლას მირზანელმა დავითს შესთავაზა თავად გადაედოთ ხმოვანი კინო.

- ეგ როგორ, ნიკოლას? – გაიოცა გამოგონებელმა.

- მოვიფიქროთ რამე, ქართული ამბავი და გადავიღოთ!

- ეგ დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, ჩვენ ვერ შევწვდებით! თანაც...

უველაფერს ვერ შევეჭიდებით... ასე ჯობია!

- აბა რა გავახმოვანოთ? – დაინტერესდა მხატვარი.

- ვაცხეპოთ და ვამდეროთ ვინმე! ან მუნჯური უკვე ცნობილი ფილმი გავახმოვანოთ!

ნიკალა ფიქრებში ჩაიძირა.

- რა იყო ნიკოლას, რად მოიწყინე? – გამოარკვია მეგობრის შეძახილმა.

- სისულელე გავიფიქრე! – ხელი ჩაიქნია მან.

დავითი მიუახლოვდა ნიკალას. თვალებში შეხედა და მშვიდად უთხრა:

- გინდა გითხრა, რა გაიფიქრე?

ნიკალამ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

- მარგარეტის გადაღება გინდა კინოში!

ნიკალამ არაფერი უპასუხა.

- სხვა გადავიდოთ! მარგარეტებითაა პარიზი სავსე!

ნიკალა დუმდა. ბოლოს წამოდგა და კარებისკენ დაიძრა:

- არ გეწყინოს დავით, შენ სიყვარულის არა გაგებება რა! – წყნარად წარმოსთქვა გასვლისას.

დავითმა მხრები აიჩეჩა და მუშაობა განაგრძო. მხატვარი ფეხით გაუყვა პარიზის ვიწრო, მოკირწყლულ ქუჩას, სენას სანაპიროსკენ დაეშვა. „როგორ ჰგავს ეს ადგილები გოლოვინის პროსპექტს“ – გაიფიქრა ნიკალამ. მდინარეს მიუახლოვდა. „უამრავი ბარება და ნავი გადმოდიოდა სენაში. „მტკვარზე ხუთჯერ დიდია“. თვალით გაზომა სენას სიგრძე მხატვარმა. იქვე მდგარ მეთევზეს გამოელაპარაკა, გაარკვია კარგად მოდიოდა თევზი თუ არა, მან წუწუნი დაიწყო – წინათ დიდებს ვიჰერდიო, ამოიოხრა. ნიკალამ გზა გააგრძელა. სანაპიროდან მარჯვნივ აუხვია, პატარ-პატარა დუქნებს, დამის კლუბებს ათვალიერებდა. რომელიდაც მონასტერში შევიდა. ძალიან წააგავდა დიუმას აღწერილ კარმელისტების მონასტერს. სანთელი აიღო და თავის სანთელზე გადაიტანა

ცეცხლი. დვთისმშობლის ხატთან მივიდა და მართლმადიდებლურად გადაიწერა პირჯვარი. გარდამოსსნის სცენა გამოექანდაკებინათ მონასტერში, მის წინ ქერათმიანი ქალბატონი ლოცულობდა, ნიკალა კარგად დააკვირდა ქალს, მიუახლოვდა და მდელვარედ ჰკითხა:

- მარგარეტ... შენ?

მარგარეტმა ცრემლიანი თვალები მიაპყრო:

- ჰო... ეს მე ვარ... ნიკოლას! – თვალები გაუბრწყინდა ქალს, ადგილიდან კი არ წამოდგა – წამოფრინდა! ნიკალას რამდენიმე წამი საუკუნედ მოეზვენა, ბედნიერების სხივები დაცურავდა მარგარეტთან ერთად. იგი ქალს ცრემლიან თვალებს უცოცნიდა. „მონ ამურ“ ჩურჩულებდა ქართველი ფიროსმანი – ბედნიერი ქართველი მხატვარი! რამდენიმე წუთის შემდეგ ნიკალა და მარგარეტი კაფე „როტონდაში“ ისხდნენ.

- რას შვები, როდის ჩამოხვედი, ყველაფერი მიამბე, მარგარეტ! – თითებს უკოცნიდა ქართველი მამაკაცი ფრანგ მანდილოსანს.

- ჩემს ამბავს ნუ იკითხავ, ერთი ჩამოფასებული აქტრისას მოსაწყენი ისტორიაა...

- კონტრაქტი დაგიმთავრდა მალტაზე? – თვალებით ჭამდა მხატვარი აქტრისას.

- არა, ხალხი არ დადისო და... ბოდიშით გამომისტუმრეს...

- ეგ არ იდარდო, ძვირფასო! მე ვიცი რაც უნდა ვქნათ! აქ ნიკალამ მარგარეტს უამბო დავითის გამოგონების შესახებ, და ისიც ამცნო, რომ დამფინანსებული თვითონ გახლდათ. ნიკალა მარგარეტის თვალში მყის გაიზარდა!

- ნიკოლას! შენ კინოპროდიუსერი ხარ? შეჰყვირა მარგარეტმა – სკამიდან წამოხტა, ნიკალას მიეჭრა და ხვევნა-კოცნა დაუწეო:

- ფანტასტიურია! დმერთო, დიდებულო! სწორედ ახლა ვევედრებოდი დმერთს, ჩემთვის სასწაული მოეხდინა: და აი, რა მალე ამიხდა! განა სასწაული არ არის? ნიკოლას ფიროსმანი – კინოპროდიუსერი!

- მთლად უგრე არ არის საქმე – მორცხვად ლუდლულებდა ნიკალა – კინოს არ ვიღებთ, მაგრამ...

- ჰო, ჰო, მაგრამ შენ შეგიძლია გადამიღო არა? ხომ გამოვიცანი? – კისკისებდა ბედნიერების ზენიტში მყოფი მარგარეტი.

- მოდი, ჩემი პროდიუსერიც იყავი – შესთავაზა ფიროსმანს, როდესაც ცოტათი დაწყნარდა.

- შენ თუ გულით გინდა... ვიქნები! ოღონდ დავითს უნდა მოველაპარაკო! ცოტა მძიმედ უფრებს ამ საკითხს.

- რა, შენი კომპანიონი ჩემი წინააღმდეგია? - შეცბა აქტრისა და გულისფანცქალით დაელოდა დვთისმოვლენილის პასუხს.

- არა! - დინჯად წამოიწყო მხატვარმა - საერთოდ კინოგადაღების იდეა არ მოსწონს, მკირი ჯდებაო ამბობს და მართალიცაა. მას ურჩევნია არსებული, უკვე ცნობილი მუნჯური ფილმი გაახმოვანოს და ამით მიიპყროს საზოგადოების ყურადღება!

- ნიკოლას, შენ ხომ ხარჯებს არ შეუშინდები? ჯერ კიდევ როდის გაყიდე ყველაფერი და სულელურ ყვავილებში და საჩუქრებში დახარჯე - უცებ შეამჩნია, რომ ნიკალას არ მოეწონა სიტყვა „სულელური“ და გამოასწორა - ამით იმის თქმა მინდა, რომ კინო სულ სხვაა! მთელი მსოფლიო მნახავს. იგი გამაცოცხლებს, დავიწყების ჩრდილიდან გამომიყვანს და... გადავრჩები! ბოლო სიტყვები ტრაგიულად წარმოსთქვა აქტრისამ.

- რა, თავის მოკვლას აპირებდი? - შეშფოთდა მხატვარი.

- ჰო, - მშვიდად მიუგო ქალმა - ახლა კი ჩემთან წავიდეთ... იქ გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი. შეზარხოშებული ნიკალა მარგარეტმა პარიზული სახლის ხვეული, დაუმთავრებელი კიბეებით სხვენზე აიყვანა... ხანგრძლივი კოცნით მიიყვანა საწოლთან... ნიკალა სიყვარულის მორევში გადაეშვა.

* * *

ამერიკელები თბილისიდან გაემგზავრნენ. არაფრის თავი აღარ ჰქონდათ. აეროპორტში დავემშვიდობე და სპეციალურად მათთვის მომზადებული ფართოფორმატიანი კატალოგი გადავეცი.

- შენ და ეს მხატვარი რომ არა... - არ დაასრულა აზრი ჰელენმა, ჯგუფის ხელმძღვანელმა.

- მე მინდა ბოდიში მოგიხადოთ ამ სტრესის გამო - წამოვიწყე მე.

- შენ რა შუაში ხარ? - ეს ყველაფერი მთავრობის ბრალია! რა გახდა ასეთი წესრიგის დამყარება? - შემომედავა ჯონი, ერთადერთი მამაკაცი სამუშავისა.

- ჯონ, თქვენ არ იცით აქ რა იყო, რა გამოვიარეთ, იმის ფონზე ახლა სამოთხეში ვართ! - გავუცინე მე.

- არა, ასე აღარ შეიძლება! ჩვენ აქ აღარ ჩამოვალთ, და მეტიც: ყველას ვურჩევთ დაიგიწყონ საქართველოს გზა - კვალი!

- ნუ ვიქნებით ასეთი მკაცრი – წამომეხმარა სანდრო – ყველაფერი გამოსწორდება.

- აი, ამერიკაში კი გელოდებით! – გამიღიმა დასასრულს ჯონმა – შენ ნამდვილი ამერიკელი ბიჭი ხარ!

- იცი ქართულად ჩვენი ქვეყანა ორ მხარედ იყოფა „ამერ“ და „იმერ“-ად. ასე, რომ თუ მთელს დედამიწას ასევე დაგვითხოთ: თქვენ „ამერ“-იკელი ბრძანდებით და მე „იმერი“-კელი გამოვდივარ.

- ბაი, ბაი „იმერიკა“ – გაიცინა ჯონმა.

ჟურნალისტები მოგვცვივდნენ:

- ბატონო გიორგი რა გითხრეს გამომშვიდობებისას?

- „საიყაიო“!

- რაო? – თვალები გაუფართოვდათ გოგონებს.

- აქამდე სად იყავი, ნახევარი ევროპა პანკისში რომ გყავთო! – გავიცინე მე – კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ, მათ გავატანე ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების კატალოგი, ისინი შემპირდნენ ამ მხატვრის პოპულარიზაციას ამერიკაში, აი, ეს კატალოგი! თუ შეიძლება, აჩვენეთ საზოგადოებას! რატომდაც, კამერამ, რომელსაც „რუსთავი-2“-ის ემბლემა პქონდა „თვალი“ აარიდა კატალოგს და ბოლოს სულაც ჩააქრო წითელი „ციკლოპის“ თვალი.

- რატომ არ გადაიღეთ? – გადიზიანებულმა ვკითხე ოპერატორს.

- ეგ ჩვენს ფორმატში არ შედის – მოკლედ „ამიხსნა“ ოპერატორმა.

- აბა, მარტო ეს შედის თქვენს ფორმატში: „გაიტაცეს“, „დაიჭირეს“, „გააუპატიურეს“, „მოკლეს“?

ოპერატორი არ მისმენდა, შეტრიალდა და კამერაზე რომ ერტყა, ზუსტად ისეთ ემბლემიან მანქანაში ჩაჯდა. „რა ხდება ქართულ მასმედიაში – ფიქრი მომებალა – ერთი არხი თუ სულ ნაკლოვანებებს აჩვენებს, მეორეზე ყველაფერი კარგადაა. არ შეიძლება რაღაც საშუალო გამოინახოს?“ თუმცა უგ ჩემი საქმე არაა, როგორც იტყვიან „ბოგ სნიმი“ ან მეორენაირად როა – ისე!

* * *

ნიკალა და მარგარეტი ერთად „დაადგნენ“ დავითს.

- ბონ ჟურ, მარგარეტ! კომან სავა? – ირონიულად შეხვდა დავითი ქალბატონს.

- დავით, მე და მარგარეტი შემთხვევით შეგხვდით ეკლესიაში – ქართულად უთხრა კომპანიონს ნიკალამ.

- ანუ, თქვენ გინდათ მითხოთ, რომ ამ საქმეში განგების ხელი ურევია?

ნიკალამ არაფერი თქვა. მარგარეტი ინტონაციით მიუხვდა ირონიას დავითს, მასთან მივიდა და თვალებში უცქერდა ისე პკითხა:

- მე თქვენ რამე დაგიშავეთ?

- ო, არა მარგარეტ, მაგრამ გუმანით ვხვდები, ჩვენი საქმიანობის ფასები აწევა განგისაზღვრავთ!

- ნიკოლასი ჩემი პროდიუსერია! – მტკიცედ თქვა მან.

- ეს არ ვიცოდი! მაპატიე ნიკო, მაგრამ ეს თქვენი პირადი საქმეა, თქვენს ფინანსებში მე ვერ ჩავერევი, თუ ასე გინდათ, ნება თქვენია, ჩემთვის პირადად დიდი მნიშვნელობა არა აქვს – რას გავახმოვანებო!

მხატვარს მოეწონა დავითისაგან საკითხის ასე დაყენება.

- იცი დავით! მარგარეტი იმღერებს და ჩვენ მას გადავიდებო, აქ სმა იქნება მთავარი და არა ფილმის შინაარსი, შენ ბრწყინვალედ გაუკეთებ დემონსტრირებას გამოგონების მთავარ არსეს, ხოლო თუ მოეწონათ, ჩემზე უკეთ იცი, რაც მოხდება!

დავითმა მხრები აიჩეჩა.

- ნება თქვენია, საინტერესოა, რა დაჯდება კამერის ხარჯები? ანუ ფირი, გამჟღავნება, დაბეჭდვა და ოპერატორის პონორარი.

- მე ფულს არ დავიშურებ! – აღტკინებით წარმოსთქვა ნიკალამ. – მით უმეტეს ამით არა მარტო ჩვენ, არამედ მარგარეტიც ბედნიერდება!

- მაშ, მივხედოთ საქმეს! დღესვე ვიპოვოთ ოპერატორი და ეველაფერზე შევუთანხმდეთ.

მარგარეტი დავითს გადაეხვია.

* * *

რაღაცნაირ ხასიათზე ვარ: თითქოს ორი ცხოვრებით ვცხოვრობ. პირველად გავიაზრე, რომ იმ დროს, როცა მანქანაში ვჯდები, ვსვამ, ვხატავ და ა.შ. წარსულში მოქმედება ვითარდება – იცინიან, სვამენ, ცეკვავენ, დარდობენ!... მოკლედ, ჩვენს პარალელურად არსებობენ! ნიკალა ახლა პარიზშია, შეიძლება უკვე აღარარის, მაგრამ იქ რომ იყო, ეს ნამდვილად ვიცი. სასწაულია, არა? რაც მთავარია, ჩემს გარდა ვერავინ აღიქვამს ამას, ჩვეულებრივად შედიან სუპერმარკეტში, იღებენ ლუდს, მიაქვთ სახლში. ისე სვამენ, თითქოს არაფერია. მინდა ვიყვირო: „ხალხო, იფიქრეთ, გონს მოდით“. მაგრამ რას გააგებინებ! იქნებ მართლებიც არიან, იქნებ არც უნდა იცოდეს ადამიანმა ის, რაც მე გავიგე და დავინახე! მოკლედ გაორებული ვარ. კარგია, მევალე რომ ჩამომშორდა, მაგრამ

მაინც მენანება: რადა ის შემეჩება! ამერიკელებისაგან არაფერი ისმის, არ სცალიათ ფიროსმანისათვის! დიდი დანაშაულის განცდა მაქვს მის მიმართ: დირდა კი იმის გაკეთება, რაც გავაკეთე? როგორ შევცვალო ყველაფერი? იქნებ გამოფენა მოვაწყო, მოვიწვიო ჟურნალისტები. ასე ნელ-ნელა აღდგება მისი სახელი. ეს იქნება ძნელი და რთული გზა. ვინ იცის რამდენ წელს წაიღებს ეს პროცესი შეიძლება მთელი ცხოვრების მიძღვნა მომიწოს. ხომ არ მივაფურთხო ყველაფერს, გადავძვრე კარადაში და „დავაწვე“ 20-იანი წლების პარიზში! კარგი იქნებოდა, საშიში რომ არ იყოს, ბოლშევიკებთან ხუმრობა არ ვარგა, „სერიოზული“ სალხია! შეიძლება ძალლივით მიმახვრიტონ რომელიმე კედელთან, ან ხესთან! ვჯ, ჩემი „მერსი“ რომ გადამაყვანინა, ისე „დავგაზაფ“, თვალს ვერ მომკრავენ, მაგრამ კარადაში როგორ გაეტევა ამოდენა რკინა? ასეთი ფიქრებიდან სოსოს ზარმა გამომიყვანა:

- ბიჭო, მომაკითხეს! – აღელვებული იყო.
- ვინ მოგაკითხა? – გუმანით მივხვდი, ვინც შეიძლება ყოფილიყო.
- „იმის“ ძმაკაცებმა, საქმე გავარჩიოთო!
- პოო? – ისე კითხე, თან ვფიქრობდი – რა მეოქვა.
- პო! მონეტების ამბავი აინტერესებთ, თავისას ითხოვენ!
- მერე ვერ „გააგზავნე?“ შანტაჟზე მოდიან! – თვითონ არ მჯეროდა, ისე ვუპასუხე.
- კი, მაგრამ საიდან იციან... ეს ამბავი? – მეკითხება სოსო.
- მე არაფერი ვიცი, მონეტები აღარ არსებობს, გაიგე? უთხარი, რომ პოლიციამ ამოიღო. აი იმ დამეს, სროლა რომ ატყდა!
- კი, მაგრამ იქ რა უნდოდა მონეტებს? – გაიკვირვა სოსომ.
- უცებ მივხვდი, ეს ყველაფერი მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო! ჩემგან წილს ითხოვდა ვაჟბატონი!
- დაკითხვას მიწყობ? – უხეშად ვუთხარი.
- არა, მაგრამ...
- მონეტები თან მქონდა, მაგ ტიპმა მესროლა, მერე იცი, რაც მოხდა, მთელი პოლიცია თავს დამადგა. რა უნდა მექნა? ვისიაო – მკითხეს, ხელი მოკლულს დავადე. რა, არ იყო მისი?
- კი, მისი იყო! – დამეთანხმა უხალისოდ.
- პოდა „ამოიღეს“ ძმაო, თანაც, რომ ეძებდნენ, ისიც იცი ალბათ...
- პო...
- ასე, რომ მაგათ გადაეცი – ეგ თემა დაიგიწყონ! გაიგე?

- გავიგე!

ტელეფონი გავთიშვ. „ესეც ახე!“ დავაყოლე გუნებაში: „ეს თემა მოკვდა! სოსოზე გამეცინა: ვედარავის ენდობი კაცი! რა დრო დადგა! ისევ ნიკალა გამახსენდა, ნეტავ რას შვრება ახლა?

* * *

გადასაღებად „მულენ რუჟში“ მივიდნენ. მოილაპარაკეს მენეჯერთან და დილის საათებში დანიშნეს გადაღება. გარკვეული გასამრჯელოს საფასურად, რა თქმა უნდა. ფული ნელ-ნელა თავდებოდა, მაგრამ დიდი გამარჯვების მოლოდინში მხატვარი ამაზე არ ფიქრობდა. აპარატურა 9 საათზე შეზიდეს „მულენ რუჟის“ სცენაზე. მარგარეტი მეტად მომხიბვლელი იყო იმ დღეს.

- რა ლამაზი ხარ ჩემო ერთადერთო! – გაუდიმა ნიკალამ მომდერალ ქალს.

- ოჟ, ეს „ერთადერთო“ ძლიერ უხერხულად ჰდერს, თუმცა კარგი კომპლიმენტია. თვითდაჯერებას მმატებს – უპასუხა მარგარეტა.

ასეთ საუბარში იყვნენ გართულნი, როდესაც ოპერატორმა განაცხადა, რომ მუშაობისათვის ყველაფერი მზად იყო. დაიწყო რეპეტიცია. მარგარეტი დაბალი ლამაზი ხმით მღეროდა. პაპიროსის კვალი ემჩნეოდა მის ხმას, რაც იმ დროისათვის თვისუფალი ქალის იმიჯს ქმნიდა.

- სე შაღმან! აღმოხდა დავითს – მაშ გადავიღოთ ეს ყველაფერი! ყველა გაისუსა. მომსახურე პერსონალმა მიმოსვლა შეწყვიტა.

- მოტორ! – დაიძახა დავითმა, თან მომდერალს ნიშანი მისცა, დაეწყო, პიანისტმა თავი დაუკრა მარგარეტს და თითები კლავიშებზე აათამაშა. დიდი მონდომებით მღეროდა ყოფილი პრიმადონა. ყველაფერი ამაღლებული იყო! სიმღერაც, გარემოც და მათი განწყობილებაც. რამდენიმე დუბლი გადაიღეს.

- კარგია, საკმარისია – თქვა ოპერატორმა – მე მგონი სჯობს გავამჟღავნოთ ფირი.

- რადგან ასე ხართ დარწმუნებული, ყაბულსა ვარ! – გაიცინა დავითმა – ასე ნაკლები ფირი დაგვჭირდება.

- მაშასადამე ნაკლები ფული დაიხარჯება! – განმარტა ოპერატორმა.

- მე ფული არ მენანება – თქვა ნიკალამ.

- მთავარია ეს საქმე კარგად დაგვირგვინდეს!

- გარწმუნებო, ეს შესანიშნავი ხარისხია – დაამშვიდა ყველანი კამერის მფლობელმა. მარგარეტი ბედნიერი იყო. ფირი გამჟღავნდა და საჭირო იყო მისი პოზიტივად ქცევა. სწორედ ამ დროს უნდა გახმოვანებულიყო გადაღებული

მასალა. სამუშაო საკმაოდ რთულად მიდიოდა: ხმა კარგად დაედო, ფირს მაგრამ სიტყვები გამოსახულებას, მომღერლის პირის მოძრაობას არ ემთხვეოდა!

- იცი რაშია საქმე? – დაფიქრებულმა დავითმა ნიკალას მიაპყრო მზერა.

- რა ხდება დავით? – ვერაფერი გაეგო მხატვარს. ერთი შეხედვით ყველაფერი მარტივად უნდა ყოფილიყო, მომღერლის გამოსახულებას და ხმას ხომ ერთდროულად იწერდნენ!

- ერთნაირ სიჩქარეზე არ იწერებოდა ხმა და გამოსახულება, იმიტომაც ასცდა ერთმანეთს.

- მაშ რა ვქნათ, კაცო – დადარდიანდა ნიკალა.

- სინქრონში უნდა მოხდეს ყველაფერი. ამ პროცესს სინქრონიზაციონი სჭირდება!

- მერედა სად არის ეს სინქრონიზაციონი?

- უნდა გავაკეთო გაანგარიშებები და დავამზადო საჭირო ხელსაწყო – მძიმედ თქვა გამომგონებელმა.

- იცი დავით რა შევამჩნიე? – წამოიწყო ნიკალამ პაუზის შემდეგ. დავითმა ნიკალას ანიშნა, გისმენო.

- სიმღერის დასაწყისში პირი ემთხვეოდა სიმღერის ტექსტს, შემდეგ დაიწყო აცდენა...

- ჰო, სიჩქარეთა სხვაობის გამო, თანდათან ცდებიან ერთმანეთს გამოსახულება და ხმა!

- არ შეიძლება როგორმე წამოვაწიოთ? – მიამიტურად იკითხა მხატვარმა.

- კი, მაგრამ გამოსახულება უნდა შეიცვალოს „წამოწევის“ დროს, ანუ როცა სინქრონი ირღვევა, კადრი სხვა რამეზე უნდა გადავიდეს, ჩვენ კი „დავაწიოთ“ ხმა გამოსახულებას. ისინი ერთხანს „ივლიან“, შემდეგ კი ისევ დასცილდებიან ერთმანეთს, ისევ უნდა გადავაფაროთ რაიმე გამოსახულება...

- მერედა შე კაცო, მაგას რა სჯობია? ჩემი ნახატები გადავიდოთ და „წავაფაროთ“, როგორც შენ ამბობ.

დავითმა გაიცინა.

- ეს კარგი აზრია, ხომ იცი... – ნახატებს დაუწყო თვალიერება, ყველა ნახატი არ დაგვჭირდება. ათიოდე რომ გადაგვალებინა, მთელს დროს „გაქაჩავს“.

- ჩემი პარიზული ნამუშევრები კინოს შემორჩება! – ნიკალა აღფრთოვანდა.

- რატომაც არა, რატომაც არა – ბუტბუტებდა გამომგონებელი და საქმიანად რაღაცებს ალაგებდა.

- როდის გადავიდოთ? – ნიკალას ეჩქარებოდა ამ საქმის აღსრულება.

- ხვალ, დილით მოვიყვანოთ ოპერატორი. არა მგონია, ძალიან გაგვიძვიროს ეს ამბავი, რადაცნაირად ისიც აქნთო ამ საქმით, ხელი-ხელს დაპკრეს. დავითი ოპერატორისკენ გაეშურა.

მეორე დილით, მუშაობა განაახლეს. ნახატები სათითაოდ გაჰქონდათ აივანზე, სადაც მათ კამერა აფიქსირებდა.

- აქ მეტია შუქი – თქვა ოპერატორმა.

- თუ იცით, ნიკო, რატომ გადაინაცვლა ამერიკის კინოინდუსტრიამ ლოს ანჯელესში?

ნიკალა ჩაფიქრდა.

- მზიანი ამინდების გამო?

- ოლოლო! თქვენ გამოიცანით! დიახ, კინოხელოვნება განათების პრობლემამ მიიყვანა ზღვისპირეთში, იქ მეტია განათება, თანაც მზე უფრო გვიან ჩადის!

- ეს უკვე აღარ ვიცოდი! – აღიარა მხატვარმა.

- ასე, რომ პოლიგუდი ვიღაცის კაპრიზის გამო არ აღმოცენებულა!

- ჩვენც წავალთ პოლიგუდში? – ოცნებით სავსე მზერა მიაჰყო ნიკალამ დავითს.

- ეს საქმე თუ გამოგვივიდა, იცოცხლე, პოლიგუდი ყვავილებით შეგვეგებება!

- მარგარეტიც გამოჩენილი იქნება! – გააგრძელა ოცნება მირზანელმა.

- ეგ თავისთავად! შუობიზნესი კინოს შემწეობით არნახულად აყვავდება.

გადაღება დასრულდა. ნიკალამ ფული ამოიღო.

- არ არის საჭირო! – თქვა ოპერატორმა – თუ ეს ჩანაფიქრი განხორციელდა, მაგითაც კმაყოფილი ვიქნები. ფირი გასამჟღავნებლად წაიღეს. რამდენიმე დღეში მონტაჟი წამოიწყეს. ძნელად მიღიოდა საქმე, მაგრამ გულანთებული კომპანიონები, ვერც ამჩევდნენ, როგორ მიღიოდა დღეთა მონაცვლეობა.

- აი, შენი სურათები ფერადი რომ იყოს, მაშინ გენახა ხალხის გადარევა! – სინანული გამოთქვა გამომგონებელმა.

- ეგ პროექტიც ხომ ჩვენი დასაძლევია? – საქმიანად უპასუხა მხატვარმა.

- ერთი ეს ვაჩვენოთ პარიზს და მერე ნახე შენ!..

* * *

ამასობაში რამდენიმე თვე გავიდა. ხან ინგლისელი გაიტაცეს, ხან ვიდაც მოკლეს, ხან პანკისი დაბომბეს... მიწისძვრა ნელ-ნელა მიეცა დავიწყებას, ბიუროკრატიული აპარატი „ამუშავდა“, მთავრობამ მერიას გადააბარა, მერიამ მშენებლებს და არქიტექტორებს. იმათ დაუდგათ რიგები, ვისაც სახლი

საცხოვრებლად უვარგისი გაუხდა, ახლა უთხრეს, თქვენ მოიცადეთ, ზოგი საერთოდ „პალატკებში“ გვყავსო. არც არის გასაკვირი, ქვეყანაში სადაც სამასი ათასი დევნილია, საიდანაც მიღიონზე მეტი ადამიანია საშოვარზე წასული, ასეთი რამები ჩვეულებრივ მოვლენადაა მიჩნეული! მოკლედ ამას წინათ თუ „Москва слезам не верила“ ახლა თბილისს არ სჯერა ცრემლების! სამაგიეროდ, ბიუჯეტზე და ინვესტიციებზე მომჯდარ ადრედაბერებულ ღიპიან ბიჭებს სწამთ მომავლის! ვერც გაამტკუნებ, როგორც იტყვიან: მათია ქვეყანა! მე კიდე „ეჩალიჩობ“ რადაცას: „მოძრავი“ ვარ და არ მიჭირს, საქმეს მე თვითონ ვუჩენ ჩემს თავს, მაგრამ სხვებს ძალიან უჭირს... ამასწინათ მითხვეს, ქართველი კაცები თურმე რესტორანში ქალების თანხლებაზე ჰონორარს იღებენ, საათში ორმოცდათ დოლარს! არ გაგიყდები კაცი? კინოა, არა? რესტორნის შემდეგ თავისუფალია, აღარავის სჭირდება, „მეორე სერიისთვის“ იმ ქალებს თურმე სხვა ბიჭები ჰყავთ, ულაყები! ნეტავ იმათი ფასი როგორია? წარმოვიდგინე ჩემი თანამემამულე, ორმოცგადაცილებული ელეგანტურიმაკაცები. ორ ქალბატონს გარეთ გამოაცილებენ, გარეთ კი მე ველოდები! თავაზიანად გადმომილოცავენ 40-ს მიღწეულ სიმპატიურ მანდილოსნებს, ესენი „კონტინენტალში“ წამიუვანენ, დიდ აბაზანაში, სანთლების ფონზე, მერე „ჯაკუზობანა“, „წაკუზობანა“ და ა.შ. თუ კარგად მოიქცევი, ისევ დაგირეკავენ!

მარიმ დამირეკა:

- სადა ხარ?
- მოსკოვში! – გავუცინე მე.
- ააა, ხელი ხომ არ შეგიშალე ვირტუალურ მოგზაურობაში? – მენაგლება.
- არა, ისედაც მოვდიოდი იქედან!
- თუ გინდა წადი სადმე, გული გადააყოლე, მე მაინც ფეხმძიმედ ვარ!
- კარგი აზრია! მაგრამ მე აქ ვარ საჭირო! სიტყვა „აქ“ ხაზგასმით წარმოვთქვი.

წავედი კომპიუტერულ ნაცნობთან. ავუხსენი ახალი იდეის არსი. არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიოს საუკეთესო გალერეებს შევთავაზო ფიროსმანის ნამუშევრები! დარწმუნებული ვარ, მალე გამოჩნდება ახალი შანსი, ახალი ზდანევიჩები, ხელახლა ამცნობენ მსოფლიო ხელოვნების მოყვარულთ ფიროსმანის არსებობას, მის სიდიადეს. შევადგინეთ ვებ საითი, სადაც აღვწერე მისი პიროვნება, ბიოგრაფია და მოვათავსეთ ნამუშევართა რეპროდუქციები, აგრეთვე ავდნიშნე, რომ ეს ადამიანი მუშაობდა ხმოვანი კინოს დარგში. ჩემი ნაცნობი კმაყოფილი დარჩა ამ გადაწყვეტილებით, მეც რა თქმა უნდა.

* * *

ყველაფერი კარგად წარიმართა: მარგარეტის სიმღერა და ნიკოლას ნახატები ფანტასტიურად შეერწყა ერთმანეთს! დავითი აღტაცებული შესცემოდა ეპრანს, ორივენი მომღერალ ქალს გადაეხვივნენ. ეს უკანასკნელი ცაში ფრინავდა! ახლა საჭირო იყო მოქმედება.

- კინოდარბაზი უნდა ვიქირავოთ! – თქვა დავითმა.

- მოვიწვიოთ ჟურნალისტები, რადიო და კინომოდვაწები – დასძინა მარგარეტმა.

- მოსაწვევებს მე დავხატავ – შესთავაზა ნიკალამ საყვარელ ქალს და კომპანიონს – მამაკაცს, რომელიც მას, მისი რწმენით, ღმერთმ გამოუგზავნა.

- ეს გენიალური იქნება! რეკლამაც მივცეთ გაზეთში!

ასეთ მოიქცნენ. ნიკალას ესკიზით დაბეჭდეს მოსაწვევი ბარათები. რადიომ მთელს საფრანგეთს ამცნო ახალი გამოგონების შესახებ, რომ ხმოვანი კინოს დემონსტრირება ერთ კვირაში კინოთვატრ „სინემა“-ში მოხდებოდა. მარგარეტმა თითქმის ყველა კოლეგა მოინახულა და მოსაწვევი ბარათი გადასცა. მოიწვიეს აგრეთვე კინორეჟისორები, მათ შორის რენე კლერი, აგრეთვე მუნჯი კინოს ვარსკვლავები. დადგა ნანატრი დღეც. ნიკალა და დავითი საგანგებოდ გამოეწყვნენ, ფოტოგრაფები მოიწვიეს სამახსოვრო სურათები გადასაღებად! მერე ამ ფოტოებს მსოფლიოს ყველა გაზეთი და ჟურნალი გადაბეჭდავს: ასეთი რამ ლუმიერების შემდეგ არავის შეუქმნია, ეს ხომ ახალი საფეხურია დიდი კინოს განვითარებაში! დარბაზი ლამაზი ქალბატონებით და რესპექტაბელური მამაკაცებით გაივსო, მხოლოდ ერთი ახალგაზრდა იყო კეპით და ყოველდღიურ პიჯაპში.

- გაიცანით: ეს რენე კლერია, ეს კი ჟან კოკტო! – წარუდგინა მარგარეტმა ქართველებს ორი გენიალური პიროვნება.

- სასიამოვნოა! – მოკრძალებით დაუკრეს თავი ფრანგებს.

- ეს მოსაწვევი ბარათი, როგორც გადმომცეს, თქვენი ნახელავია არა? – ჰქითხა ჟან კოკტო ნიკალას.

- დიახ – მორიდებით დაუკრა თავი მხატვარმა.

- თუ თქვენი გამოგონება ისეთივე წარმატებულია როგორც ეს ნახატი, მე შემიძლია წინასწარ მოგილოცოთ გამარჯვება!

- მადლობთ ქათინაურისათვის!

- გთხოვთ, დასხდეთ ქალბატონებო! თქვენ ახლა ნახავთ მომღერალ ქალბატონს, რომელიც ამ ეპრანზე თქვენთვის იმღერებს. თანაც იხილავთ ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ფერწერას. არის იდეა, რომ მომავალში ეს ნახატები ფერადად იქნეს გადაღებული.

- საინტერესო იდეაა! – ჩაულაპარაკა რენე კლერმა უან კოკტოს!

- კინოს მომავალი ასეთია, ადრე თუ გვიან ეს ასეც მოხდება! – უპასუხა ჟანმა.

ყველანი არნახულის მოლოდინში გაისუსნენ. დავითმა ოპერატორს თვალით აჩვენა – შუქი ჩააქრეო, ოპერატორმა ჩამრთველს ხელი ახლო თუ არა, მოკლე ჩართვა მოხდა! ამ დროს ოთხივე კედელთან ხანძარი გაჩნდა! იქაურობა პანიკამ მოიცვა, სიბრუნვები ხალხი გზას ვერ იკვლევდა, კვამლმა სუნთქვა შეუძლებელი გახადა. ნიკალა მარგარეტს მიეჭრა.

- გავიქცეთ, გავიქცეთ! ქოშინებდა ის.

- აპარატი არ დატოვოთ! აპარატი! – გაჰყვიროდა დავითი. სასოწარკვეთილი ოპერატორი კამერას მიათრევდა, ერთი-მეორეს მიყოლებით ეცემოდნენ პატივცემული ადამიანები, სუნთქვა უფრო გაჭირდა. ცეცხლი გიზგიზებდა. რამდენიმე სტუმარი გულწასული დაეცა. დავითი მათ მიეჭრა. მათი გაყვანა დაიწყო სამშვიდობოს. ნიკალამ მარგარეტი გარეთ გაისტუმრა, თვითონ კი უკან შებრუნდა, დავითს მიეშველა გულწასულების გამოყვანაში, უკვე ხის კვანძებმა დაიწყეს ჩამოვარდნა, როცა უკვე თითქმის აღარავინ დარჩა. ნიკალამ ხველებით ჰკიოთხა დავითს:

- გადაღებული ფირი სად არის?

დავითი იმ ადგილას ვეღარ მივიდოდა: კინოთეატრის ცენტრალურ ნაწილში ჭალი ჩამოვარდა და ზღაპრულ ფეიერვერკს დაემსგავსა იქაურობა. მორჩა იქ ყველაფერი განადგურდა!

- მორჩა! ყველაფერი განადგურდა! – თქვა გარეთ გამოსულმა დავით გაგებაშვილმა.

- დავიღუპე! – ტიროდა მარგარეტი. ნიკალა შემოეხვია.

- ნუ გეშინია! ნუ გეშინია! – მექანიკურად იმეორებდა ერთი და იმავეს.

- ისინი იყვნენ! – უთხრა დავითმა ნიკალას.

- ვინ ისინი? ვინ იყვნენ? – თითქოს რადაცას მიხვდა გამწარებული მხატვარი.

- ის ორნი! სამრეწველო ომი! გახსოვს? ნიკალამ თავში წაიშინა ხელები.

- როგორ ვერ გავთვალე, როგორ არ ვიდექი ფირთან, ფირი უნდა გადამერჩინა!

– ყვიროდა იგი.

- დავიღუპე! – ლუდლუდებდა მომდარი ქალი.

ამასობაში მეხანძრებიც მოვიდნენ. ჩვენი გმირებიც შეუერთდნენ მათ, ყველანაირად ხელს უწყობდნენ ხანძრის ჩაქრობაში. როგორც იქნა ხანძარი ჩაქრა. კვამლში დიდხანს დადიოდნენ დაზარალებულნი, ხის ტოტებით ყველაფერს ჩიჩქიდნენ, თითქოს ცამ ჩაყლაპაო, ფირი არსად ჩანდა! მაგრამ მთავარი დარტყმა კიდევ წინ ელოდათ! სახლში ლასლასით დაბრუნებულებს აპარატი, ანუ ის, რისი გამოგონებითაც ასე ამაყობდა დავითი, აღარ დახვდათ! ძებნაც არ დაუწყიათ. დავითმა პაპიროსს მოუკიდა, ძლიერი ნაფაზი დაარტყა და განადგურებული კაცის ხმით თქვა:

- სამრეწველო ომში დავმარცხდით!

ნიკალას თვალებზე ცრემლები მოადგა, ბავშვივით აქვითინდა ნიკალა ფიროსმანი – დიდი ქართველი მხატვარი!

* * *

აგარაკზე ავედით, წყნეთში აუზიანი სახლი აქვს ჩემს ძმაკაცს. იქ კიდევ ძმაკაცის ძმაკაცები და იმათი ქალები დაგვხვდა. მარის უკვე მუცელი ეტყობა, მაგრამ ძალიან უხდება.

ქალებმა თავიანთი თემა უცებ მონახეს, რა თქმა უნდა ამ თემაზე დიდხანს არ შეჩერდებიან, მაგრამ როგორც ნაპოლეონი იტყოდა, „მთავარია ბრძოლაში ჩაბმა, იქ კი ყველაფერი გამოჩნდებაო“. აი ასე! ხან ვინ გაჭორეს, ხან ვინ! ეს ჟურნალი „სარკეც“ ხომ ყოველკვირეულ „მასალას“ აძლევს თბილისის ჭორიკანა ნაწილს. მისი ტირაჟით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ დიდი ნაწილია ასეთი! ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხელიდან ხელში გადადის „ინჭორ ბიუროს“ ახალი ნომერი. რას იზამ – საბაზრო ეკონომიკა. „ბაზარი“ უარგონზე საუბარსაც ნიშნავს, ხოდა „ვბაზრობთ“ მთელი სუფრა ქალები თავისას, კაცები თავისას.

უცებ ერთი მომიბრუნდა:

- ის ოქროები სად წაიღე? – დამცინავი ხმა აქვს.

თქვენ სოსოს იცნობთ? – დავიძახე მე.

- არა, მაგრამ ვიცი ვინც არის! მოკლედ აქ არ გააბაზრო, მერე შეეხედეთ და „გავაიასნოთ“ ყველაფერი.

- ეგ ამბავი მკვდარია! – მტკიცედ მოგუჭერი. არავის არაფერი გაგივათ!

- ძმაო! მე შენ წესიერად გელაპარაკები, გაიგე? ჟურადლება მოგვაქციეს. მარიმაც გამოიხედა;

- გიო, რა ხდება?

- არაფერი, დაწყნარდი! ფეხბურთზე ვკამათობთ

- ვა, როგორ იყო ინგლისს რომ ბალელშიკობდით! - დაიძახა ერთმა გოგონამ.

- საერთოდ არ ვარგოდნენ ეპროპელები, ეტყობა იქ ცხელა და ვერ ითამაშეს

- გადმომხედა მასპინძელმა.

- ბრაზილია მაინც მაგარია - ვთქვი მე - იმიტომაც გახდა ჩემპიონი მეხუთედ.

„ეს“ მარტო არ ისვენებს:

- მაიცა რა, მაგათი ზანგი დედაც... მუშტები შევგარი, ვგრძნობ მალე „ბომბი“ აფეთქდება.

რატომდაც ყველა მე მომაჩერდა. გეგონებოდა ზანგების უფლებები მე უნდა დამეცვა მაინცდამაინც!

- პელეც ზანგია თუ არ ვცდები. . . - ნერვებს არ ვყვები, ისე ვუპასუხევ.

- მაშინ სხვა დრო იყო, სხვა თამაში - წამოიწყო ჩვენზე უფრო ახალგაზრდამ, თინეიჯერობიდან ახალი გამოსული იყო, ეტყობოდა.

ამ თვალსაზრისს სხვებიც იზიარებდნენ, ისევ ყაყანი ატყდა, ისევ ის მასტი ხელებს მიშლის:

- ახლა, რომ ყოფილიყო რას იზამდი?

ამას ისედაც ვერ ვიტან, მომინდა ერთი მელეწა:

- ადამიანს თავისი დრო და სამოქმედო ადგილი აქვს, ყველამ თავისთვის განკუთვნილ დროში უნდა მოასწროს თავის გამოჩენა!

- როგორც შენ არა? ბანდიტი „დაბრიდე“ და მაგარი ბიჭი ხარ არა? - გეხლი გადმოანონა მოპაექრემ.

- თუნდაც! - ვუპასუხე და წამოვდექი.

- ბიჭო, შენ ვიდაცაში გეშლები, გაიგე?

ყველანი შემომეხვივნენ.

- კარგი რა დამშვიდდი! ისე მეკვროდნენ, ხელები ვეღარ გავითავისუფლე, ეს იგრძნო მეტოქემ და მუშტი მარჯვენა ყბაში მგლიჯა, დაგბარბაცდი, მაგრამ არ დავცემულვარ მაინც არ მიშვებენ! ისევ გამოაქანა მუშტი, მადაზე მოსულმა, თავი ოდნავ გავწიე და ხელი ამცდა, ვიდაცას მოხვდა სხვას. ახლა ის გადაირია, ხელების ქნევა დაიწყო. ყველაფერ ამას ქალების წიგილ-კიგილი „აფორმებდა“.

მარის ხელი დავტაცე და კიბეებზე დავეშვით.

- სად მიდიხარ! - გამომეკიდა მასპინძელი.

- ვინაა ეს „სირი“ - ვქოშინებდი აღელვებისგან - ცოდი არ მყავდეს თან, მაგას ვაჩვენებდი! მანქანაში ჩავჯექით, სასწრაფოდ გასაღები გადავატრიალე და „მერსი“ ადგილიდან მოვწყვიტე.

- დაწყნარდი რა, გიო! ჩემთვის სიჩქარე არ შეიძლება:

- ჰო, ჰო! ნელა წავალ, მაგის დედაც... ნახე რა ნაგლი იყო, ოქროები მომინდომა... მე მაგის... - კუკიროდი.

- რა ოქროები? - შეშინდა მარი.

- შენ არ იცი... ნუ ჩაერევი მაგ საქმეში - მკახედ ვუთხარი, ზედმეტი მომივიდა:

- ნუ მაშინებ გიო! მაშინ ის ამბავი მოხდა, ახლა ეს, რა ხდება? - ტირილამდე მივიდა მარი - მანქანა შევნიშნე, ეჭვი არ იყო მე მეწეოდა.

- ის ტიპია, ქამარი გადაიბნიე! - სარკეს თვალს არ ვაშორებდი, ისე ვუთხარი მარის.

- გაგიჟდი? რას შვრები?

- ეგ არ მოგვეშვება, უნდა გავასწო - გაზს ფეხი ბოლომდე დავაჭირე, მანქანა გაფრინდა. მარი აკივლდა! უკნიდან პატარა „ბმვ“ მომდევდა. მოსახვევში შეუჩერებლად შევედი ჩემს წინ დიდი სატვირთო მანქანა აღიმართა, წამის მესამედში გადავწყვიტე მარჯვნივ ამედო. მუხრუჭს აზრი ადარ ჰქონდა, ნემსი ძლიერ ჩაეტეოდა, ისეთი მანძილით ავუარე სატვირთოს. „ბმვ“-მ ვეღარ აუარა და უშველებელ რკინის მონსტრს შეასკდა... ეს არ დამინახავს, ხმა გავიგონე, რკინის რკინაზე დარტყმის ხმა... მანქანა გავაჩერე...

- შენ არ გადმოხვიდე! შენთვის ამის ნახვა არ შეიძლება! მარი არც აპირებდა გადმოსვლას, პირჯვარს იწერდა ატირებული.

- ღმერთო რა დავაშავე ასეთი? - აღმოხდა მას.

- რაღაც კარგად ვერ გავთვალე! - ვთქვი ჩემთვის და ავარიის ადგილს მივუახლოვდი. „მდევარი“ აღარ სუნთქვდა. მძიმე, საშინელ ხასიათზე დავდექი. პოლიციელებიც მალე გაჩნდნენ.

- ვინ არის თქვენი? - მკითხა ერთ-ერთმა.

- არავინ! ისე მოვედი...

- გაიარეთ თქვენი გზით! ნუ გადაკეტავთ მოძრაობას! - მიბრძანა მან.

მეც დავუჯერე, მეც ჩემი გზით გავიარე, სოსოზე გავბრაზდი, იქნებ არც ვიყავი მართალი, მაგრამ მაინც ავტოფე მისი ნომერი:

- ჰო, რა ხდება? - მკითხა ცივად.

- ერთხელ და სამუდამოდ გაიგე! ეგ ოქრო ჩემთან აღარ არის! რადაცის თქმა დააპირა, მაგრამ აღარ მოვუსმინე, კავშირი გავწყვიტე. მანქანაში ჩავჯექი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, რადიოს გადავკარი ხელი, ახლა კი მოისმინეთ სიმღერა, მამია ხატელიშვილის ანსამბლის შესრულებით.

დაიწყო ჩემი ნაცნობი ნაწარმოები, ადრეული ბავშვობიდან მიყვარდა ეს მელოდია. იმ დროს როდესაც სოლისტს უნდა ემღერა: „ფიროსმანი შენ მოკალი“ მან თქვა: „ეს ოცნებაც შენ მოკალი“

სასიზღრად მომეჩვენა ყველაფერი! ხმამაღლა ვთქვი:

- მართლა მე მოკალი ფიროსმანი!

მარი ფართო თვალებით მიცქერდა, რა თქმა უნდა ვერ გაიგო, როდის მოვკალი ფიროსმანი!

- ჰო, ჩემო მარი! ჩემი დაუფიქრებელი ნაბიჯის გამო, თქვენთვის სამუდამოდ მოკვდა ფიროსმანი!

- შენ მთვრალი ხარ ახლა! წინ იყურე, ძალიან გთხოვთ, არ დაგავიწყდეს, ეს...

- ამ სიტყვაზე მუცელზე მიმანიშნა.

- ჰო, ნელა ვივლი... და საერთოდ ტირილი მინდა, მეშინია საგიუვთში არ მოვხვდე.

- მაინც, როგორ მოკალი ფიროსმანი? – ფიზიკურად ვერ ნახავდი: როგორც შენ ამბობ, წინა საუკუნის პირველ ნახევარში გარდაცვლილა.

- მისი შემოქმედება დაგიკარგეთ, აი! როგორ შეიძლება თურმე კაცის მოკვლა, იმაზე უარესად, ვიდრე თავად მისი სიკვდილია. გაიგე?

- მარიმ თავი დამიქნია თუმცა ბევრს ვერაფერს მიხვდა, ან როგორ უნდა მიმხვდარიყო, მან ხომ არ იცოდა, რა ჩავიდინე მე.

- მარი, - წამოვიწყე, რატომდაც მომინდა ყველაფერი მეღიარებინა მასთან.- შენ ის ნახე.

- ვინ? ვინ ვნახე მე?- გაუკვირდა მას.

- აი, ის წვერებიანი კაცი კარადის მიღმა, შენი კედლის მეზობელია, ნიკო ფიროსმანი. ერთხელ გითხარი...

- ეს როგორ, გიო! რას ამბობ, რამდენი დალიე... რა?

- მარი, ის შენი მეზობელი იყო, ოღონდ სხვა დროში, სხვა წლებში გაიგე?

- დავუშვათ! სმენად იყო მარი ქცეული.

- ამ მიწისძვრამ დროის ბზარი გააჩინა, შენს ოთახში თუ ორიათასორია, მის ოთახში – მეოცე საუკუნის ოციანი წლებია, გასაგებია?

- რა მეშველება, როგორ გჯერა ასეთი ზღაპრების!

- ზღაპრების? – გავხელდი მე – მაშ, ზღაპრების არა? მანქანა მოვატრიალე და მარის სახლისკენ გავაქანე. გასაღები კარებს მოვარგე, სახლში შევედი და შუქი ავანთვ.

- შემოდი რა გაჩვენო! მარი მომყვა. მე სარდაფში ჩავიყვანე.

- აი, ეს სურათები „იქედან“ გადმოვზიდე, მისგან ვიყიდე – გუთხარი მარის მას შემდეგ, რაც შუქი ავანთვ.

- რა მშვენიერია! – აღმოხდა მარის.

- მშვენიერია, მშვენიერია და ეს მშვენიერება მარტო ჩემია გესმის? სხვამ იგი დაივიწყა, ის აღარავისთვის აღარ არსებობს, აი, რა შეცდომა დავუშვი! – საფეთქლები მტკიოდა, არ ვიცოდი ყველაფერ ამას გადავიტანდი თუ არა!

- დასალევი გაქვს? – უცებ შევცვალე თემა.

- მოგიტან, ჭაჭა გვაქვს ზევით! – მარი ზევით წავიდა. ცოტა შეაგვიანდა და მეც ამოვედი სარდაფიდან. მარი კარადაში იყო ნახევრად შესული.

- იქ არავინ არ არის! – მითხვა მან, როცა იგრძნო, რომ მის უკან ვიდექი.

- ჰო, ახლა პარიზში უნდა იყოს!

- იცი რა? დაუბრუნე მას ეს ნახატები!

- კი, მაგრამ, როგორ დავუბრუნო? ის ხომ პარიზშია?

- წარსულს დაუბრუნე! – დედოფალივით მტკიცე და იდუმალი ხმით მიბრძანა მარიმ. ასეთ პასუხს არ ველოდი, ამაზე არ მიფიქრია!

- მერედა წარსულს რა შეუძლია – ხელები გავშალე.

- ის მოაგვარებს ყველაფერს!

* * *

ნიკალას დილით წერილი დახვდა. გულმა ცუდი უგრძნო. მაგიდაზე დადებული მცირე ბარათი ხელის კანკალით აიღო. მარგარეტი წერდა: „ძვირფასო, მე შენთვის მხოლოდ უბედურება მომაქვს, აღარ მინდა კიდევ ერთხელ განგაცდევინოს განგებამ ასეთი დარტყმა. შენს საქმეს დაუბრუნდი... ხატე! ესაა შენი მოწოდება. მე კიდევ მაროკოში ან რომელიმე სხვა ფრანგულ კოლონიაში გადავიკარგები და იქ ვიმუშავებ. ასე სჯობია ორივესათვის. მშვიდობით! მარად შენი მარი“. ნიკალამ ხელახლა გადაიკითხა წერილი, მერე სკამი გამოსწია და ჩამოჯდა. დიდხანს იჯდა ასე გაშეშებული. სევდიანი ფიქრებიდან დავითმა გამოიყვანა:

- მოდით, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ! – ოპტიმიზმით სავსე იყო მისი ხმა. ნიკალამ ნაღვლიანი დიმილით მიუგო:

- ფული გვითავდება, მაგას ვედარ შევწვდებით

- ვიმუშავოთ, მე ქარხანაში მოვეწყობი, შენ ნახატებს გაყიდი და რამდენიმე თვეში ისევ ფეხზე დავდგებით.

ნიკალამ წერილი გაუწოდა.

- წაიკითხე!

დავითმა წერილი ყურადღებით წაიკითხა, არაფერი თქვა.

- ასე მიმატოვა მაშინაც! – ცივი ხმით უთხრა მხატვარმა ინჟინერს.

- ჰო, ასეთ ქალებს სტილი ერთნაირი აქვთ! ცინიკურად ჩაიქირქილა გაგებაშვილმა.

ნიკალამ საყვედურით სავსე თვალები მიაპყრო.

- მაინც გიყვარს არა? – უთხრა დავითმა.

ნიკალა დუმდა.

- იცი, რას ვფიქრობ? ეს ნახატები საქართველოში მინდა წავიდო... – თქვა რამდენიმე წუთის შემდეგ.

- კი, მაგრამ, როგორ? ამათი წალება უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე აპარატის ხელახლა დამზადება!

- ეგ ჩემი საქმე არ არის! – დავითისთვის მოულოდნელი განწყობით მოუჭრა ნიკალამ – არც მარგარეტია ჩემი საქმე! იცი, რატომ მემართება ასე? იმიტომ, რომ დრუბლებში დავფრინავ! შეუძლებელს, მიუწვდომელს, შორეულს ვეტრფი! ირგვლივ კი ყველაფერი სხვანაირია: მკაცრია, დაუნდობელია გამეფებული რეალობა:

უნდა მოატყუო ვიდაც, უნდა გათედო, დაივიწყო ბოლოსდაბოლოს! მე კი... – გაჩუმდა უცებ. პაუზის შემდეგ დსძინა: – მე კი მხატვარი ვარ!

- მერედა . . . განა ცუდია მხატვარი რომ ოცნებობს? ის ხომ სხვანაირია, ის ხომ ისე არ ხედავს საგნებს, სახეებს როგორც ყველა? შეედავა დავითი.

- უბედურებაც მაგაშია! არავის უნდა სხვანაირად დანახული ირემი, მეთევზე, ნატურმორტი, გოგონა, უშვილო მდიდარი და მრავალშილიანი ღარიბი, დათვი, მთვარის შუქით განათებული, ჟირაფი, რომელზეც მეუბნებიან კისერი აქვს მოკლეო! გესმის? იმათ ისეთი ნახატების ყიდვა უყვართ, დათვი დათვს რომ ჰგავს და ცხენი – ცხენს! არ უნდათ სხვანაირი თვალი შეხედონ ქვეყანას! არ უნდათ, არა! ხმას აუწია წიკალამ. დავითი ყურადღებით უსმენდა მეგობარს.

- მე კი... ამით ვცხოვრობ, რა ვქნა?

- პო, მაგრამ... ხომ იყიდა შენი სურათები ვიღაცამ. ესე იგი არის ხალხი, ვისაც მოსწონს შენი მანერა, თანაც რამდენი ფული მოგცა!

- ასი ნიკოლოზის თუმნიანი! – სიამაყე შეეპარა მხატვარს ხმაში.

- ამდენი ფული არც მოდილიანს აუღია და არც სეზანს, ასე რომ...

აქ ნიკალამ გააწყვეტინა:

- ის ადამიანი არ იყო! – ფართო, თაფლისფერი თვალები მიანათა დავითს ნიკალამ.

- აბა, ვინ იყო, ნუ გადამრევ! – გაიცინა დავითმა.

- ანგელოზი იყო ჩემო დავით, გამომცადეს რას ვიზამდი. უფულობაში ხომ გამომცადეს, ნახეს, სახლი გავყიდე ისიც გავანიავე. ახლა ნახატები იყიდა ჩემგან ჩემმა ანგელოზმა. შანსი მომცა! მაგრამ, რა? ისევ არ გამიმართლა, ეტყობა, ასეთ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი!

- ფრთები ჰქონდა? - ღიმილით ჰკითხა გამომგონებელმა.

- არა, - მიუხვდა ნიკალა ვისაც გულისხმობდა დავითი - ხომ გითხარი - უცნაურად ეცვა მეთქი. მაგრამ ადამიანი ჩემს ნახატებს არ იყიდდა, ადამიანი მარტო ერთ ბოთლ ლვინოს დამიდგამდა და ერთი კერძით გამიმასპინძლდებოდა - უკეთეს შემთხვევაში!

- ძალიან გაგტებია გული, ნიკო! - დავითი მიუახლოვდა, ხელი-ხელზე დაადო მხატვარს და გულწრფელად უთხრა:

- შენ კარგი მხატვარი ხარ! მე მინდა ბოდიში მოგიხადო იმისათვის, რომ ასეთ რისკიან საქმეში ჩაგითრიე, მაგრამ ლმერთმა იცის - ასეთ შედეგს არ ველოდი!

- ვინ იცის, მე უნდა მოგიხადო ბოდიში!

- რატომ? - გაოცდა დავითი.

- მე რომ არ ვყოფილიყავი ამ საქმეში, შეიძლება ასე არ დამთავრებულიყო ყველაფერი?

- ბედისწერის გწამს? - ფრთხილად ჰკითხა ნიკალას მეგობარმა.

- ვერა ხედავ? მერამდენედ მომეცარა ხელი! ჩემნაირი კაცი საქმეში გასაყვანი არ არის! ჩემს ბედზე წავა ყველაფერი!

- მე კიდევ ჩემო ნიკო, ეგეთების არა მწამს, ჩვენ რომ ასი თვალი და ასი ყური გამოგვება, ეს ამბავი არ დაგემართებოდა. თანაც, იმ ვიგინდარებმა გაგვაფრთხილებს: ჩვენ კი, დავივიწყეთ მათი არსებობა! აი, სად არის ჩვენი საერთო შეცდომა. გაუფრთხილებლად ვმოქმედებდით ესაა და ეს! პოლიცია რომ გაგვეფრთხილებინა ახლა მილიონერები ვიქნებოდით, წავიდოდით ჰოლივუდში! რა ვქნა ეს მაინც უნდა გავაკეთო!

- ვერ გავაკეთებო! – შეაჩერა მხატვარმა.

- ვითომ, რატომ? - გაიკვირვა დავითმა.

- აპარატი იმათ ხელშია, ახლა მცირე რაღაცებს შეცვლიან და საზოგადოებას წარუდგენენ ახალ გამოგონებას!

- მერე და... პატენტი? - შეახსენა გამომგონებელმა კომპანიონს.

- ხომ გითხარი: მცირე რაღაცებს შეცვლიან,

სხვა სახელს დაარქმევენ და... მერე დააპატენტებენ კიდევ და ხალხსაც გადარევენ. მოკლედ ყველაფერს იმას გააკეთებენ, რაც ჩვენ ვერ შევძლით!

- ვუჩივლოთ! – წამოიძახა დავითმა.

- რომ ვუჩივლოთ, ფული გვინდა, ბევრი ფული! მოვიგებთ – გაასაჩივრებენ, მოვიგებთ - კიდევ გაასაჩივრებენ, ბოლოს – ვეღარ მოვიგებთ. ასეთია სასამართლოს წესი! დავითი ჩაფიქრდა.

- ნეტავ, როდის დადგება სოციალიზმი, სასამართლო სასამართლო იქნება, და ადამიანური ყოფა მიეცემათ ადამიანებს!

- არ დაიჯერო! ვნახე უკვე ერთი სოციალისტი!

- სულ დამავიწყდა, ჩვენში ბოლშევიკები შემოვიდნენ! მაგრამ, რუსეთი სოციალიზმს ვერ ააშენებს, ეს ყველაფერი აქ, ევროპაში, უნდა მოხდეს!

- ხომ გითხარი: ადამიანებს არ უყვართ მეოცნებენი! ასე რომ მიწაზე დავეშვათ ისა სჯობს.

დავითი გაჩუმდა. ნახატების თვალიერება დაიწყო, შემდეგ, სხვათაშორის პკითხა:

- როდის მიდიხარ?

ნიკალამ ადარ დააზუსტებინა, სად მიდიოდა, უბრალოდ უთხრა:

- ხვალ! აქ აღარაფერი მესაქმება. დავითი ნაზად გადაეხვია მეგობარს.

- ყველაფრისოვის დიდი მადლობა.

- ნახატებს შენ გჩუქნი! გინდა გაყიდე, გინდა შვილებს აჩუქე, როცა გეყოლება! ნაღვლიანად გაიცინა ნიკალამ, მერე დასძინა:

- თუ, გინდა გაყიდე და კინოში ჩადე, შეგიძლია ახალი რამეები გამოიგონო!

- მადლობთ, მე ამათ არ გავჟიდი! იქნებ კიდევ ჩამოხვიდე, შენ დაგახვედრებ.

* * *

გადაწყვეტილება უცებ მივიღე.

- შენ მართალი ხარ! – ვუთხარი მარის – ახლავე უნდა დავუბრუნოთ ეს ნახატები თავის ნამდვილ პატრონს – წარსულს. ნელ-ნელა ამომქონდა ნამუშევრებ, ფრთხილად ამომქონდა, რომ არ დამეზიანებინა. ყველაფერი კარადიან ოთახში მოვაგროვე და მარის ვუთხარი:

- თუ გინდა შენც გადმოდი!

მარიმ თავი დამიქნია. კარადაში ჯერ ერთი ფეხი შევდგი, შემდეგ მეორე, მერე წელში გავსწორდი და გადავბობდები ნიკალას ოთახში.

- მოდი, ოდონდ ფთხილად! – გადმოსვლაში მივეხმარე მეუდლეს.

ორივენი უსიტყვოდ ვათვალიერებდით ოთახს: საღებავებით მოთხვრილი იატაკი, რამდენიმე მომცრო ნახატი, ცარიელი ბოთლები, ორი სკამი და ფეხმორყეული მაგიდა! საცოდავი სანახავი იყო ეს ყველაფერი!

- თვითონ სად არის? – მკითხა მარიმ. მე არაფერი ვუთხარი, რადგან ჩემი ყურადღება მაგიდაზე დაგდებულმა ქაღალდმა მიიპყო, ის იყო დავწვდი, რომ მარიმ შემახსენა:

- სხვისი წერილების კითხვა არ არის ლამაზი! – თავი დავუქნიე

- ეს სხვისი არ არის! ეს ჩემი ნიკო ფიროსმანის სახელზე მოსული წერილია! მე უნდა ვიცოდე, რა სჭირს მას!

წერილს ჩავხედე:

“მმაო ნიკო! – სწერდა ვიდაც – სამწუხარო ამბავი უნდა გამცნო: შენი ნახატები ხანძარში დაიწვენ. რაღაც უბედობით მუშაობის დროს ლამფას გავკარი ხელი, ისე უცებ აალდა იქაურობა, ვერაფერი ვიღონე, თავი გადავირჩინე მხოლოდ! მახსენდება შენთან კამათი და შენი სიტყვები: ნუთუ მართლა წინასწარ განაზღვრულია ყველაფერი? რად გვიწყობს განგება ამდენ გამოცდას? იქნებ მეც ჩამოვიდე საქართველოში, იქნებ იქ უფრო ვჭირდები ვინმეს? მომავალი შეხვედრის იმედით, მარად შენი მეგობარი და კომპანიონი დავით გაგებაშვილი”

ეს ყველაფერი ხმამაღლა წავიკითხე, მარი ყურადღებით მისმენდა:

- დაუჩქარე! – მოულოდნელად მითხრა – აქ შესაძლებელია, სამუდამოდ ჩავრჩეთ!

- როგორ? – ნათქვამის გააზრება დავიწყე – პო... პო... შესაძლებელია. რამე არ შეიცვალოს, გახსოვს “ისევ საბჭოთა კავშირში?” ირაკლი ჩიქოვანივით არ

გავიჩხიროთ აქ. სასაცილოა, არა? თურმე მართლა ხდება ასეთი რამეები! მარიმ სურათების გადმოლაგება დაიწყო.

კარებზე დააკაკუნეს. მარი შეშინდა:

- არავის გაუღო! დაუჩქარე! – მხელმძღვანელობდა იგი.

- არ გავუღებ, გარეთ ჩვენი გასვლა არ შეიძლება მტერი მოხვდეს ბოლშევიკების ხელში!

ისევ დაარტყეს კარებს რაღაც. ამ დროს ბოლო ნახატი გადმოვიტანეთ. უკან შევბრუნდი და ჩვენი საუკუნიდან სხვა საუკუნეში გაცექეროდით, რა მოხდებოდა.

- იცი, ახლა სხვა ათასწლეულიდან გაცექერით იმ კარებს – ვუჩურჩულე მარის. მისი გულის ბაგაბუგი მესმოდა, ჩემზე აღარაფერს ვამბობ!

- ნუთუ ნიკალა ფიროსმანი შემოვა? – თქვა მარიმ.

- ის არ აბრაგუნებდა კარებზე, აქ წითელი ეშმაკუნა შემოვა ვინმე, ან... არ ვიცი.

კარებმა ვეღარ გაუძლო და გაიღო. ოთახში რამდენიმე პიროვნება “შემოვარდა”.

- აი, ეს ნახატებია! – თქვა ერთ-ერთმა მათგანმა. შინელი ეცვა.

- ძალიან კარგი! მოვიყვანოთ კომისია და აღვწეროთ!

- თვითონ სად არის? - კედლები მიმოათვალიერა, ფრენჩიანმა ქალმა.

- რამდენიმე თვეა, არ გვინახავს

- აქა ვარ ხალხო! – ოთახში შემოსულ ხმას “შლაპიანი” წვეროსანი შემოჰყვა.

- ნიკალა! – წამოვიძახე ხმამაღლა. ყველამ ჩემსკენ მოიხედა. ნიკალამაც ამომხედა.

- შენ ვინ ხარ? - შემომხედა შინელიანმა.

- ეს ანგელოზია – უთხრა ნიკალამ და პირჯვრის გადასახვით მომიახლოვდა, დაიჩოქა და მითხრა:

- მადლობთ, ყველაფრისათვეს!

- ანგელოზები არ არსებობენ! – გაუბედავად, უხალისოდ წამოიწყო შინელიანმა.

- არსებობენ! – ეს მარიმ უთხრა. – მისმა ხმამ ისეთი ეფექტი მოახდინა, ყველამ უკან დაიხია.

- მარიამ! – თქვა ჩურჩულით ნიკალამ.

- უბრალოდ... მარი! – მიუგო ჩემმა ქალბატონმა.

- ეს კაცი - რიხიანად დავიწყე - ეს კაცი უბრალოდ ნიკო კი არა... დიდი ქართველი მხატვარი ნიკო ფიროსმანია! გასაგებია? სიჩუმე გამეფდა... გახევებულნი იდგნენ.

- გასაგებია? - დავიყვირე.

სიჩუმე უცხო აქცენტით მოლაპარაკე ადამიანმა დაარღვია

- მაპატიეთ... პალდონ! ნიკოლა ფირო - სმანა-შვილი აქ ცხოვრობს? - ორნი იყვნენ, სუფთა ევროპულ სტილში გამოწყობილნი, ერთმანეთს რაღაცით ჰგავდნენ.

- ჰო, მე ვარ ნიკალა! უე სუი ნიკოლა!

- ჩვენ თქვენი ნახატები ვნახეთ... სალაპარაკო გვაქვს თქვენთან!

- სად ნახეთ? - გაიკვირვა მხატვარმა.

- პარიზში! თქვენ ხომ პარ...

ნიკალამ გააწყვეტინა:

- მე არსად ვყოფილვარ, უთუოდ ვინმეში გეშლებით, თქვენი გვარი?

- ზდანევიჩი! - ვთქვი მე - ესენი ძმები ზდანევიჩები არიან!

გაოცებულ ადამიანებს, ის ორი გამოეყო, მომიახლოვდნენ, ერთ-ერთმა მკითხა

- თქვენ საიდან იციო?

შინელიანმა ამის გაგონებაზე, ლამის დაიჩოქა, შოკში იყო ჩავარდნილი! როგორდაც მემცნო ეს კაცი! ბაბუას ჰგავდა! ასე მოხრილი, ღმერთისადმი მოდრეკილი, ბაბუას ჰგავდა!

- თქვენ! ჰო, თქვენ გეუბნებით, შინელში!

შეშინებული თვალებით ამომხედა „მეო?“ მანიშნა თითით, რომელიც მკერდზე მიიდო.

- თქვენ ტერენტი მაჭავარიანს ხომ არ იცნობთ?

- შვილია ჩემი, ერთი წლისაა! - უცებ მომვარდა - არაფერი დაუშავოთ, გევედრებით! მუხლებზე დაეცა - არაფერი დაუშავოთ, მაპატიეთ მე ცოდვილს! ეს იყო ბაბუაჩემის მამა - ნესტორი!

- ნესტორ არაფერს დაგუშავებთ შენს შთამომავლობას... - დიდი ბაბუა დაჩოქილი თავს მიხრიდა... - უველანი კარგად იქნებიან... დიდი ომი იქნება ქვეყანაზე... შენი შვილი ოთხი წელი ტყვიის წვიმაში იქნება, მაინც გადარჩება, მისი შვილებიც ჯანმრთელები იქნებიან - ცრემლი დაპალუპით მომდიოდა - ოღონდ ამ კაცს ხელი შეუწყვე, ის ამის ლირსია! აღარაფრის თქმა აღარ შემეძლო, ფარდა გადაგწიე და მარი კარადიდან გამოვიყვანე.

- ნუ სტირი! - მამშვიდებდა ჩემი მარი! ყველაფერი კარგად იქნება!

გარეთ გამოვარდი, მეზობელი ნანგრევებს ცემენტით „აკოწიწებდა“.

- ცემენტი და ქაფჩა მათხოვე, ცოტა ხნით! – ცრემლები პიჯაკის სახელოთი მოვიწმინდე.

- აგური არ გინდა? – გაოცებულმა მკითხა.
- აგურის მეტი რა ყრია ჩვენთან!
- აიღე, დიდი ხნით გინდა?
- არა, ორიოდ წუთში მოვათავებ.

რა თქმა უნდა გაკვირვებული დავტოვე. ახლა მარისთვის უნდა გამეცა პასუხი, მაგრამ ჩემთვის მოულოდნელად მითხრა:

- ადარ გჭირდება ქაფჩა და აგური!
- რატომ? – ისე ვკითხე მოძრაობა არ შემინელებია, კარადისკენ მივიწევდი.
- განგებამ გააკეთა შენი გასაკეთებელი! – ისეთი ხმით წარმოსთქვა, ეჭვი შემეპარა, ეს მისი ხმა იყო თუ არა, ამიტომ შევჩერდი და მივიხედე.
- ამოვსებულია ბზარი და კარადის ზურგის კედელი მრთელია! მორჩა!

ყურადღებით შევათვალიერე იქაურობა, ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც მარიმ აღწერა. აღარ არსებობდა ფიროსმანის ოთახი! უხმოდ გამოვედით მე და მარი მიწისძვრით დაზიანებული სახლიდან, ქაფჩა, აგური და ცემენტი მეზობელმა ჩამომართვა. ის იყო შეტყირიალდა, შეკითხვა დავუსვი:

- ეს ვისი ქუჩაა?
- მეზობელმა, აქაოდა „კარგი ერთიო“ და ხელი ჩაიქნია. ასე ეგონა, ვიხუმრე.

მანქანაში ჩაგსხედით და სახლისაკენ გავეშურეთ. სრულიად დაცლილი ვიყავი. არაფრის თავი აღარ მქონდა. მარიმ მითხრა:

- ბეწვზე გადავრჩით!

ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა, პირველად ვიფიქრე ასეთ მდგომარეობაში მყოფი ვინმეს ხომ არ ვეჯახებოდი-მეთქი, მაგრამ ვერაფერი შევამჩნიე ამის მსგავსი.

- რა იგულისხმე? – ძლივსძლივობით დავძაბე გონება.

- „იქ“ რომ ვიყავით, წერილის კითხვისას რომ არ ჩაიკეტა კედელი!

„ჰოო, მაშინ მაგრად „დაგვერხეოდა“ შემეხმიანნენ „ქვეცნობიერი განყოფილებიდან“ ჩვენ მეორე „მეს“ რომ ვეძახით, თუმცა ეს ასე არის! რა თქმა უნდა, ისიც ჩვენა ვართ ისიც ჩვენი „მეა“ ქვეცნობიერის წაკითხვა არ არსებობს! მას დიდი ტაბუ ადევს! ქვეცნობიერი მართავს მთელს კაცობრიობას ისე, რომ კაცობრიობა ამის აზრზე არ არის! მაგრამ ეს ფიქრები ახლა შემოდგომის ფოთოლივით უმისამართოთ ჰქონდება.

- მართლაც რა საშინელება იქნებოდა, ბაბუაშენის მამის ეპოქაში რომ გავჩერილიყავით – ფიქრებიდან გამომიყვანა მეუღლებ.

- ეგ ბაბუაჩემის ხნის იქნებოდა ამ დროში – გავიცინე მე და მუცელზე მივუთით.

- ღმერთო დიდებულო! – ჩაიჩურჩულა მარიმ და პირჯვარი გადაისახა.

- ალბათ დაგვხვრებდნენ... – ნადვლიანად კოქი მე – მათ ასეთი რამეების არ ესმოდათ.

- ჩვენ გვესმის? – გამომცდელად მკითხა მარიმ. მე მხრები ავიჩეჩე.

* * *

საანამ შხაპს მივიღებდი, ჩემს კაბინეტში შევედი, თაროდან წიგნი გადმოვიდე. წიგნს მსხვილი შრიფტით ეწერა „ნიკო ფიროსმანი“. აბაზანაში შევედი, შხაპის ქვეშ დავდექი და სიმღერა დავიწყე! თან წყალი ჩამდიოდა. მე კი ვმღეროდი: „ფიროსმანი შენ მოკალი“. ყველაფერი თავის ადგილას დადგა! წარსულმა მიიღო თავისი. რაც მთავარია, ბედნიერი ვიყავი!

* * *

ტელეფონის ზარმა გამომაღვიძა: „ვინ არის ასე ადრე?“ ყურმილი ავიდე:

- გისმენთ!

- რა დროს ძილია? საჭმა ერთი, როდის ადგები?

- რა ხდება?

- ფიროსმანის ნახატებს ეძებენ უცხოელები...

ტელეფონი მოვიშორე, ლოგინიდან წამოვდექი, თვალები მოვისრისე, თავზე ხელი მოვიჭირე და ხმამაღლა ვიყვირე:

- მარი! მარი! მარი!

გიდექი ასე, შეა თთახში, თცდაათი წლის ქართველი მხატვარი, რომელსაც კარგი ხანია არაფერი დაუხატავს და ველოდი, დაუსრულებლად ველოდი – შემოვიდოდა თუ არა ჩემს ცხოვრებაში მარი.